

"თქვენი აფხაზეთი" A6



ჰაიფაში, თემურისკენ! A7



365 დღე - 486 გვერდი A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 19 ივლისი, 2006 წელი. №160 (1312)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

**პოლიტიკა**

ოლმერტი: ისრაელი ლიბანში ოპერაციებს გააგრძელებს

A3

**სამართალი**

არასამთავრობოები ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობენ

A4

**სამართალი**

საგანგაშო ტენდენცია - სამართლებრივი ძალადობა ადვოკატების წინააღმდეგ

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 19/07 | 20/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 35 |
| ბათუმი | 24 | 24 |
| სოხუმი | 28 | 28 |
| ქუთაისი | 31 | 31 |
| გორი | 28 | 28 |
| ონი | 25 | 24 |
| ზუგდიდი | 31 | 31 |
| ახმეტა | 34 | 34 |
| სამტრედია | 30 | 30 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7671 |
| ევრო | 2.2152 |
| ბრიტანეთ. სტერლ. | 3.2200 |
| რუბლი | 0.0654 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
სამართალი A 5
პროექტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# წადით!

## რუს სამშვიდობოებს კარებისკენ კიდევ ერთხელ მიუთითეს

ვერიკო თევზაძე

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. 144 მომხრე და არც ერთი წინააღმდეგი, - საკანონმდებლო ორგანო ერთსულოვანი იყო. რაც შეეხება ოპოზიციას, მას ბოიკოტი არ შეუწყვეტია და კენჭისყრაში არ მონაწილეობდა. ოპოზიციონერი დეპუტატების განმარტებით, პარლამენტის 18 ივლისის დადგენილება ადრინდელი დადგენილებებისაგან არაფრით განსხვავდება: „ჩვენ ამგვარ სარეკლამო ტრიუკებში არ ვმონაწილეობთ“, - განუცხადა „24 საათის“ დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*პარლამენტი "სამშვიდობოებს" ოვაციებით "აცილებს".*

# ტრადიციული სამიტის არატრადიციული დასასრული

## „დიდი რვიანის" სამიტის მიზანი რუსეთის პრესტიჟის ამაღლება იყო

ნიკა თარაშვილი
*სანქტ-პეტერბურგიდან*

*დიდი მოლოდინის მიუხედავად, 14-17 ივლისს სანქტ-პეტერბურგში შეკრებილ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებს, დღეს არსებული გლობალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით, თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. სიმართლე რომ ითქვას, რაიმე განსაკუთრებული შედეგების მოლოდინი, მსოფლიოს დემოკრატიულ ნაწილში არსებულ სურვილს უფრო ასახავდა, ვიდრე რეალობას. სანქტ-პეტერბურგის სამიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხანდახან შინაარსზე მეტად ფორმაა მნიშვნელოვანი, მით უმეტეს თუ გარეგნულ, ხელოვნურად შექმნილ ეფექტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშუქებენ.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*ვლადიმირ პუტინი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.*

# კომპანიების დამანგრეველი

## რონალდ პერელმანის ფული, დოლი და ქალები

**B**

*6,1 მილიარდი დოლარის მფლობელმა რონალდ პერელმანმა თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი არა კომპანიების შექმნით, არამედ დანგრევით მოაგროვა, სახელი კი სკანდალებით და ექსტრავაგანტულობით გაითქვა. როგორც ამბობენ, ხუთჯერ განქორწინებულ 63 წლის მექალთანეს ფულის შოვნაზე უფრო დიაცთა ცდუნება და დოლზე დაკვრა ეხერხება.*





# არშემდგარი „დემოკრატიული კოალიცია"

## და ამოუცნობი იულია ტიმოშენკო

*თითქმის სამთვიანი დაპირისპირებისა და დემოკრატიული კოალიციის რღვევის შემდეგ, უკრაინის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - უმაღლეს რადაში, ოფიციალურად შეუდგა მუშაობას „ანტიკრიზისული კოალიცია“. თუმცა, პოლიტიკური კრიზისის დასრულებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.*

კობა ლიკლიკაძე,
*სპეციალურად „24 საათისათვის" კიევიდან*

უკრაინის დედაქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც 18 თვის წინ „ნარინჯისფერი რევოლუცია“ იშვა, ისევ ბობოქრობს. ისევ ისმის შეძახილები: „თავისუფლება“, „დემოკრატია“, „არ დავუშვათ რეაქციული ძალების რევანში“; ისევ არის გაშლილი კარვები, მაგრამ ამჯერად „მაიდანზე“ არსად ჩანს ნარინჯისფერი დროშები, ლოზუნგები პრეზიდენტ იუშენკოს პორტრეტით.

კიევში თავმოყრილი დემონსტრანტების ერთპიროვნული ლიდერია საარჩევნო ბლოკ „ბიუტის“ ლიდერი იულია ტიმოშენკო, რომელსაც მხარს უჭერენ ახალგაზრდული რევოლუციური მოძრაობა „პორა“ (ქართული „კმარას“ პროტოტიპი), უკრაინელ ნაციონალისტთა მოძრაობა „უნა-უნსო“ და წვრილ-წვრილი პატრიოტული ორგანიზაციები, რომლებმაც 18 ივლისს უმაღლესი რადას შენობის ბლოკირება მოახდინეს. ხოლო იულია ტიმოშენკომ კი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან განაცხადა, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის ერთადერთ შესაძლებლობად ესახება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სამიტის მიუღწეველი მიზნები

*„დიდი რვიანის“ სამიტმა ვერც ერთი მხარის მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა. რუსეთმა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკუთარი კონცეფციის მოწონებას ვერ მიაღწია, ხოლო დასავლეთის ქვეყნებმა ვერ შეძლეს მოსკოვის ცალსახა მხარდაჭერის მოპოვება ახლო აღმოსავლეთის საკითხში. თანაც, მათ ვერ შეძლეს პოზიციის გამოხატვა რუსეთში დემოკრატიასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე.*

*დიმიტრი ავალიანი*

თავდაპირველად სამიტის მთავარ თემად ენერგეტიკული უსაფრთხოება მოიაზრებოდა. უფრო სწორად, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა რუსული გაგებით, - რუსეთს ევროპასთან გაზის მიწოდებაზე გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება და გაზის ქსელების შესყიდვა სურდა. სანაცვლოდ კი, ევროპელებისათვის რუსულ მომპოვებელ კომპანიებში წილები უნდა შეეთავაზებინა.

თუმცა, როგორც რუსი მიმომხილველები აღნიშნავენ, რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა სამიტზე ახლო აღმოსავლეთის მოვლენებმა და ირანისა და კორეას ბირთვულმა პროგრამებმა დაჩრდილა. გარდა ამისა, „რვიანის“ სხვა წევრებმა ენერგეტიკულ საკითხში ერთიანი პოზიცია ვერ შეიმუშავეს. ამიტომაც სამიტზე მიღებულ დოკუმენტში გლობალური ენერგეტიკული პრობლემები მხოლოდ ზოგადად იქნა მიმოხილული. აქედან გამომდინარე, რუსეთს ერთი გზა რჩება - ევროპელ პარტნიორებს ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე მოელაპარაკოს. რასაც ზოგ შემთხვევაში უკვე წარმატებულად ახერხებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შიდა ქართლის ფინანსური პოლიცია კვლავ სკანდალში ეხვევა

*შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიმართ მოსახლეობის მიერ გამოთქმული პრეტენზიები, მათ მიერ ჩატარებულ უკანონო სპეცოპერაციებთან დაკავშირებით, ახალი ამბავი არ არის. ეს უწყება ამჯერადაც სკანდალში გაეხვა. გორის რაიონის სოფელ ფლავში ფინანსურმა პოლიციამ კონტრაბანდული სიგარეტის შენახვისა და რეალიზაციის ბრალდებით კიდევ ერთი ეჭვმიტანილი ნიკოლოზ ფოსოვი დააკავა. თვითმხილველები და დაკავებულის ადვოკატი ნინო ჩუხრუკიძე აცხადებენ, რომ დაკავების დროს დარღვეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსს ზურაბ არსოშვილს სიგარეტის კონტრაბანდისთვის დაკავებული ნიკოლოზ ფოსოვი და მისი თანასოფლელები უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. სოფელ ფლავის მცხოვრებთა განცხადებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სპეცოპერაციის დროს ფოსოვს და მის ფეხმძიმე მეუღლეს ეთერ გიუნაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მოსახლეობის თქმით, ეთერ გიუნაშვილი მოგვიანებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

დაკავებულის ადვოკატის განცხადებით ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებული ფოსოვი დაკავებისას უმოწყალოდ სცემეს, რის გამოც ეჭვმიტანილმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

**„სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, ასევე ფოსოვის მეუღლემ ეთერ გიუნაშვილმაც, რომელიც ფეხმძიმედ იყო. ის გინეკოლოგიურ განყოფილებაში წევს და დიდი საშიშროებაა, რომ მუცელი მოეშალოს. ფინანსური პოლიცია ისე გათავხედდა, რომ მიტანილი სიგარეტი, რომელიც ფოსოვის სახლში უნდა ჩაეწყოთ, ველარ ჩააწყვეს და დატვირთული ავტომობილი უკან წამოიყვანეს..ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს სიგარეტის ჩაწყობაში ხელი ფოსოვის მეზობლებმა შეუშალეს, რომლებიც ხმაურზე ფოსოვის სახლთან მივიდნენ. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისთვის ეს, რა თქმა უნდა, პრობლემას არ წარმოადგენს. მათ ჩხრეკის ოქმი ფინანსური პოლიციის ეზოში შეადგინეს და მოწმეებადაც საკუთარი სამსახურის თანამშრომლები დაისწრეს“,** - ამბობს დაკავებულის ადვოკატი ნინო ჩუხრუკიძე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ბურჯანაძე რუსეთის ორმაგ სტანდარტებზე საუბრობს

„საქართველოსთვის მიუღებელია რუსეთის ორმაგი სტანდარტით მოქმედების პოლიტიკა და საქართველო არ დაუშვებს რუსეთმა ნეგატიური ზეგავლენა შეინარჩიუნოს საქართველოზე“,-განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

„ვსვამ შეკითხვას, არის თუ არა ორმაგი სტანდარტებით მოქმედება, როდესაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული კონფლიქტის დროს რუსეთი ღიად უჭერს მხარს სეპარატისტულ ხელისუფლებას, ჩეჩნეთში კი ებრძვის სეპარატიზმს. ასევე, როდესაც რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე აძლევს რუსეთის მოქალაქეობას და შემდეგ აცხადებს, რომ ის საკუთარ მოქალაქეებს იცავს. და კიდევ, უნდა იდგეს თუ არა რუსეთის შეიარაღებული ძალები იმ ტერიტორიაზე, სადაც საკუთარი მოქალაქეობა კანონგარეშე მისცა საქართველოს მოქალაქეებს. რუსეთი არათუ აგვარებს, არამედ ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებას“,-განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ჰაიდი ტალიავინი ფრანგმა დიპლომატმა შეცვალა

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა საქართველოში თავის სპეცწარმომადგენლად, შვეიცარიელი დიპლომატის ნაცვლად, ფრანგი დიპლომატი ჟან არნაულტი დანიშნა.

საქართველოში გაეროს სპეცწარმომადგენლის თბილისის ოფისში მიღებული ინფორმაციით, ფრანგი დიპლომატი ჟან არნაულტი საქართველოში გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის სტატუსით თბილისში თვის ბოლომდე ჩამოვა.

შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი, რომელმაც გაეროს სპეცწარმომადგენლის თანამდებობაზე საქართველოში ოთხი წელი იმუშავა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა.

ფრანგი დიპლომატი ჟან არნაულტი საქართველოში გაეროს გენმდივნის რიგით მე-5 სპეცწარმომადგენელი იქნება. იგი 1951 წელს საფრანგეთში დაიბადა. დაამთავრა სორბონას უნივერსიტეტი, გაეროში 1989 წლიდან მუშაობს. მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გაეროს ოფისებში ნამიბიაში, გვატემალასა და ავღანეთში. ფლობს ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

შვეიცარიელმა დიპლომატმა ჰაიდი ტალიავინმა საქართველოში გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის თანამდებობაზე 2002-2006 წლებში იმუშავა. 1993-1997 წლებში ამ თანამდებობაზე ჯერ შვეიცარიელი დიპლომატი ედუარდ ბრუნერი, 1997-1999 წლებში უნგრელი დიპლომატი ლივიუ ბოტა, ხოლო 1999-2002 წლებში გერმანელი დიპლომატი დიტერ ბოდენი მუშაობდნენ.

*ინტერპრესნიუსი*

## ირაკლი ალასანია გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გახდა

საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში ირაკლი ალასანია გუშინ, საქართველოს პარლამენტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაამტკიცა.

აღნიშნული ინიციატივით პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმართა. დღემდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციათა მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე რეზო ადამია იმყოფებოდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ირაკლი ალასანიას წარმატება უსურვა ახალ თანამდებობაზე მოღვაწეობისას. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ირაკლი ალასანია იმ პრობლემებს გაართმევს თავს, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას.

„ირაკლი ალასანია საქართველოში არ იმყოფება, თუმცა იგი ყველა ფრაქციისა და კომიტეტის წინაშე წარდგა და პარლამენტის ყველა კითხვას უპასუხა“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი ალასანია პარალელურად იმუშავებს საქართველოს პრეზიდენტის მუდმივ წარმომადგენლად ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების საკითხში.

*ინტერპრესნიუსი*

## მოსკოვის აზრით, სამშვიდობოების გაყვანა კონფლიქტს გაამწვავებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მიხეილ კამინინი მიიჩნევს, რომ საქართველოს კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობოების გაყვანა იქ არსებულ კონფლიქტს სერიოზულად გაამწვავებს.

კამინინის თქმით, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე, დაძაბულობის გამწვავების მცდელობაა.

მისივე განმარტებით, საქართველოს პარლამენტმა ამ ტიპის დადგენილება ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მეექვსედ მიიღო, ხოლო ამ ექვსიდან სამი, ბოლო ცხრა თვის მანძილზე იქნა მიღებული.

*პრაიმ-ნიუსი*

## კოკოითს არ სურს რუსმა სამხედროებმა კონფლიქტის ზონა დატოვონ

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი რეგიონში რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე დარჩენას მიიჩნევს აუცილებლად.

როგორც კოკოითიმ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს პარლამენტის 18 ივლისის დადგენილების მიუხედავად, რუსი სამშვიდობოები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებიდან არ უნდა გავიდნენ.

როგორც კოკოითი აცხადებს, ის შსკ-ს სხდომის გასამართად ყველა ღონეს მიმართავს, თუმცა ეუთოსა და საერთაშორისო თანამეგობრობას შესაბამისი დასკვნების გაკეთებისაკენ მოუწოდებს, რადგან, მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებას სურს, სამხრეთ ოსეთს თავს მოახვიოს კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერი სცენარი.

*პრაიმ-ნიუსი*

# ნადით!

პირველი გვერდიდან

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ხსენებულ დადგენილებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. გუშინდელ სესიაზე ხმამაღალი განცხადებები კეთდებოდა. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის შეფასებით, დღეს უკვე საუბარია არა უბრალოდ ცისფერჩაფხუტიანების გაყვანაზე, არამედ იწყება ახალი ეტაპი კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

სამშვიდობოების თემაზე საუბრისას დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი ემოციების სიჭარბით გამოირჩეოდა. ფილოლოგმა დეპუტატმა ძველი ქართული პოეზიის ნიმუშსაც უხმო. განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ბოლოს ამგვარი დასკვნა გააკეთა: **„გველები უნდა გასრიალდნენ კავკასიონის მთებიდან“.**

დადგენილება მთავრობას ავალებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა სამშვიდობოების ფორმატის შეცვლაზე. დოკუმენტში არ არის მითითებული სამშვიდობოების გაყვანის ვადები. ჯერ კიდევ კენჭისყრამდე ამ საკითხის შესახებ თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ კოლეგებს განუმარტა, რომ ვადების დაკონკრეტება გარკვეულ შებოჭვებს გამოიწვევს. **„მოკლე ვადაში გამოჩნდება, რამდენად მზად არის რუსეთი ამ საკითხის გადასაწყვეტად**“, - აცხადებს თარგამაძე.

როგორც კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა „24 საათს“ განუცხადა, დადგენილებაში დაუწესებელი ვადები პროცესის გაწელვის საშიშროებას ქმნის: **„პარლამენტს თავისი მოთხოვნები მთავრობისადმი გარკვეულ ვადებში უნდა მოექცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ, ფაქტობრივად, დათმობაზე მივდივართ.“**

ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში გიორგი ხელაშვილი და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევენ, რომ ვადების დაკონკრეტება პარლამენტის საქმე არ არის. **„პარლამენტმა ვადები რომ დააწესოს, შემდეგ მძევალი გახდება ამ ვადებისა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. პარლამენტმა ჩაწერა „უახლოეს დროში“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ დღეს ახალი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. წესით, ერთ თვეში პარლამენტმა უნდა დაიბაროს პრეზიდენტი და მთავრობა და პასუხი მოსთხოვოს, რა გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში“,** - შენიშნავს ზაქარეიშვილი.

გიორგი ხელაშვილის შეფასებით, ამ დადგენილების სახით, პარლამენტი მთავრობას სთავაზობს საკმაოდ მოქნილ ინსტრუმენტს რუსეთთან მიმართებაში. **„თავის მხრივ,** - შენიშნავს ხელაშვილი, - **დადგენილება საქართველოს მთავრობას აძლევს საშუალებას რუსეთს ამ ვადებზე ევაჭროს“.**

„დემოკრატიული ფრონტის“ წამომადგენლის დავით ზურაბიშვილის აზრით, პარლამენტის მორიგი დადგენილება სამშვიდობოების თემაზე „სარეკლამო ტრიუკია“. ზურაბიშვილი პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განცხადებასაც იხსენებს: **„ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შემუშავებული აქვს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელსაც მსოფლიო მხარს უჭერს. ამ გეგმის მიხედვით, სამშვიდობოების გაყვანა (ყოველ შემთხვევაში, მოკლე დროში) გათვალისწინებული არ არის. საბოლოო ჯამში, ჩვენთვის გაუგებარია, მაინც რის გაკეთებას აპირებს პრეზიდენტი? ამიტომაც ვამბობ, რომ ეს სარეკლამო ტრიუკია.“**

რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილიც აღნიშნავს, რომ ეს „ახალი“ დადგენილება პარლამენტის მიერ წარსულში მიღებულ დადგენილებებს იმეორებს, თუმცა იგი ახალი დოკუმენტის მიღებას მაინც უძებნის ახსნას სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის წინ.

საბოლოო ჯამში, პაატა ზაქარეიშვილიც ეჭვობს, რომ პარლამენტის გუშინდელი დადგენილება პიარს უკავშირდება: **„უფრო ეფექტური იქნებოდა, პარლამენტს მთავრობისთვის პასუხი მოეთხოვა, რატომ ვერ შეასრულა წინა დადგენილებებში მითითებული დავალებები... პარლამენტი, რომელიც ამდენ დადგენილებებს „ჩეკავს“, საზოგადოებაში უნდობლობას იწვევს. გამოდის, რომ იგი უსუსურია, არავინ უსმენს...“**

გახდება თუ არა პარლამენტის 18 ივლისის „მოქნილი“ და იმავდროულად, „მორიგი“ დოკუმენტი ეფექტიანი, - ეს უკვე ხელისუფლებების ქმედებებზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ამ კითხვაზე პასუხს სააკაშვილი-პუტინის შეხვედრა გაგვცემს. თუმცა, ექსპერტები კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტზეც ამახვილებენ ყურადღებას. მათი განმარტებით, ამგვარი დოკუმენტი მხოლოდ მაშინ იქნება ქმედითი, თუ საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიო თანამეგობრობა აქტიურად დაუჭერს მხარს. კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა „24 საათთან“ საუბრისას განაცხადა: **„თუ ჩვენი დიპლომატია ისე წარმატებულია, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუში და პუტინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსეთი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანას წინააღმდეგობას არ გაუწევს და არც პროვოკაციებს მოგვიწყობს. თუ ამერიკის მხრიდან რუსეთზე ამგვარი ზეწოლა არ მომხდარა და ეს დადგენილება ჩვენი ცალმხრივი ინიციატივის ფარგლებს ვერ სცდება, დარწმუნებული ვარ, რუსეთი ყველანაირ წინააღმდეგობას გაგვიწევს“.**

გიორგი ხელაშვილიც მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს: **„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მთავრობას აქვს საერთაშორისო გარანტიები.“**

# ტრადიციული სამიტის არატრადიციული დასასრული

პირველი გვერდიდან

რუსეთმა არაჩვეულებრივად კარგად გაართვა თავი სამიტის ორგანიზებას. მით უმეტეს, რომ კრემლის მიზანი გარეგნული ეფექტის მოხდენა უფრო იყო, ვიდრე კონკრეტული შედეგების მიღწევა.

საგულისხმოა, რომ სამიტის გასაშუქებლად სანკტ-პეტერბურგში ჩასულ მსოფლიოს თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი მედიასაშუალების წარმომადგენელს, უდავოდ, უკეთესად ემახსოვრებათ თითქმის 24 საათის განმავლობაში მომუშავე უფასო რესტორანი, კომფორტული სამუშაო გარემო, საჩუქრები, მოკლედ, ყველაფერი ის, რასაც ჩვეულებრივ პირობებში ჟურნალისტები ხშირ შემთხვევაში მოკლებულნი არიან, ვიდრე პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ ვლადიმირის ძემ, თითქოს სხვათაშორის, ჟურნალისტებს ისიც კი უთხრა, რომ, ამით მათი (ჟურნალისტების) მოქრთამვა არავის უფიქრია - რუსეთის პრეზიდენტს მედიამუშაკთა შრომის ჯეროვნად დაფასების სურვილი ამოძრავებდა თურმე. თუმცა, დაგეგმილი ბრიფინგებზე პუტინის მუდმივი დაგვიანების შემხედვარე ჟურნალისტი აუცილებლად შეიტანდა ეჭვს მის გულწრფელობაში.

სანკტ-პეტერბურგის სამიტი პირველივე დღიდან კარგად ორგანიზებული დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სადაც რეჟისორიც, სცენარის ავტორიცა და მთავარი როლის შემსრულებელიც ვლადიმირ პუტინი იყო. ყველა დანარჩენ „რვიანელს“ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის ეპიზოდური როლები ერგოთ.

ალბათ ამიტომ, (კრემლის მცდელობით) მსოფლიოს ლიდერების შეხვედრა, რომლის მიზანიც გლობალური გამოწვევების წინააღმდეგ ერთიანი სტრატეგიის შემუშავება უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის „პიარ-აქციად“ გადაიქცა.

**„დიდი რვიანის“ სამიტზე რუსეთმა დაამტკიცა, რომ სრულფასოვანი გლობალური მოთამაშეა,“** - მომდევნო დღესვე წერდა სამიტის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე რუსი პოლიტოლოგი ვიაჩესლავ ნიკონოვი. მისივე თქმით, სამიტის მთავარი პოლიტიკური შედეგი (ისევე, როგორც მიზანი - რედ.) სწორედ ეს იყო.

**„ის ისტორიაში შევა, როგორც სამიტი, რომელსაც პირველად თავმჯდომარეობდა რუსეთი და რომელიც მისი „დიდ რვიანში“ სრულფასოვანი წევრობის სიმბოლოს წარმოადგენდა. პუტინმა და რუსეთმა 120 პროცენტით შეასრულეს დასახული ამოცანა, რითაც რუსეთმა გავლენიანი ქვეყნების კლუბში ადგილი გაიმყარა და თავისი პოლიტიკური პოტენციალი გაზარდა,“** - აცხადებს მეორე რუსი ექსპერტი, პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი სერგეი მარკოვი.

დასავლეთი უძლური აღმოჩნდა პუტინის ბლეფის წინაშე -ასე აფასებდა მოკლედ „დიდი რვიანის“ სამიტს დასავლეთის ქვეყნებიდან აკრედიტებული ჟურნალისტების დიდი ნაწილი. ბუნებრივია, ყველა კარგად ხვდებოდა რუსეთის მისწრაფებებს, მაგრამ თავსმოხვეული „მედიასტრატეგიიდან“ თავის დაღწევას ცოტა თუ ახერხებდა.

პუტინის უპირატესობა დანარჩენ ლიდერებთან სრულიად აშკარად გამოჩნდა სამიტის ბოლო დღეს გამართულ ბრიფინგზე. მედიასთან თითქმის ერთდროულად დანიშნული შეხვედრების დროს, ჟურნალისტთა უმრავლესობა სწორედ პუტინის ბრიფინგს დაესწრო და არა მერკელის ან ტონი ბლერისას. პუტინის შემდეგ იმავე დარბაზში პრესასთან შესახვედრად გამოსულ იტალიის პრემიერ-მინისტრ რომანო პროდის დაახლოებით 15 წუთი მოუხდა ლოდინი, რათა თითქმის დაცლილ დარბაზში ორიოდე კითხვაზე გაეცა პასუხი სამიტის შესახებ.

მოკლედ, თავიდანვე დადგმულ „შოუს“ მაყურებელი არ მოჰკლებია, მით უმეტეს, რომ სანკტ-პეტერბურგში თითქმის ისევე მიდიოდა ყველაფერი, როგორც სხვა სამიტებზე. რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში „ანტიგლობალისტებიც“ კი აწყობდნენ „აქციებს“. ყველა სხვა „ანტიგლობალისტებისგან“ განსხვავებით, გლობალიზაციის რუსი მოწინააღმდეგენი ერთგულად და დაუფარავად იდგნენ სამშობლოს „სამსახურში“. სანკტ-პეტერბურგის მუნიციპალიტეტმა მათთვის თავად გამოყო შეკრების ადგილი და „საპროტესტო აქციის“ მონაწილეებისთვის სპეციალურ საშვებსაც უშვებდა. „ანტიგლობალისტთა ღონისძიებისთვის განსაზღვრულია ადგილი, რომელიც მათ თავად აირჩიეს - კიროვის სტადიონი. მათთვის დაშვებულია გამოხატვის ნებისმიერი ფორმები ერთის გარდა: არეულობის, მსვლელობებისა და მიტინგების ორგანიზება სანკტ-პეტერბურგში,“ - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა მმართველმა და სამიტის ორგკომიტეტის უფროსის მოადგილემ ვლადიმირ კოჟინმა.

ზაფხულის 5 საღამო მაგთისგან

მობრძანდით და ისიამოვნეთ თანამედროვე ქართული მუსიკით !

დასწრება უფასოა



გეპატიჟებით ყველას მცხეთის "თეატრონში"

პარასკევს, 21 ივლისს, 18:30-ზე, ჯგუფების:
Green Mama, The Moving Band და Blues Mobile
კონცერტზე

მცხეთის „თეატრონი“ თბილისიდან ოციოდე წუთის სავალზე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ისტორიული ძეგლის — ბებრისციხის — კალთებზეა განლაგებული, სადაც არც მოსვლა გაგიჭირდებათ და არც მანქანის გაჩერება.

უფასო ავტობუსები გადის 18:00, 18:30
სპორტის სასახლე, მეტროს სადგურები დელისი, დიდუბე და ავლაბარი.
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 00 00, 25 11 11

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

მოკლედ

### საქართველო მორიგმა რუსულმა ეშელონმა დატოვა

საქართველოს ტერიტორია გუშინ კიდევ ერთმა რუსულმა ეშელონმა დატოვა, რომელიც რუსული სამხედრო ტექნიკით იყო დატვირთული.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის მეთაურის მოადგილის, პოლკოვნიკ ვლადიმერ ყუფარაძის განცხადებით, აღნიშნული ეშელონი რუსეთის მიმართულებით 12 ერთეულ „მიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტების გასაშვებ დანადგარს, ორ ერთეულ ე. წ. „შილკის“‘საარტილერიო სისტემის დანადგარს და ე. წ. “სტრელას“ ტიპის „მიწა-ჰაერის“ სარაკეტო სისტემებს გაიტანს.

აღნიშნული ტექნიკა ახალქალაქის 62-ე ბაზაზე იყო განლაგებული. **ინტერპრესნიუსი**

### გელა ბეჟუაშვილმა სლოვენიის ელჩი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა და საქართველოში სლოვენიის რესპუბლიკის ელჩმა ჯოზეფა პუჰარიმ სამშაბათს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხები განიხილეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს საგარეო უწყებიდან აცნობეს, მათ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე საქართველოს ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის პერსპექტივები, ორმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრი, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები განსაჯეს.

გელა ბეჟუაშვილმა მაღალი შეფასება მისცა ელჩის საქართველოში მოღვაწეობას და მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. **პრაიმ-ნიუსი**

### მოსკოვში საქართველოს საელჩოს წინ საპროტესტო აქცია გაიმართა

საპროტესტო აქცია გაიმართა მოსკოვში საქართველოს საელჩოს შენობის წინ. აქციის მონაწილეები „სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს ქმედებებს“ აპროტესტებდნენ.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, აქციაში მოძრაობა „როდინას“ ახალგაზრდული ფრთის 40-მდე აქტივისტი მონაწილეობდა.

აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ პარტიის დროშები და ტრანსპარანტები შემდეგი წარწერებით: „სამხრეთ ოსეთი - რუსეთის შემადგენლობაში“, „ბომბები შორს ოსეთისაგან“.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, აქცია სანქცირებული იყო და საათზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. რუსეთში საქართველოს საელჩოს შენობის წინ უსაფრთხოებას 20-მდე სამართალდამცავი იცავდა. აქციის მსვლელობისას ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს საეკლესიო გალობის ცენტრი

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი ახლო მომავალში გაზეთის გამოშვებას გეგმავს.

როგორც გალობის ცენტრში განაცხადეს, გამოცემა მრავალფეროვანი რუბრიკებით იქნება წარმოდგენილი.

„მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ძველი ქართული საგალობლების ისტორიულ მიმოხილვასა და სამეცნიერო ნაწილს. თუმცა გაზეთის მაკეტი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის“, - განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა თამუნა ცერცვაძემ. მისივე თქმით, გამოცემა სექტემბრისთვის მზად იქნება. მანამდე კი დრო მის საბოლოო სახის მომზადებას დაეთმობა.

საქართველოს საეკლესიო გალობის ცენტრი თავის საქმიანობით უძველესი ქართული საგალობლების აღდგენასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# არშემდგარი „დემოკრატიული კოალიცია"

პირველი გვერდიდან

*„მე მინდა გაიგონ უკრაინის ნამდვილმა პატრიოტებმა, რომ პარლამენტში გადატრიალების აცილება დღეს მხოლოდ ორი გზით არის შესაძლებელი. კონსტიტუციის ფარგლებში, პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ან ეს შეუძლიათ სახალხო დეპუტატებს. 150 დეპუტატმა უნდა დადოს მანდატები, რის შემდეგაც ეს პარლამენტი იქნება არალეგიტიმური. ჩვენი ფრაქცია მზად არის ამისთვის. ამიტომ მივმართავ ფრაქციას „ჩვენი უკრაინა" - გადადგას ეს ნაბიჯი უკრაინისათვის, მისი მომავლისათვის,"* - იულია ტიმოშენკოს ამ განცხადებას პარლამენტის უმრავლესობის მხრიდან საპროტესტო შეძახილები მოჰყვა.

ყოფილი მომხრეებიდან, ცოტა ხნის წინ „ნარინჯისფერ კოალიციაში" რომ იყვნენ გაერთიანებულნი, იულია ტიმოშენკოს ემოციურ გამოსვლას არავინ გამოხმაურებია. ერთადერთი სიახლე ის იყო, რომ მოქმედი პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს მხარდამჭერი „ჩვენი უკრაინის" დეპუტატთა ჯგუფის ლიდერმა, უშიშროების საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ანატოლი კინახმა განაცხადა, რომ „ჩვენი უკრაინა" ამიერიდან უმცირესობაშია.



"პორა" ისევ ქუჩაში გამოვიდა.

თუმცა, გულხელდაკრეფილი არც ე.წ. „ანტიკრიზისული კოალიციაა", რომელშიც ვიქტორ იანუკოვიჩის „უკრაინის რეგიონთა პარტია", კომუნისტები და სოციალისტები გარეთიანდნენ. ამ კოალიციამ უკვე მიიმხრო, იულია ტიმოშენკოს ფრაქციის 3 წევრი და, როგორც ამბობენ, კვლავ განაგრძობს აქტიურ საკულისო ბრძოლას, რათა პრემიერ-მინისტრობისკენ გზა გაუკაფოს ვიქტორ იანუკოვიჩს, რომლის რეიტინგი უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვით, კვლავ იზრდება.

შესაძლოა, სოწრედ ამ გარემოებამ გაათამამა „რეგიონების პარტიის" პოლიტსაბჭოს წევრი, დეპუტატი ევგენი კუშნარიევი, რომელზეც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული „სეპარატიზმის წაქეზების" მუხლით. საკუთარ გამოსვლაში, რომელიც რუსულ ენაზე გააკეთა, კუშნარიოვმა ურჩია იულია ტიმოშენკოს, შეეგუოს მარცხს და მაგალითი საფრანგეთის ნაკრებისა და ზინედინ ზიდანისაგან აიღოს:

*„ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გიყურებდეთ როგორც მტრებს. თქვენ ჩვენი კოლეგები ხართ ადამიანები, რომლებიც აქ უკრაინაზე ფიქრმა მოგიყვანათ. და ჩვენ მზად ვართ თქვენთან კონსტრუქციული და ნორმალური ურთიერთობისათვის. ვრჩებით რა ერთგულნი ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა, გთავაზობთ პროპორციულ საფუძველზე უხელმძღვანელოთ საპარლამენტო კომიტეტების ნაწილს და დაიკავოთ ვიცე-სპიკერის პოსტი."*

ევგენი კუშნარევის ამ მოწოდებისა და სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ „რადამ" შესვენება აიღო. მაგრამ სრულიად მოულოდნელად, უკრაინელმა დეპუტატებმა 5 საათზე მუშაობა იდილიურ ვითარებაში განაახლეს და მალე დაიშალნენ. სხდომაზე დომინირებდნენ ანტიკრიზისული კოალიციის წევრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ოპონენტებმა მიიღეს შეთავაზებული წინადადება, იმუშაონ კომიტეტებში და დაიკავონ 11 კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი.

პარტია „ჩვენი რეგიონების" წარმომადგენელმა, დეპუტატმა ლეონიდ კოჟარამ, რომელსაც კულისებში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს უწინასწარმეტყველებენ, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ პარლამენტი ლეგიტიმურია განაგრძოს მუშაობა და ბოლომდე მიიყვანოს მთავრობის ფორმირების საქმე. **„ვიქტორ იანუკოვიჩი უალტერნატივო კანდიდატია, ხოლო ჩვენი კოალიციის ხმების საერთო რაოდენობა (246 დეპუტატი) საკმარისია, რათა გავიტანოთ ჩვენი კანდიდატურა"**, - განაცხადა ლეონიდ კოჟარამ, რომელმაც გამორიცხა რაიმე სახის სიურპრიზი ოპოზიციის მხრიდან. ***„ჩვენ ერთხელ უკვე გამოგვტაცეს ხელიდან გამარჯვება, მაგრამ ახლა უკვე აღარ ვაპირებთ ამ შეცდომის განმეორებას",*** - განაცხადა კოჟარამ.

ცოტა მოგვიანებით იულია ტიმოშენკომაც განაცხადა, რომ, „ჯერჯერობით, არ აპირებს შეკრიბოს „მაიდანი". ***„ჩვენ იმიტომ დავთანხმდით კომიტეტებში მუშაობას, რომ ნებისმიერი დეპუტატი უნდა ასრულებდეს მოვალეობას, სანამ იუშჩენკო არ დაითხოვს პარლამენტს,"*** - განაცხადა პარტია „ბიუტის" ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრ ტურჩინოვმა, „ანტიკრიზისულ კოალიციაში" შემავალი იმ სუბიექტების გასაგონად, რომლებიც უკვე ზეიმობენ მათი ერთიანი კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვებას.

თუმცა, ბევრი პოლიტოლოგი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ დაუცხრომელი იულია ტიმოშენკო „კუდს მოიქნევს" და უკრაინის პრეზიდენტს მის სასარგებლო ნაბიჯს გადაადგმევინებს. ეს ხომ ჯერ კიდევ ის იულია ტიმოშენკოა, ერთი შეხედვით სუსტი და ნაზი, მაგრამ გამოუცნობი და უკრაინის დიდი ნაწილის კერპი, ვინც 18 თვის წინ ხელდახელ შეიყვანა ვიქტორ იუშენკო „უმაღლეს რადაში" და თითქმის ძალით დააფიცებინა ბიბლიაზე, რომ პრეზიდენტი გახდებოდა.

# სამიტის მიუღწეველი მიზნები

პირველი გვერდიდან

**„პუტინისთვის სანკტ-პეტერბურგის სამიტის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთი კვლავ ზესახელმწიფოდ ელიარებინათ, დასავლელი პარტნიორები კი მას ამაში დაეხმარნენ, როდესაც კარტი ჯერ კიდევ მაგიდასთან დასხდომამდე გაშალეს. ერთი მხრივ ის, რაც სანკტ-პეტერბურგში მოხდა, „რვიანის" მის მიზნებთან იმთავითვე შეუსაბამობას ამტკიცებს. მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენად კარგად ახერხებს რუსეთის პრეზიდენტი სარგებლის ნახვას იმ მდგომარეობიდან, რომელსაც შეგვიძლია ახალი მსოფლიო უწესრიგობა ვუწოდოთ"**, - წერს გაზეთი „The Financial Times".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხზე რვიანის ლიდერებს შორის კონსენსუსის ნიშანიც არ დაფიქსირებულა, და მათ „ბზარების ქაღალდით დაწებება" სცადეს. ერთი მხრივ, რუსეთმა უარი თქვა ირანისა და სირიის კრიტიკაზე ლიბანის კონფლიქტის გაჩაღებასთან მათი უდავო კავშირის გამო. მეორე მხრივ, აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა მიმდინარე მოვლენებს არაორაზროვნად ტერორიზმთან საყოველთაო ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება უწოდა.

გარდა ამისა, აღნიშნავს გაზეთი, დასავლეთის ლიდერებმა ვერ შეძლეს იმ მოლოდინის გამართლება, რომელიც რუსეთში მათი ჩასვლის საფასურად კრემლისგან რაიმე დათმობას გულისხმობდა. დასავლური პრესა სამიტამდე ბევრს წერდა დასავლეთის ქვეყნების მიერ მისი ბოიკოტირების, ან, ყოველ შემთხვევაში, თავად სამიტზე რაიმე დემარშის აუცილებლობის შესახებ, რომელიც პუტინის ხელისუფლებას დემოკრატიის გზიდან გადახვევის დაუშვებლობაზე მიუთითებდა. მაგრამ პუტინისგან დემოკრატია ხმამაღლა არავის მოუთხოვია, ამის სანაცვლოდ კი პუტინმა დასავლელ ლიდერებს რამდენიმეჯერ საჯაროდ დასცინა კიდეც.

გაზეთი დასავლეთის ქვეყნების ლიდერების ლოგიკას ამგვარად ხსნის: **„რუსეთისთვის ნავთობი და გაზი მსოფლიო არენაზე დაბრუნების ინსტრუმენტებია. დანარჩენებისთვის ენერგორესურსები საქონელია, რომელიც აუცილებელია და რომელიც მათ საკმარისად არ აქვთ. ასე რომ, რა საჭოროა კამათი რესურსების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომწოდებლებთან მსოფლიოში?"**

„The Financial Times" აღნიშნავს, რომ რუსეთის მიმართ რეალური პოლიტიკის წარმოებისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კრემლი დღეს დასავლეთთან სერიოზული გარიგებებით და რუსეთის ევროპაში ინტეგრირებით არ არის დაინტერესებული. რუსეთს სხვა ამბიციები აქვს - ის საკუთარი სიმდიდრის მსოფლიოში გავლენის მოსაპოვებლად და „ახლო საზღვარგართზე" ძალაუფლების დაბრუნებისათვის გამოყენებას ცდილობს. გარდა ამისა, წერს გაზეთი, გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში პუტინის მოქმედება ბლეფია. როგორც არ უნდა ცხოვრობდეს ახლა რუსეთი, ის მომაკვდავი სახელმწიფოა. მისი კეთილდღეობა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს, მხოლოიდ ნავთობისა და გაზს ეფუძნება, ხოლო დემოგრაფიული პრობლემები სულ უფრო მძაფრდება.

# ისრაელის ელჩი საქართველოში: კმარა ტერორიზმი

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური კომენტარს აკეთებს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ელჩის განცხადებით, „ლიბანის მთავრობა პასუხისმგებელია ნებისმიერი აგრესიის აქტზე, რომელიც ხორციელდება მისი ტეროტორიიდან მეზობელ სახელმწიფოზე. ამის გამო ისრაელი ამ თავდასხმას განიხილავს, როგორც მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან ომის გამოცხადებას".

შექმნილ ვითარებაში ისრაელის პოზიცია ასეთია: ისრაელი არ დაუშვებს თავისი მოქალაქეების მძევლად ყოფნას. თუკი ლიბანი უარს ამბობს მშვიდობის შენარჩუნებაზე, ისრაელს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ თავი დაიცვას.

ელჩის განცხადებით, ლიბანის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებები ვერ შეძლებდნენ არსებობას ირანისა და სირიის მხარდაჭერის გარეშე.

ტერორიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში ისრაელი ელის ევროპის მხარდაჭერას, რამდენადაც ეს არ არის მხოლოდ ისრაელის, არამედ ევროპის ბრძოლაც, - აცხადებს ისრაელის ელჩი. მისი თქმით, ექსტრემისტულმა ისლამისტურმა ძალებმა მოახდინეს ტერაქტები ესპანეთში, ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. 11 სექტემბრის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ტერორიზმი მხოლოდ ისრაელის პრობლემა არ არის, ეს არის საფრთხე მთელი თავისუფალი სამყაროსთვის. მხოლოდ ყველა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედებების შედეგად არის შესაძლებელი მისი დამარცხება.

ტერორისტები მშვიდობის მტრები არიან და ისინი შეტევაზე არიან გადასული. დადგა დრო საპასუხო შეტევისათვის. დადგა დრო ვთქვათ - „კმარა ტერორიზმი", - აცხადებს შაბთაი ცური.

*24 საათი*

# ოლმერტი: ისრაელი ლიბანში ოპერაციებს გააგრძელებს

### გაერო მოსალოდნელ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე საუბრობს

როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა გაერო-ს წარმომადგენლებს განუცხადა, ისრაელი არ აპირებს ლიბანში სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას და „ჰეზბოლას" სტრატეგიული წერტილების იერიშს მანამდე გაგრძელებს, ვიდრე ბოევიკების მიერ გატაცებული ორი სამხედრო სამშობლოში არ დაბრუნდება. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის თქმით, მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ისრაელის მოქალაქეებისთვის საფრთხის წყარო, რასაც ამჟამად ეს დაჯგუფებები ქმნიან.

ისრაელის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ციპი ლივნის განცხადებით, ჯერ ძალიან ადრეა ლიბანის სამხრეთ რაიონებში საერთაშორისო ძალების განთავსებაზე საუბარი, როგორც ეს გაერო-სა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ინიციატივითაა გათვალისწინებული.

გაერო-ს მისია კი უკვე მუშაობს კონფლიქტის გადაწყვეტის გეგმაზე, რომელიც გასული კვირის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა, როდესაც ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ისრაელის ორი ჯარისკაცი გაიტაცეს. ამას ისრაელის მხრიდან საპასუხო სამხედრო ოპერაციები მოჰყვა. ამდენად, მისიის წევრები შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით უკვე კონკრეტულ წინადადებებზე მუშაობენ.

გაერო-ს დელეგაცია ისრაელში ლიბანის მონახულების შემდეგ ჩავიდა. ლიბანის პრეზიდენტის ემილ ლაჰუდის განცხადებით, მისი მთავრობა არ აპირებს ზომების მიღებას „ჰეზბოლას" ლიდერის წინააღმდეგ .ლაჰუდმა, რომელიც სირიისა და „ჰეზბოლას" მოკავშირედ მიიჩნევა, უკვე გამოხატა ჰასან ნასრალუს მიმართ მხარდაჭერა და აღნიშნა, რომ ლიბანის ხელისუფლება არასოდეს მიატოვებს იმ ადამიანს, რომელიც ლიბანს გათავისუფლებაში დაეხმარა.

გარდა ამისა, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ფუად სინიორამაც განაცხადა, რომ ისრაელი ასეთი მოქმედებით, ლიბანისთვის „ჯოჯოხეთისა და სისასტიკის კარს ხსნის". თუმცა, სინიორამ ისიც დაამატა თავის განცხადებას, რომ ვითარების განმუხტვისთვის აჯობებს, თუკი „ჰეზბოლა" დროულად გაათავისუფლებს ორ გატაცებულ ისრაელელ სამხედროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისრაელი გააგრძელებს ოპერაციებს, ხოლო „ჰეზბოლას" მეტი მხარდამჭერი გაუჩნდება.

ლიბანში სამხედრო ოპერაციების დაწყებას უკვე ემსხვერპლა 230 ლიბანელი, თანაც მათი უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეა. რაც შეეხება „ჰეზბოლას" დალუპულ ბოევიკებს, მათი რიცხვი უცნობია. სამხედრო ოპერაციების დაწყებას ისრაელის მხრიდან 25 ადამიანი ემსხვერპლა, ამათგან 13 მშვიდობიანი მოქალაქეა.

დაპირისპირებული მხარეების შეუვალი პოზიციების მიუხედავად, გაერო მაინც ცდილობს კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ძალების განთავსების იდეის მეტი მხარდამჭერი მოიზიდოს. ბუშის ადმინისტრაციას ამ იდეისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს. აშშ აცხადებს, რომ ისრაელს აქვს თავდაცვის უფლება და მთელ პასუხისმგებლობას სირიასა და ირანს აკისრებს, როგორც „ჰეზბოლას" ორ ერთგულ მხარდამჭერს.

მიუხედავად იმისა, რომ გაერო გარკვეულწილად არცაა წინააღმდეგი ისეთი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, რაც ისრაელის ტერიტორიაზე სარაკეტო იერიშის საფრთხეს გააუვნებელყოფს, რეგიონში გამგზავრების წინ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მაინც აღნიშნა, რომ დაყოვნება დაუშვებელია, რადგან საქმე მშვიდობიან მოსახლეობას ეხება.

ლიბანში მყოფი უცხოელი მოქალქეების ევაკუაციის პროცესი კი უკვე დაწყებულია. გასულ ღამეს საფრანგეთმა და იტალიამ საზღვაო ტრანსპორტით ლიბანიდან დაახლოებით 1 600 ევროპელი გამოიყვანეს. დიდი ბრიტანეთის სამხედრო გემები კი მზად არიან ლიბანიდან 12 ათასი ბრიტანელი და 10 ათასი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი გამოიყვანონ.

რუსეთმა უკვე მიიღო ისრაელისგან გარანტია, რომ სამხედრო ოპერაციები არ იქნება იმ რაიონებში წარმოებული, რომელსაც ოფიციალური მოსკოვი საკუთარი მოქალაქეების გამოსაყვან მარშრუტად აირჩევს.

უცხოელები ლიბანს პანიკით ტოვებენ, გაერო კი საერთაშორისო საზოგადოებას მოსალოდნელი ჰუმანიტარული კატასტროფის შესახებ აფრთხილებს. **ბი-ბი-სი**






## მოკლედ

### გიორგი გვიჩიანი სიმართლის დამტკიცებით იმუქრება

თბილისის საქალაქო სასამართლოში „თბილგაზის“ გაკოტრების ყოფილი მმართველის გიორგი გვიჩიანის პროცესზე წერილობითი მტკიცებულებების გამოქვეყნება დაიწყო.

ნიკა ლომიძის მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებული გიორგი გვიჩიანის, მკვლელობაში ბრალდებულების - ნიკა ჩემიასა და ავთანდილ ხერკელაძის ადვოკატებმა ათი მოწმის დაკითხვა მოითხოვეს, თუმცა მოსამართლე ნინო სანდოძემ მხოლოდ სამი მათგანის დაკითხვის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე აცხადებს, იგი ნოდარ და გიორგი გვიჩიანის ოჯახის წევრების დაკითხვას მოითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ეს მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

გუშინდელ პროცესზე განსასჯელებმა გიორგი გვიჩიანმა და ნიკა ჩემიამ კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებენ.

„მე ვარ უდანაშაულო და ამას დავამტკიცებ ისე, რომ ერთი ეჭვი არ დარჩება არც ერთ მხარეს, მათ შორის - არც მოსამართლეს“, - განაცხადა გიორგი გვიჩიანმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში „ეი ეს თელასის“ ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებული სამი განსასჯელის პროცესი უახლოეს ხანში განახლდება და შემდგომ სხდომაზე დაცვის მხარის მიერ მოწვეულ მოწმეთა დაკითხვა დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

### თაღლითური დაჯგუფების წევრების დაკავება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, საჯარო რეესტრის შენობაში ერთ-ერთი თაღლითური ოპერაციის ჩატარების ფაქტზე დააკავეს ორგანიზებული დაჯგუფების სამი წევრი.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - ბაბალე მემელაშვილი, პაატა ჯოლია და ზურაბ ელოშვილი თაღლითურად, ოფიციალური დოკუმენტების ნოტარიული გაყალბების გზით, თბილისში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ ბინებს ისაკუთრებდნენ, შემდგომში გარანტიის გზით დიდი ოდენობის სესხის მისაღებად.

მემელაშვილმა, ჯოლიამ და ელოშვილმა ამგვარი თაღლითური გზით თბილისში ათამდე საცხოვრებელი ბინის დაუფლებით სესხები გამოიტანეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### 50 ათასი ლარის ჯარიმა ბიუჯეტის სასარგებლოდ

უკანონო თევზრეწვის ფაქტზე დაკავებულმა თურქული თევსაჭერი სეინერის „ოღუზ ქარდეშლერის“ ეკიპაჟმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, 50 ათასი ლარის ჯარიმა გადაიხადა.

როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა. დაჯარიმებული სეინერი, რომელიც ქართული დროშის ქვეშ ცურავდა, 13 ივლისს სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს „ბათუმის“ ბაზის მესაზღვრეებმა დააკავეს. ოპერაციაში, ასევე, მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის წარმომადგენლები.

ჩატარებული ერთობლივი რეიდის შედეგად „ოღუზ ქარდეშლერი“ ჩოლოქის ტრავერსზე (ქობულეთის სიახლოვეს) უკანონო თევზრეწვის ფაქტზე დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

### ადამიანის უფლებების დაცვა სარეკლამო რგოლებში

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სატელევიზიო სოციალური სარეკლამო რგოლებისთვის სცენარის შექმნაზე კონკურსს აცხადებს.

პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით „საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

სარეკლამო რგოლებისთვის სცენარები შემდეგი თემატიკის მიხედვით უნდა შეიქმნას: უდანაშაულობის პრეზუმფცია - კლიპის მიზანია, მოსახლეობას, ჟურნალისტებს და პოლიციის თანამშრომლებს შეახსენოს, რომ ნებისმიერი პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მის მიმართ კანონიერ ძალაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შესული არ არის;

სიცოცხლის უფლება, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტება - საქართველოში არ მოქმედებს სასჯელი - სიკვდილით დასჯა. კლიპის მიზანია, როგორც პოლიციის თანამშრომლებს, ისე მოსახლეობას შეახსენოს, რომ ე.წ. „ადგილზე ლიკვიდაციები“ კანონსაწინააღმდეგო ქმედება და დანაშაულის წახალისებაა;

არასრულწლოვანების უფლებები დაკავებისას - კლიპი გათვლილია არასრულწლოვანებზე, მათ მშობლებზე, პედაგოგებზე და პოლიციის თანამშრომლებზე.

ყველა თემასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ კლიპები ნაჩვენები იქნება ქვეყნის მასშტაბით. ძირითადი პრინციპები მოსახლეობისთვის მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს და ეფექტური სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებთან მიმართებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი პროფესიის ადამიანს. განიხილება, აგრეთვე, სცენართან ერთად წარმოდგენილი კლიპის გადაღების წინადადებები.

სცენარების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 1 აგვისტო, 18.00 საათი. გამარჯვებული სცენარის ავტორები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით. თითოეული გამარჯვებული სცენარისთვის ავტორი (ან ავტორთა ჯგუფი) მიიღებს 200 ევროს. **ინტერპრესნიუსი**

### ბერძნების საჩუქარი შსს-ს

საბერძნეთის მთავრობამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩუქრად 16 ავტომანქანა გადასცა.

შს სამინსიტროს ეზოში ორხიდიანი ავტომანქანების - „ვილისისა“ და „ნივების“ გადმოცემის ცერემონია შედგა. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, აღნიშნული ავტომანქანების უმრავლესობა წალკის შს სამმართველოს გადაეცემა. მისივე თქმით, აღნიშნული ძვირადღირებული ავტომანქანები აღჭურვილია საავტომობილო რადიოსადგურებით და შს სამინისტროს სისტემისთვის საჭირო სხვა დამატებითი მოწყობილობით. ავტომანქანები წალკაში მყოფი მოსახლეობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას მოხმარდება.

„წალკაში ბოლო ორი წლის მანძილზე გართულებული კრიმინალური სიტუაცია აღარ არსებობს, ამ ხნის მანძილზე არც ერთი სერიოზული დანაშაული არ დაფიქსირებულა. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა არც ისე მდიდარი ქვეყანა საქართველოს შს სამინისტროს ავტომანქანებს ჩუქნის“, - განაცხადა მერაბიშვილმა.

როგორც საქართველოში საბერძნეთის ელჩმა ელეფტერიოს ანგელოპულოსმა განაცხადა, საბერძნეთის მთავრობა მოხარულია, რომ ბერძნული ადგილობრივი განვითარების და თვითმმართველობის კომპანიის მიერ წამოწყებული პროექტი დასრულდა. მისივე თქმით, უახლესი აპარატურით აღჭურვილი ავტომანქანების საერთო ღირებულება 180 ათას ევროს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

### დაკავება ერგნეთის საგუშაგოსთან

თვითაღიარებული „სამხრეთ ოსეთის“ ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სამხედრო პოლიციამ რუსეთის ტელევიზიის მესამე არხის მთავარი რედაქტორი რომან ბაბაიანი ერგნეთის პოსტთან დააკავა.

„ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ საქართველოს ხელისუფლება სპეციალურად არ უშვებს რუს ჟურნალსიტებს კონფლიქტის ზონაში, რადგან ეშინია, არ გაშუქდეს ის პროვოკაციები, რომლებსაც საქართველოს სპეცსამსახურები აწყობს“, - აცხადებენ კომიტეტში.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალმა ქართული მხარე გუშინწინ კიდევ ერთი ჟურნალისტის, ფრანგული საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესის“ ამიერკავკასიის ბიუროს რედაქტორის, სიმონ ოსტროვსკის დაკავებაში დაადანაშაულა. თუმცა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# არასამთავრობოები ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობენ

არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას წამების პრევენციის საქმეში თანამშრომლობას სთავაზობს.

**„ჩვენ ხელისუფლებას შევთავაზებთ მაქსიმალურად ეფექტურ მექანიზმებს წამების პრევენციისათვის. საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, ჩამოაყალიბოს წამების პრევენციის ერთი ან რამდენიმე ეროვნული მექანიზმი. ასეთი მექანიზმების შექმნის მდიდარი პრაქტიკა ჯერჯერობით მსოფლიოში არ არსებობს. ამ საკითხზე მსჯელობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. ყველაზე ოპტიმალურ მოდელებად მიიჩნევა ომბუდსმენის აპარატის და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობენ. საქართველოში ეს სისტემა ახლა ყალიბდება და ხელისუფლებამ არ უნდა მიიღოს არავითარი მექანიზმი საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. არ უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს წამების წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს“,** - ასეთი შინაარსის განცხადებებს აკეთებდნენ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ წამების საწინააღმდეგო საინიციატივო ჯგუფის შეხვედრაზე შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, წამების საწინააღმდეგო საინიციატივო ჯგუფში გაწევრიანებული 15-მდე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოს მიერ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაში, მისი შემდგომი მუშაობის პროცესში.

წამების საწინააღმდეგო საინიციატივო ჯგუფში გაწევრიანებული არიან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“, „წამების საწინააღმდეგო საქართველოს კომიტეტი“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, ქუთაისის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების კომისია, ბათუმის და ზუგდიდის საპყრობილეების კომისიები, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და სხვა ორგანიზაციები.

როგორც შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას წამების პრევენციის საქმეში თანამშრომლობას სთავაზობს.

ღონისძიებას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. **„წამების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში 13 ათასამდე პატიმარია, ასეულობით ადამიანი იმყოფება ფსიქიატრიულ სტაციონარში და ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას სამხედრო დაწესებულებებში თუ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფრებში, უნდა შეიქმნას რამდენიმე მექანიზმი, რომელიც მხოლოდ წამების პრევენციის კუთხით იმუშავებს“,** - აცხადებს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი გიგა გიორგაძე.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული გუშინდელი შეხვედრის ორგანიზატორები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ გახლდათ. პრეზენტაციის თემა წამების წინააღმდეგ ახალი ეროვნული სისტემის შექმნა იყო.

2002 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო წამების, სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის ფაკულტატური ოქმი. მისი მიზანია, შეიქმნას ახალი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, რეგულარულად მოინახულონ დაკავებული და დაპატიმრებული პირები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში. არასამთავრობოთა აზრით, თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან რეგულარული სტუმრობა შეამცირებს მათ წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ან დამამცირებელ მოპყრობას. ოქმი, ასევე, ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე წამების წინააღმდეგ ქვეკომიტეტის შექმნას, ხოლო ეროვნულ დონეზე წამების პრევენციის ერთი ან რამდენიმე ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებას. ოქმის ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში წამების წინააღმდეგ ქვეკომიტეტში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წარადგინოს 2 კანდიდატურა. ამ ორი პიროვნებიდან ერთი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს, ხოლო მეორე - იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელმაც მოახდინა ოქმის რატიფიცირება. ერთი სიტყვით, საქართველოს წინაშე დადგა ოქმით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების ვალდებულება.

2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებით იკისრა ვალდებულება, შეექმნა ზემოაღნიშნული სისტემა და 1 წლის განმავლობაში ჩამოეყალიბებინა წამების პრევენციის ერთი ან რამდენიმე ეროვნული მექანიზმი. 22 ივნისს ეს ვადა ამოიწურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ, პრევენციის მიზნით, აუცილებელი ზომების გატარება უნდა დაიწყოს.

*24 საათი*

# შიდა ქართლის ფინანსური პოლიცია კვლავ სკანდალში ეხვევა

პირველი გვერდიდან

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი უკვე მერამდენედ იმართლებს თავს და კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ მისმა თანამშრომლებმა სიგარეტი თვითონ მიიტანეს ფოსოვის სახლში. მისი თქმით, ფოსოვის დაკავების დროს ადგილი არ ჰქონია კანონდარღვევებს.

**„როდესაც ჩვენი თანამშრომლები ეჭვმიტანილის სახლში მივიდნენ, მათ ყვირილი ატეხეს და მეზობლებს მოუხმეს საშველად. შეურაცხყოფა მათი მხრიდან წამოვიდა, მათ ჩვენი ავტომობილიც კი დააზიანეს“,** - განაცხადა მომხდარის შემდეგ ოპერატიულად გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ არსოშვილმა.

ფოსოვი სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა წინასწარი დაკავების საკანში მოინახულეს. რის შემდეგაც განაცხადეს, რომ იგი საშინლად ნაცემია. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას ჩაატარებენ. შემდეგ, სახალხო დამცველი რეკომენდაციებით მიმართავს სამართალდამცველ სტრუქტურებს.




## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" [illegible]

"24 საათის" მკითხველს [illegible] წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# „პროკრედიტ ბანკს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

სალომე ძაძამია



2006 წლის ივლისიდან „პროკრედიტ ბანკს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს, ფილიპ პოტი. საქართველოში ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ბანკის ყოფილი დირექტორი, ფილიპ ზიგვარტი თავის კარიერას „პროკრედიტ ბანკ" კოსოვოში გააგრძელებს.

ბანკის ახალი გენერალური დირექტორი, ფილიპ პოტი 1973 წელს გერმანიაში დაიბადა. 2001 წლიდან „პროკრედიტ ჯგუფის" მენეჯმენტის წევრია. საქართველომდე პოტი 12 თვე „პროკრედიტ ბანკ" უკრაინის გენერალური დირექტორის მოადგილე გახლდათ, მანამდე კი, თითქმის ორი წლის განმავლობაში, „პროკრედიტ ბანკ" მოლდოვას გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

ბანკის მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ისიც, რომ 2006 წლის ივნისიდან გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები ლარში გახსნილ დეპოზიტებზე და ამჟამად ვადიანი ანაბრის წლიური საპროცენტო სარგებელი 15%-ს, ხოლო შემნახველ ანაბრებზე წლიურ 10%-ს შეადგენს.

დღეისათვის „პროკრედიტ ბანკს" საქართველოს მასშტაბით 32 ფილიალი და 37 ბანკომატი გააჩნია, „პროკრედიტ ბანკის" ყველა ფილიალი აღჭურვილია უმაღლესი ევროპული სტანდარტების მიხედვით და კლიენტთა მაქსიმალური კომფორტის მიზნით მუშაობს კვირაში ექვსი დღე. „პროკრედიტ ბანკის" მომსახურებით 170 219 კლიენტი სარგებლობს.

„პროკრედიტ ბანკი" ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია საქართველოში, რომლის ძირითად ფოკუსს წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსირება და კერძო იურიდიული პირებისათვის მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტების და მომსახურების გაწევა. ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო 1999 წელს. ბანკს გააჩნია ბანკომატების ყველაზე დიდი ქსელი საქართველოში. ბანკი გახლავთ პროკრედიტ ბანკების საერთაშორისო საბანკო ჯგუფის წევრი, რომელიც მოიცავს 19 ბანკს მსოფლიოს 3 კონტინენტზე.

ბანკმა მიიღო საქართველოში ყველაზე მაღალი საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი „B". შეფასებისას გათვალისწინებული იყო აქციონერების ძლიერი მხარდაჭერა, საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია და მზარდი კლიენტთა ფონდები.

2005 წელს „პროკრედიტ ბანკი" ჟურნალ „Global Finance"- ის მიერ დასახელდა საუკეთესო ბანკად საქართველოში, ხოლო ჟურნალ „The banker"- ის მიერ ყველაზე დინამიურად განვითარებად ბანკად საქართველოში.

„ მე ჩემი ცხოვრების შესანიშნავი 4 წელი გავატარე საქართველოში, ასეთ დიდ ქვეყანაში მუშაობა ჩემთვის მართლაც ფანტასტიკური გამოცდილება იყო. ჩემი ვაჟიც აქ დაიბადა, ის ქართულ ბაღში დადის და კარგად ფლობს ქართულ ენას. ალბათ ყველაზე მეტად მას გაუჭირდება საქართველოდან წასვლა. საქართველოსთან, ახალ მენეჯმენტთან და ჩემს კოლეგებთან კვლავაც ძალიან ახლო ურთიერთობა მექნება. მე ვფიქრობ, რომ 4 წელის მანძილზე ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ და ბანკი მკაფიოდ გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი ლიდერი საქართველოს საბანკო სივრცეში.

ცუდია, რომ ეს ჩემი ბოლო შეხვედრაა ჟურნალისტებთან, მახსოვს ჩემი პირველი პრესკონფერენცია, მაშინ „პროკრედიტ ბანკი" მიკრო საფინანსო იყო. ჩვენზე დაწერილი სტატიებიც შენახული მაქვს. ჩემთვის დიდი პატივი იყო, გამეზიარებინა ყველა სიახლე ჟურნალისტებისთვის. ჩვენ მედიასთან ყოველთვის ღიად ვურთიერთობდით და ეს პოლიტიკა კვლავაც გაგრძელდება," - განაცხადა „პროკრედიტ ბანკის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა.

„პროკრედიტ ბანკის" გენერალური დირექტორი ფილიპ პოტი:"ჩემთვის პატივია ვიმუშაო საქართველოში. თქვენს ქვეყანაში პირველად 2001 წელს ვიყავი და გაოცებული ვარ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით და ბანკის ზრდით. ბატონი ფილიპის დამსახურებაა ის მნიშვნელოვანი წარმატებები, რაც ბანკმა ამ პერიოდში მიაღწია. მან დიდი შრომა და ენერგია ჩადო ამ საქმეში. მან მე მუშაობა გამიმარტივა, რადგან ბანკს მყარი და მზარდი პოზიცია უჭირავს ბაზარზე. დიდი გეგმები გვაქვს, უპირველესად გვინდა ქსელი გავაფართოვოთ რეგიონებში, რათა უფრო მეტმა ადამიანმა ისარგებლოს ჩვენი მომსახურებით. შევეცდებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ №1 ბანკი ვიყოთ საქართველოში. გვინდა მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მეანაბრეებთან და ჟურნალისტებთან. მთელს ჩემს ენერგიას დავუთმობ ბანკის განვითარებას. აუცილებლად განვაგრძობ ბატონ ფილიპთან ურთიერთობას. მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ პოსტზე დავინიშნე."




## საგანგაშო ტენდენცია - სამართლებრივი ძალადობა ადვოკატების წინააღმდეგ

*საკონსტიტუციო სასამართლოში განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა - მიიღებს თუ არა სასამართლო წარმოებაში არასამთავრობო ორგანიზაცია არასამთავრობო ორგანიზაციების სარჩელს, ეს 20 ივლისს გახდება ცნობილი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლს არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ და მართლმსაჯულების ახალ ტრადიციაზე კონკრეტული ფაქტებით საუბრობენ. საქმე ისაა, რომ ხსენებული მუხლის საფუძველზე, მოსამართლეებმა სადამსჯელო სანქციების გამოყენება ადვოკატების წინააღმდეგაც დაიწყეს.*

სწორედ ამ ფაქტის გამო შეიკრიბნენ სახალხო დამცველის ოფისში ადამიანის უფლებათა დამცველები. ადვოკატების თქმით, მათ უფლებებს მოსამართლეები უხეშად არღვევენ. უფლებათა დამცველებმა ამის დასადასტურებლად კონკრეტული მაგალითებიც მოიყვანეს. ადვოკატები, არასამთავრობოები და სახალხო დამცველი ერთხმად მოითხოვენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის გაუქმებას, რომელიც მოსამართლეს სრულ უფლებას ანიჭებს, ადვოკატი სასამართლო დარბაზიდან გააძევოს და თუ საჭირო გახდება, დააპატიმროს კიდეც.

**„ბოლო დროს მოსამართლეების მიერ ადვოკატების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტები შემაშფოთებელ ტენდენციად ჩამოყალიბდა. სასამართლოს მიმართ პატივისცემის გამოხატვა ერთმნიშვნელოვანი ფორმულაა, მაგრამ მოსამართლეს არ აქვს აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება. იგი ვალდებულია, პროცესის მონაწილეებს თანაბარი პირობები და სრული შესაძლებლობა შეუქმნას, რათა სრულყოფილად დაიცვან საკუთარი პოზიციები. დღეს მოსამართლე 208-ე მუხლს ადვოკატის წინააღმდეგ მაშინ იყენებს, როდესაც დაცვის მხარე აყენებს რაიმე შუამდგომლობას ან გამოთქვამს პროტესტს. ეს დაცვის მხარეს ფიქტიურ მდგომარეობაში აყენებს, რაც ძალიან საშიში ტენდენციაა. ამ რეპრესიული ზომების ამოქმედებით ადვოკატებს გვაიძულებენ, ავირჩიოთ მდუმარე, მორჩილი პოზიცია. ასე გაგრძელების შემთხვევაში უარეს შედეგებს უნდა ველოდეთ",** - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია, რომელიც თავად გახდა 208-ე მუხლის მსხვერპლი - მას მოსამართლე მალხაზ გურულმა დაცვის უფლება ჩამოართვა და პროცესიდან გააძევა, იმის გამო, რომ ადვოკატმა შუამდგომლობის ოქმში შეტანა მოითხოვა.

მისივე ინფორმაციით, ყოველ ნაბიჯზე ირღვევა დამცველის და ბრალდებულის პირისპირ შეხვედრის უფლება. დაკითხვები კი ფარულად დამონტაჟებული ვიდეოკამერების მეთვალყურეობით ტარდება.

**„ადვოკატებს გვართმევენ უფლებას, ეფექტურად დავიცვათ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთა ინტერესები. ამას სჭირდება განხილვა, სამზეოზე გამოტანა და დროული რეაგირება იმ ორგანოების მხრიდან, ვისაც ეს ევალება",** - აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაიხსენეს ფაქტი, როდესაც მოსამართლემ ადვოკატი მხოლოდ იმ მოტივით დააპატიმრა 30 დღით, რომ ადვოკატმა აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე მოწმის ჩვენების სათარგმნელად თარჯიმანი მოითხოვა.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიესალმება სასამართლოებში წესრიგის დამყარებას, თუმცა აღნიშნავს, რომ გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა შეაფერხოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების განხორციელება და სასამართლო პროცესებზე აუცილებლად უნდა იყოს დაცული მხარეებს შორის შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც აუცილებელია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

ადამიანის უფლებებზე საუბრისას სახალხო დამცველმა მისი აპარატის მიერ შესწავლილი ორი კონკრეტული მაგალითი დაასახელა. საქმე ისაა, რომ 2006 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის N2 და თბილისის N7 საპყრობილეში პატიმრებისა და ადვოკატების შეხვედრის ოთახებში დაყენებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ „დამცველს უფლება აქვს, შეხვდეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე".

დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ 3 ივლისს სახალხო დამცველს უპასუხა, რომ ისინი უარს ამბობენ ამ რეკომენდაციის შესრულებაზე, რადგან ის, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია გაერო-ს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით", ხოლო ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მაღლა დგას საქართველოს კანონმდებლობაზე, ამიტომ დეპარტამენტი მათ ანიჭებს უპირატესობას და ამით ხელმძღვანელობს.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მინიმალური სტანდარტები არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციასაც ახდენს პარლამენტი და რომელიც მაღლა დგას საქართველოს კანონმდებლობაზე. 1955 წელს გაერო-ს მიერ მიღებული ამ დოკუმენტის მიხედვით, მინიმალური სტანდარტის ქვემოთ არ უნდა დაეშვას არც ერთი ქვეყანა.

ეს დოკუმენტი მიღებულია მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი და სხვა მრავალი დიქტატორული რეჟიმი, სადაც არათუ რაიმე სტანდარტზე, არამედ, საერთოდ, ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბარი აზრს იყო მოკლებული. **„საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს და ეს არის ჩვენი დემოკრატიის ერთ-ერთი ნიშანი," -** აცხადებს სოზარ სუბარი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ეს კარგად იციან სასჯელაღსრულების დეპარტამენტშიც.

**„თუმცა, უბრალოდ, ეს ის შემთხვევაა, როცა მაღალი თანამდებობის პირი თავს უფლებას აძლევს, დადგეს კანონზე მაღლა. სწორედ ასეთი მიდგომა უქმნის საფრთხეს საქართველოში კანონის უზენაესობას. პარლამენტი არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ახორციელებს დემოკრატიულ კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მის მიერ კანონის უზენაესობის დაცვაზე",** - აცხადებს სახალხო დამცველი, რომლის თქმითაც, მსგავსი ფაქტები პარლამენტმა არ უნდა დატოვოს რეაგირების გარეშე.

მეორე ფაქტი, რომლის შესახებაც სახალხო დამცველმა ისაუბრა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის ნანა ჭიჭილეიშვილის მიერ განხილული საქმეა.

შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლოზე პროკურორმა იშუამდგომლა ადვოკატების - გოჩა სვანიძისა და დავით კორკოტაშვილის აცილებაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. მოსამართლე დადგენილებაში მიუთითებს სსსკ-ს 107-ე მუხლის ე პუნქტზე, სადაც ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავ საფუძველს წარმოადგენს არგუმენტი, როცა „დასაცავი პირი უარს ამბობს დაცვაზე და უარი მიღებულია".

სახალხო დამცველის განცხადებით, მართალია, პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას განსასჯელებმა უარი თქვეს ადვოკატებზე, მაგრამ სააპელაციო სტადიაზე საქმის განხილვისას რამიშვილმა და კოხრეიძემ მოითხოვეს, პროცესზე მათი უფლებები დაეცვათ ადვოკატებს გოჩა სვანიძესა და დავით კორკოტაშვილს. ამ უფლებას მათ აძლევდათ სსსკ-ს 78-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ განსასჯელს უფლება აქვს შეცვალოს თავისი პოზიცია და კვლავ მოიწვიოს დამცველი შეთანხმებით. მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას.

**„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიზღუდა განსასჯელების უფლება დაცვაზე, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით",** - აცხადებს სახალხო დამცველი, რომელმაც რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის საბჭოს მდივანს და მოითხოვა მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრა.

სახალხო დამცველი, ადვოკატები და ადამიანის უფლებათა დამცველები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ადვოკატთა უფლებების დაცვა, რათა მათ თავიანთი მოვალეობის შესრულება შეძლონ.

*24 საათი*

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

გადარჩენილი ფოტოები



სოხუმი. 1989 წელი. ნეიროქირურგიის ცენტრის ეზოში. მარცხნიდან: ექიმ-ტრავმატოლოგი რუსუდან სამუშია, რეანიმატოლოგი ნარგიზა ხარჩილავა (აფხაზი), სანიტარი ვალია (უკრაინელი), ნეიროქირურგი გიგა კვარაცხელია, გ. სამუშია. წინა პლანზე - მამა-შვილი პაპკორიძეები (რუსუდან სამუშიას მეუღლე და ვაჟიშვილი).

ფოტო მოგვაწოდა ნატო ფარულავამ.

## ეს ხომ საშინელებაა?!

*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და ქალაქ მცხეთის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს უძველეს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ვოვა ვეკუას სახელი ეწოდა.*

ლელა მარგიანი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელთა ინიციატივით, ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა გამსვლელი ლექტორიუმი მცხეთასა და თბილისში. აღნიშნული ღონისძიება, რომელიც აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენების მეჩვიდმეტე წლისთავს მიეძღვნა, წინამურში ილიას მემორიალთან მისვლითა და დიდი ქართველისთვის პატივის მიგებით დაიწყო.

შემდეგ ღონისძიების მონაწილეებმა მოინახულეს ილიას სახლ-მუზეუმი საგურამოში, სადაც გაიმართა გამსვლელი ლექტორიუმი თემაზე: „აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების სათავეებთან (1988-1991) და სადღეისო ამოცანები". შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მთავრობის, თავადაზნაურთა საკრებულოსა და „ქართველ ჩოხოსანთა" წარმომადგენლებმა ერთად მოილოცეს სვეტიცხოვლის სიწმინდეები, ხოლო ჯვრის მონასტერში ილია ჭავჭავაძის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ღონისძიება მეორე დღეს, 15 ივლისს მთაწმინდის პანთეონში ილია ჭავჭავაძის, მერაბ კოსტავას და სხვა გამოჩენილი მამულიშვილების საფლავების მონახულებით დაიწყო. შემდეგ მონაწილეებმა გაიარეს ვოვა ვეკუას სახელობის ქუჩაზე, სადაც მათ ელოდნენ ვოვა ვეკუას ძმა, რძალი და შვილიშვილი. შეხვედრის დროს შესრულდა ქართული ხალხური სიმღერა „შავლეგო".

შეხვედრის მონაწილეებმა აფხაზეთში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს გმირთა მოედანზე არსებულ მემორიალთან წითელი ვარდების მიტანით.

„24 საათთან" საუბარში შეხვედრის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თემურ მჟავიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოში არსებული სერიოზული საკითხების გადაჭრა შეუძლებელია მთელი საზოგადოების კონსოლიდაციის გარეშე და რომ ორდღიანი აქციაც სწორედ ამას ისახავს მიზნად.

„ჩვენ გვჭირდება კონსოლიდაცია, გამთლიანება. სწორედ ესაა ჩვენი დღევანდელი ღონისძიების მთავარი არსი და მიზანი. სწორედ ეროვნულ კონსოლიდაციას და საქართველოს გამთლიანებას შესწირეს თავი გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: ვოვა ვეკუამ, ზურაბ ჭავჭავაძემ, მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ და სხვებმა. მათი ცხოვრების მიზანი ხომ ჩვენი ერის გამთლიანება იყო. ჩვენი ღონისძიებაც სწორედ ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. მინდა ვთქვა, რომ 90-იანი წლების ბოლო პერიოდში სოხუმი იყო საოცრად ქართული ქალაქი და ალბათ სწორედ ამ სულისკვეთების გამო მიიტანა ჩვენმა მტერმა იერიში მასზე. ქართველობისთვის ერთგულებამ განაპირობა ბევრნაირად ჩვენი დევნილობაც. ამიტომ განვიცდით ძალიან მტკივნეულად ის შეფასება, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ (ვფიქრობთ, იგი ემოციურ ტალღაზე იყო გამოთქმული). ნამდვილად არ იმსახურებს ჩვენი ხალხი ამგვარ შეფასებას," - განაცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ.

ბატონი გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დღესაც, ჩვიდმეტი წლის შემდეგ, უემოციოდ ვერ იხსენებს მეგობრის - ვოვა ვეკუას დაღუპვის ამბავს და იმ ტრაგიკულ დღეებს, როდესაც ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველად დაიღვარა სისხლი.

„მე უშუალო მონაწილე ვარ იმ საშინელების, რაც მაშინ აფხაზეთში დატრიალდა. ჩემს გვერდით მოკლეს ვოვა ვეკუა. კარგად მახსოვს როგორ დაგვიპირისპირდა 500-600 კაცს - ძირითადად უნივერსიტეტის თანამშრომლებს - 6 ათასი შეიარაღებული ადამიანი. ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით. დღესაც თვალწინ მიდგას ის სიტუაცია-თითქოს ყველაფერი გაჩერდა, ვერც ისინი მოდიოდნენ, არც ჩვენ ვაპირებდით პირველი ნაბიჯის გადადგმას. ასე გაგრძელდა ნახევარი საათი. ვოვამ გვითხრა, ერთმანეთს ხელები მხრებზე გადავაჭდოთ, რომ „მათ" დაინახონ, რომ „ჩვენ" ჩხუბი არ გვინდაო. ჩვენ მართლაც შევკარით ჯაჭვი და ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით ჩვენ - ქართველები და აფხაზები. მერე „ვიღაცამ" ჩვენს შორის დიდი ავტობუსები ჩააყენა და ჩვენ ერთმანეთის თვალები „დავკარგეთ", მაშინ დაიწყო საშინელება... იმ დღეს მოკლეს 20 ქართველი და 4 აფხაზი (ერთი მათგანი საკუთარ ნაღმზე აფეთქდა). ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რატომღაც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ათვლას იწყებენ 92 წლიდან, რაც არაა სწორი. დღემდე არანაირი შეფასება არ მოჰყოლია 89 წლის სოხუმის ამბებს, როდესაც პირველად დაიღვარა მშვიდობიანი ქართველების სისხლი. ჩვენმა საზოგადოებამ დაივიწყა ის ადამიანები (მათ შორის ვოვა ვეკუა), ვინც პირველი შეეწირა სამშობლოს ერთიანობას. ჩვენ არ გვინდა ეს თარიღი დავიწყებას მიეცეს, რათა კვლავ არ განმეორდეს მსგავსი რამ ჩვენ შორის. ვფიქრობ, ორივე მხარე ვართ დამნაშავე მომხდარში და უნდა გასამართლდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. ისინი, ვინც მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი დაღვარა. ჩვენ და აფხაზებს არაფერი გასაყოფი არ გვქონდა. წარმოგიდგენიათ, შემდეგ ომის დროს, ერთ ბრძოლაში 16-17 მარტს, ორი „გვაზავა" დაიღუპა: ერთი იყო აფხაზი - 21 წლის ედგარ გვაზავა და მეორე - ქართველი, 24 წლის გია გვაზავა. ეს ხომ საშინელებაა?! ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, თუმცა დამნაშავენი ორივე მხრიდან უნდა დაისაჯონ!"

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# მომავლის გასაღები

## აფხაზური მხარის წინადადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ყოვლისმომცველი დარეგულირებისათვის

*ქართული საზოგადოების სამსჯავროზე გამოგაქვს აფხაზური მხარის წინადადებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. გთავაზობთ დოკუმენტის - „მომავლის გასაღები" - არაოფიციალურ თარგმანს. ამოღებულია შესავალი, რომელიც შეიცავს მხოლოდ ისტორიულ ექსკურსს.*

### დარეგულირების ახალი ეტაპი - საფუძველი

#### გადაფასება

მხარეებს შორის ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ აფხაზური საზოგადოება დაინახავს, რომ საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებთან ერთად მოხდა წარსულის შეცდომების გადაფასება და საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა მზად იქნება ბოდიში მოუხადოს აფხაზ ხალხს ასიმილაციის, ომისა და იზოლაციის სახელმწიფო პოლიტიკის გამო. უეჭველია, ასეთი მაგალითი დიდ მხარდაჭერას ჰპოვებს მთელ საერთაშორისო საზოგადოებაში და იქნება პრეცედენტი სხვა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში. აფხაზეთი კი ამ ნაბიჯს შეხვდება, როგორც საქართველოს რეალურ მზადყოფნას ურთიერთობების აბსოლუტურად ახალ დონეზე გადასასვლელად.

წარსულის შეცდომების გააზრება და ბოდიში, წარმოადგენს ფუნდამენტს ხანგრძლივი, სტაბილური ურთიერთობების პროცესის ასაგებად.

#### ბლოკადა

დარეგულირების პროცესის ახალი ეტაპის წინაპირობა უნდა გახდეს აფხაზეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის მეთოდებზე უარის თქმა. კერძოდ, ეკონომიკური და ინფორმაციული ბლოკადის რეჟიმის მოხსნა.

ნდობის აღდგენის წინა პროცესმა, უეჭველია, დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ეფექტურობისა და დანახარჯების თანაფარდობამ, აგრეთვე სარგძნობი პროგრესის არარსებობით გამოწვეულმა პროსტრაციამ, ნათლად გამოაჩინეს, რომ ნდობა მხოლოდ დეკლარატიულ საფუძველზე ვერ აღდგება.

ეკონომიკური ბლოკადის ანტიჰუმანურობა და არაპროდუქტიულობა დრომ დაამტკიცა. ბლოკადის შედეგები, პირველ ყოვლისა, მშვიდობიან მოსახლეობაზე აისახა და პასუხისმგებლობის თავისი წილი უნდა დაეკისროს ყველა მხარეს, ვინც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ბლოკადის გადაწყვეტილებაში.

საქართველო უშუალო პასუხისმგებელია 1992-1993 წლებში ომის გაჩაღებაში და აფხაზეთისათვის ზარალის მიყენებაში. წინასწარი გაანგარიშებით საქართველოს მხრიდან აფხაზეთისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 13 მილიარდი აშშ დოლარი. თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთის ეკონომიკისთვის ბლოკადით მიყენებულ ზარალსაც, მოცემული თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

იზოლაციამ აფხაზეთის მოსახლეობა მოწყვიტა ეკონომიკური ინტეგრაციის გლობალურ პროცესებს, რაც აისახება აფხაზი ხალხისა და მისი ყველა მეზობლის ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. ბლოკადის გამო აფხაზი ხალხი კარგავს შემოსავლის მნიშვნელოვან წილს, რომელიც შეიძლება მიმართულიყო უფრო ფართო სოციალურ-ჰუმანიტარულ პროგრამებზე. ირიბად ირღვევა აფხაზი ხალხის განვითარებისა და თავისუფალი ეკონომიკური მოქმედების უფლება.

ისარგებლა რა აფხაზეთის წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციული ბლოკადით, ლისაბონის ეუთოს სამიტზე საქართველომ ხელი შეუწყო ისეთი რეზოლუციის მიღებას, რომელიც აფხაზურ მხარეს ეთნიკური წმენდის მოწყობაში ადანაშაულებს. ისეთ პირობებში, როცა აფხაზები თავად მასობრივად განადგურდნენ საქართველოს მხრიდან, აღნიშნული რეზოლუცია ატარებს წმინდა პოლიტიკურ და ანგაჟირებულ ხასიათს და არ შეესაბამება სინამდვილეს იმდენად, რამდენადაც მიღებულ იქნა ფაქტების ყოველგვარი წინასწარი გადამოწმების გარეშე. უფრო მეტიც, გაეროს მისია 1994 წელს აფხაზეთში სიტუაციის შეფასების შემდეგ და გაეროსა და ეუთოს ერთობლივი მისია 2000 წელს გალის რაიონის სიტუაციის მონიტორინგის შემდეგ ასეთ დასკვნამდე არ მისულან.

### მეორე ეტაპი - „ნდობის განმტკიცების პრაქტიკული ნაბიჯები"

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოცემულ ეტაპზე, როცა აფხაზური მხარის შეშფოთება საქართველოს ინტენსიურ მილიტარიზაციასთან დაკავშირებით საფუძვლიანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ისეთი საიმედო ზომების მიღების აუცილებლობას, რაც საომარ მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიას მოგვცემს. ასეთი ნაბიჯები ითხოვს სასწრაფო რეაგირებას და გადაწყვეტას იმდენად, რამდენადაც მილიტარიზაცია ახალი ომისთვის აგულიანებს საქართველოს მთავრობაში და საზოგადოებაში არსებულ მებრძოლ განწყობაზე მყოფ გარკვეულ ჯგუფებს. ასეთი განწყობა სულ უფრო მეტად მოიცავს საქართველოს საზოგადოების ცნობიერებას, რაც განაპირობებს უნდობლობისა და გაუცხოების ზრდას აფხაზურ საზოგადოებაში.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს საქართველოს მხრიდან არაპროდუქტიული მოქმედება, რომელიც მიმართულია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესიდან რუსეთის ამოგდების მცდელობისაკენ. სინამდვილეში ეს შიდაპოლიტიკური კურსი დემონსტრირებას უკეთებს საქართველოს მისწრაფებას კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციისაკენ, სამშვიდობო ოპერაციების მოთავსებისაკენ სუამის 2005 წლის კიშინიოვის დეკლარაციის ჩარჩოში, - „დემოკრატიის, სტაბილურობისა და განვითარებისათვის", რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ და არა სამშვიდობო რესურსს. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთი დარწმუნებული არ არის, რომ საქართველოს თავს შეიკავებს ძალის გამოყენებისაკენ. ამიტომ, პირველ რიგში ქართული მხარე დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების გარეშე შეწყვეტს ძალადობას გალის მოსახლეობასთან დაკავშირებით და თავის საკონტროლო ზონაში შექმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ შეუძლებელი გახდეს დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების არსებობა. საერთაშორისო საზოგადოება მონიტორინგს ჩაატარებს ზუგდიდში, რაც დაადასტურებს იმას, რომ საქართველომ უარი თქვა დივერსიულ-ტერორისტული ომის მეთოდებზე, რაც ბოლოს მოუღებს ძალადობას, ტერორიზმს და ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ქართული და აფხაზური მხარეები გააკეთებენ არაორაზროვან განცხადებებს სასაზღვრო ზონაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

გაერო ტექნიკური აღჭურვილობით ხელს შეუწყობს აფხაზური და ქართული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

#### პოლიტიკური პროცესი

კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესი აუცილებელია, გავიყვანოთ აბსოლუტურად ახალ და პროდუქტიულ ეტაპზე. ამ ეტაპის ათვლის წერტილი იქნება აფხაზეთისა და საქართველოს ლიდერების პირველი პირდაპირი შეხვედრა, რომელზეც მხარეები ღიად განაცხადებენ კონფლიქტის მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით გადაწყვეტის სურვილს და საერთაშორისო გარანტიების პირობებში მოაწერენ ხელს სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის თანახმად უარს იტყვიან ძალის გამოყენებაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის რაიმე მეთოდზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ორივე მხარის მცდელობა უზრუნველყოს უსაფრთხოება ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში, რაც ასევე უნდა აისახოს ორი ლიდერის მიერ ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შემდგომი ფართო მოლაპარაკებების მონაწილე უნდა იყოს რეგიონულ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე ყველა ქვეყანა, კერძოდ აფხაზეთი, საქართველო, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, სახრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი, აზერბაიჯანი და ევროპის კავშირი, როგორც შავიზღვისპირეთსა და კავკასიის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის ფასილიტატორი.

ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული მოდელების განვითარება ხელს შეუწყობს ურთიერთსასარგებლო, პარტნიორული და ერთმანეთზე დამოკიდებული კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას, რაც მომავალში ხანგრძლივი და სტაბილური მშვიდობის მყარი საფუძველი გახდება.

საერთაშორისო საზოგადოება, კერძოდ გაეროს უშიშროების საბჭო გახდება დამოუკიდებელი არბიტრი და ხელს შეუწყობს საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების უზრუნველყოფას. პირობები და მხარეების პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნების თაობაზე ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული გაეროს დოკუმენტებში და უნდა წარმოადგენდეს შეიარაღებული კონფრონტაციისაგან თავის შეკავების მექანიზმს.

დაახლოებისკენ გადადგმული შემდეგი ნაბიჯი გახდება ორი ქვეყნის პრეზიდენტების წინასწარი კონსულტაცია ორი სახელმწიფოს შემდგომი მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობების თაობაზე. ამ შემთხვევაში საქართველო გახდება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატორი.

უდავოა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა საქართველოსთვის ძალიან ძნელი იქნება. მშვიდობიანი თანაცხოვრების გზაზე ეს არის სწორედ ის ბარიერი, რომლის დაძლევა აუცილებელია. ცხადია, ასეთი ნაბიჯის შემდეგ რეგიონულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით მხარეების პოზიციები საგრძნობლად დაახლოვდება, რაც პირდაპირ იმოქმედებს უსაფრთხოების ხარისხზე, სტაბილურობაზე და რეგიონის ეკონომიკურ აყვავებაზე, ასევე უფრო მეტ სტაბილურობას მოუტანს მეზობლებს.

#### დევნილების დაბრუნების პროცესი

აფხაზეთმა განაცხადა თავისი მზადყოფნა, გაიზიაროს დევნილების საქმეში გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ შემოთავაზებული პერსპექტიული გეგმა. ამასთან დაკავშირებით ქართველი დევნილების ვერიფიკაციის პროცესმა უნდა მიიღოს დიდი მხარდაჭერა სამშვიდობო პროცესის ყველა მონაწილისაგან იმდენად, რამდენადაც სიტუაციის მხოლოდ დამოუკიდებელი შეფასება მოგვცემს მომავალი ჰუმანიტარული აქციის რეალურ სურათს.

აფხაზური მხარე მზადაა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში იმდენად, რამდენადაც ამ პროცესის ინიციატორი თავად იყო 1999 წლის მარტიდან.

დევნილების დაბრუნების საკითხი საჭიროებს უფრო ყურადღებიან და აწონ-დაწონილ მიდგომას. დარეგულირების პროცესის საერთაშორისო მონაწილეებმა უნდა გაიაზრონ მოცემული აქციის ნეგატიური შედეგიც.

#### ეკონომიკური თანამშრომლობა

აფხაზეთი გამოთქვამს მზადყოფნას იმ ნდობის ხარისხის რეალიზაციისა, რომელსაც ითვალისწინებს 2003 წლის სოჭის შეთანხმება დევნილების დაბრუნების სფეროში, რკინიგზის აღდგენისა და ენგურჰესის რეაბილიტაციის საქმეში. ეს სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. აფხაზეთისა და საქართველოს ფართო რეგიონული თანამშრომლობის კონტექსტში უნდა განვითარდეს კოოპერაციის თანამედროვე და ცივილიზებული მეთოდები „ევროკავშირის დიდი მეზობლობის სტრატეგიის" ჩარჩოებში.

სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტების ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, უარი ითქვას მრავალი, წმინდა ეკონომიკური საკითხების პოლიტიზირებისაგან, კერძოდ რკინიგზის აღდგენის პროექტთან დაკავშირებით. საქართველომ, როგორც „ევროკავშირის დიდი მეზობლობის სტრატეგიის" მონაწილე სახელმწიფომ მკაცრად უნდა განსაზღვროს პასუხისმგებლობა იმ საქციელზე, რომელიც რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის რესურს ზღუდავს.

ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებისა და გარე საშიშროებებთან ბრძოლის საკითხების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მთელი კავკასიის რეგიონის სტაბილურობა არის ის საფუძველი, რომელიც შეიძლება შერიგების ფაქტორად გადაიქცეს. უეჭველია, რომ აფხაზეთის როლის იგნორირება, როგორც ევროკავშირთან, საქართველოსთან და რუსეთის ფედერაციასთან, აგრეთვე სომხეთთან და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის განუყოფელი ელემენტისა იწვევს უფრო დიდ სტაგნაციას და ხელს უშლის პროგრესს კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

აფხაზეთის აღიარება რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების კონკრეტულ საკითხებს მოაგვარებს, რაც არის სახელმწიფოებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ფუნდამენტი.

უკვე 13 წელია, აფხაზეთი დამოუკიდებლად ავითარებს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას, საბაზრო ეკონომიკას, საკანონმდებლო ბაზას, დამოუკიდებელ სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანის უფლებების დაცვას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. დღევანდელი აფხაზეთი - ესაა სახელმწიფო განვითარების მტკიცე მაჩვენებლებით.

აფხაზეთს აქვს უნარი, ივალდებულოს და სრულყოფილად შეასრულოს რეგიონის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობებში შემაკავშირებელი როლი. აფხაზეთის დამოუკიდებლობის პოლიტიკური აღიარების არარსებობა ეწინააღმდეგება სტაბილურობას, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას შორის კომუნიკაციების აღდგენის პროცესში შემაერთებელ როლს, რაც შედის არა მარტო აფხაზეთის, არამედ საქართველოს, რუსეთისა და ევროკავშირის ინტერესებში. კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება, ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული მოდელების გამოყენება, ტრანსკავკასიური კომუნიკაციის განვითარება, უეჭველია, ეხმიანება ყველა მხარის ინტერესებს.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს გადალახავს ბარიერს და აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მაშინ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მომავლის გასაღები შეიძლება გახდეს თანამშრომლობა ოთხ საერთო სფეროში: ეკონომიკა, ენერგეტიკა, უსაფრთხოება, აგრეთვე მეცნიერება და კულტურა. საქართველოსთან ურთიერთობების განვითარება იქნება ეფექტური და უპასუხებს საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთსასარგებლო ინტერესებს. ეს იქნება მაგალითი ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ადგას კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან და დემოკრატიულ გზას.

სამწუხაროდ, შავიზღვისპირეთის ეკონომიკურ თანამშრომლობაში საკუთარ როლზე საუბრისას საქართველოს შეცდომაში შეჰყავს ევროპელი მეზობლები, როცა ეკონომიკურ პროგნოზებს აკეთებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გათვალისწინებით. არსებული რეალობის გაუთვალისწინებლობით გაკეთებული მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზებით საქართველო ქმნის მიუღებელ პირობებს ნდობის აღდგენისათვის და მთლიანად დიალოგის პროცესისათვის, აგრეთვე საფუძველს უქმნის რეგიონულ მეზობლებს შორის ხანგრძლივი ურთიერთობების მცდარ სტრატეგიას.

#### მოლაპარაკების პროცესი და მონაწილენი

გაეროს უშიშროების საბჭოს შეეძლო ხელი შეეწყო მოლაპარაკებების პროცესის წინსვლისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი კონფლიქტში და მოლაპარაკებებში უშუალო მონაწილე მხარეა, აფხაზური მხარე კიდევ ერთხელ მიმართავს გაერთიანებული ერების ოარგანიზაციას, რუსეთის ფედერაციას, როგორც თანამზრახველი მხარეს და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარს, თხოვნით, განიხილონ აფხაზეთის წარმომადგენელთა მონაწილეობის საკითხიბგაეროს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე, სადაც უშიშროების საბჭოს მონაწილეებს საშუალება ექნებოდათ მოესმინათ კონფლიქტში მონაწილე ერთერთი მხარისათვის და მიეღოთ ობიექტური ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე.

გამოკითხვა

## რას ფიქრობთ დევნილების გამოსახლების პროცესზე?

**ნიკოლოზ სვანიშვილი**, სამართალმცოდნე, 43 წლის: „ეს პროცესი ადრე თუ გვიან უნდა დაწყებულიყო. შევარდნაძის მთავრობამ ეს ვერ გაბედა და საამისოდ თანხაც ვერ გამონახა, თორემ მაშინ რომ მოეხერხებინათ, ახლა ეს ხალხი დაბინავებული იქნებოდა, მაშინ ბინები შედარებით იაფი იყო. ერთი მხრივ, სწორია, რომ ხელისუფლება ამას აკეთებს, მაგრამ მედალს აქვს ორი მხარე - რამდენად არის გათვალისწინებული ამ ხალხის მდგომარეობა, როგორ შეძლებენ ისინი დაბინავებას, ეყოფათ თუ არა ის თანხა, რასაც ინვესტორი სთავაზობთ. ეს პროცესი ამ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის შემდეგ უნდა დაწყებულიყო და ამდენი დაპირისპირება არ იქნებოდა".

**მარიამ ცინაძე**, ეკოლოგი, 35 წლის: „სხვისი ჭირი, ღობეს - ჩხირიო, სწორედ ასე გამოგვივიდა, თუმცა გვავიწყდება, რომ ეს ჩვენი ჭირი და სირცხვილია, რომ ჩვენს აფხაზეთიდან დევნილ ხალხს სათანადოდ ვერ მოვუარეთ და ვერ მივაქციეთ ყურადღება. რამდენი ადამიანი დაავადდა სულიერად თუ ფიზიკურად ამ ომის გამო. თითქოს, აიწყვეს ცხოვრება და ახლა კიდევ მეორედ ვწირავთ ლტოლვილობისთვის".

**კობა სისაური**, მძღოლი, 56 წლის: „რა მნიშვნელობა აქვს, მე რას ვფიქრობ. ვინმეს აინტერესებს, რა მოელის იმ გამოსახლებულ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში დევნილები არიან? ან ჩემი მდგომარეობა ვინმეს აინტერესებს? ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ ლუკმა-პურისთვის „ტაქსაობა" დამჭირდებოდა? მე რას ვიტყვი და რას დაწერთ, განა რამე მნიშვნელობა აქვს?"

**ნანა გაგნიძე**, ისტორიკოსი, 30 წლის: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ეს ხალხი და ხელისუფლება დაპირისპირებული მხარეები არიან. ყველაფერში ასეთი წინააღმდეგობა შეიძლება? ნუთუ, არ არის შესაძლებელი, ერთმანეთს მოვუსმინოთ და ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რითაც ორივე მხარე კმაყოფილი იქნება?"

**ნათია მაისურაძე**, სტუდენტი, 23 წლის: „მე მგონი, სწორია, რომ სასტუმროებიდან და საავადმყოფოებიდან დევნილები გამოიყვანონ და ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეუქმნან. ბოლოს და ბოლოს, ამდენი წელი გავიდა, მუდმივად საავადმყოფოში და სასტუმროში ხომ არ იცხოვრებენ. ამას წინათ ახლობლის დედის სანახავად ვიყავი რესპუბლიკურ საავადმყოფოში და გული შემიწუხდა, აქეთ - ავადმყოფები არიან, იქით ქათმების კაკანი და მგონი, თხების კიკინიც კი ისმის. ასე გაგრძელება რომ აღარ შეიძლება, ცხადია."

**ვახტანგ გოგია**, აფხაზეთიდან დევნილი: „რომ იძახიან, აიღეთ ეს შვიდი ათასი და ბათუმში და თბილისში ნუ იყიდით სახლს, სადმე სხვაგან იყიდეთო. ასე ადვილია ისევ თავიდან ცხოვრების დაწყება სხვა სიტუაციაში? ფაქტობრივად, ხომ ისევ დევნილობისთვის წირავ ამ ადამიანებს. აქ - ბათუმში თუ თბილისში თუ სადაც არის, ასე თუ ისე, ააწყო ცხოვრება ამ კაცმა, შემოსავლის წყარო ნახა, რომ შიმშილით სული არ გასძვრეს და ახლა კიდევ სხვაგან რას მოეწევა? ამას აღარ ფიქრობენ. თუ გაწყდა და სული ამოძვრა ამ ხალხს, ვიღას ვაბრუნებთ აფხაზეთში? ისლა გვაკლდა კიდევ, მოღალატეები გვიძახონ. კარგია, რომ ინვესტორი შემოდის და რაღაცა კეთდება, მაგრამ შეუქმენი ნორმალური პირობები ამ ადამიანებს და ხმას ვინ ამოიღებს, პირიქით, მადლობლები დარჩებიან".

# ჰაიფაში, თემურისკენ!

ბურამ ბათიაშვილი



იმ ორიოდე კვირის განმავლობაში, რაც ივნისში ისრაელში გავატარე, ეს საღამო გამორჩეულად დამამახსოვრდა. ამ საღამომ ჩემთვის ესოდენ ნაცნობი, აწ კი გაბნეული სათითესავით მივიწყებული ქართული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებით მიღწეული ეროვნულობის გრძნობა კვლავ წარმოაჩინა; ლამის უკუნეთში შთანთქმული განცდა ხელახლა შვა და იმ წლებში მიმაბრუნა, როცა ქართულ თეატრში არა მხოლოდ ჩინებული სახეები იქმნებოდა, ახალი აზრიც იბადებოდა.

და თუ თეატრში ემოციურთან ერთად რაციონალური საწყისიც არ არის, იგი ნაკლებად საინტერესოა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრს ტელ ავივში, იაფოში, თემურ ჩხეიძის ამას წინათ განხორციელებული სპექტაკლი - ფრიდრიჰ შილერის „მარიამ სტიუარტი" წარმოუდგენია, მე კი არაფერი გამიგია. ცხადია, გული დამწყდა: ლამის 15 წელია, გიორგი ტოვსტონოგოვის გარდაცვალების შემდეგ, თემურ ჩხეიძე ამ თეატრის მთავარი რეჟისორია, მრავალი სპექტაკლიც განახორციელა აქ, მე კი არც ერთი არ მინახავს. ჩემთვის, დრამატურგისთვის, ადამიანისთვის, რომლისთვისაც თეატრალური ცხოვრება ყოფის ერთ-ერთი მთავარი მხარეა, უწინარესად ამაში ჩანს, თუ როგორ შეიცვალა დრო: ვითომ ახალი სოციალური ურთიერთობის მიერ ჩამოფარებული „ფულის ფარდა" საკმარისი არ იყო, რუსეთმა ადრინდელი რკინის ფარდაც მოიძია და ისე კარგად ჩამოუშვა, თითქოს არც გვცნობია ერთმანეთი, თითქოს არც მისი სამხედრო დიდებისთვის გვიღვრია სისხლი და არც მისი კულტურისთვის გაგვიწევია სამსახური. ამ ორივე - ფულისა და რკინის ფარდის გამო დღეს რუსეთის თეატრის სპექტაკლები ისევე მიუწვდომელია ჩვენთვის, როგორც საფრანგეთისა თუ ესპანეთისა. თუმცა, თემურ ჩხეიძის რეჟისორულ ნაღვაწს დღეს ეგრე იოლად ვერ მისწვდები - ხან დიდ თეატრში დგამს სპექტაკლს, ხან „ლა სკალაში", ხანაც - „მეტროპოლიტენ ოპერაში". არადა, მისი სპექტაკლები გამორჩეულად მხიბლავს. იგი იღვწის, ვითარცა კირითხურო - ქართულ თეატრალურ კულტურაში ხელებდაკაპიწებული აგებს თავის გოდოლს, ისეთი თავგამოდებული შრომობს, თითქოს ახლა იწყებდეს და დღემდე არაფერი უკეთებია. ქართულ თეატრალურ ყოფაში მისი რეჟისურის მოსაკლისება იქნებ იმითაც არის განპირობებული, რომ დღევანდელი სპექტაკლები იმ ბედნიერ დროს გვანატრებენ, როცა თეატრალური ხერხები საზოგადოებრივი ჟღერადობის იდეების წარმოჩენას ემსახურებოდნენ - თამაში არა თამაშისთვის, საზოგადოებრივი ჟღერადობის იდეების წარმოსაჩენად.

საშუალება მქონია ტელ ავივში მაინც მენახა თემურ ჩხეიძის სანკტპეტერბურგული სპექტაკლი და ესეც ხელიდან დამისხლტა. გული დამწყდა. გული ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლაშა ჟვანიასაც დასწყვეტია - ისე მოხდა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო ტელ ავივში ვერც მას უნახავს თემურ ჩხეიძის სპექტაკლი. არც ღირსეული ქართველი რეჟისორის სპექტაკლის უნახაობა იქნება და არც ის, ამ სპექტაკლზე საქართველოს ელჩი არ გამოჩნდესო და გეზი ჰაიფისაკენ აიღო - იმ დღეს იქ თამაშობდნენ შილერის „მარიამ სტიუარტს". ბ-ნმა ლაშამ მეც დამიმგზავრა, რის გამოც უზომოდ მადლიერი გახლავართ მისი.

ჰაიფას „აუდიტორიუმის" არათეატრალურ, სხდომებისთვის, ყრილობებისთვის განკუთვნილ დარბაზში რომ შევედი, გული სიამით ამევსო: უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო სავსე. სპექტაკლის სანახავად 200-250-შეკელიანი (50-60 დოლარი) ბილეთის შეძენა არ დაზარებიათ და ფუსფუსით იკავებდნენ ადგილებს. მე კარგად ვიცნობ რუს ებრაელ მაყურებელს, ვიცი მათი ფსიქოლოგია, ერთ დროს რუსული საბჭოთა თეატრის უძლიერესი კომპონენტი იყო, დღეს კი აქ, ისრაელში აძლევენ ტონს თეატრალურ ცხოვრებას (როგორ ვინატრე, ქართველი ებრაელი მაყურებელიც მასავით ირჯებოდეს-მეთქი!). შექმნეს კიდეც დიდებული თეატრი „გეშერ" ისრაელში.

როგორც კი სავარძლებში ჩავსხედით, ჩხეიძის სპექტაკლებს დანატრებულ მაყურებელს მისი ადრინდელი სპექტაკლები: შალვა დადიანის „გუშინდელნი", მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", ჟან ანუის „ანტიგონე," „არტ-"ი და ბევრი სხვაც გამახსენდა. ისიც მომაგონდა, მოსკოვის სახელგანთქმულ სამხატვრო თეატრში „ჯაყოს ხიზნების" გასინჯვის შემდეგ ფოიეში ჩვენთან (მედეა ჩახავა, ნანი ჩიქვინიძე, ავთო მახარაძე) როგორ მოვიდა ინოკენტი სმოკტუნოვსკი, როგორ მოგვილოცა ქართველი რეჟისორის დიდი წარმატება. იმასაც ამბობდა, თუ რაოდენ დიდი მწერალი გაიცნო დღეს მიხეილ ჯავახიშვილის სახით. მე კი დიდებულ მსახიობს ავთო მახარაძეზე ვუთხარი, ეს ის მსახიობია, სტურუას „მეფე ლირში" მასხარა რომ ითამაშა-მეთქი. მოულოდნელად სმოკტუნოვსკი მუხლზე დაეშვა და ავთოს უთხრა: „თქვენ დიდი მსახიობი ხართ". ასეთი რამ მხოლოდ დიდ ხელოვანთ შეუძლიათ. საშუალო ნიჭის ადამიანებს უჭირთ სხვათა აღიარება. ნიჭით სავსენი აქაც გულუხვნი არიან.

ფარდაც გაიხსნა და განმიახლდა ფიქრი, რომელიც მთელი გზა - ტელ ავივიდან ჰაიფამდე - მდევდა თან: ორასი წლის წინათ დაწერილი შილერის პიესა დღეს რისთვის დასჭირდა თემურს, რატომ, რა იდეისთვის დადგა? ქალთა (თუნდაც სამეფო ღირსებით შემკულთა, მაგრამ მაინც ქალთა!) შორის წამოჭრილ კონფლიქტზე, სამეფო კარის ინტრიგაზე, თუ?..

ან როგორ არის სპექტაკლში პიესის ის სცენა, რომელიც მსოფლიო დრამატურგიაში დიალოგის წარმართვის, დაპირისპირებულ ადამიანთა დიალოგის ჩინებულ ნიმუშად მიმაჩნია და დროდადრო გადავხედავ ხოლმე (ისევე, როგორც ზეინაბისა და ოთარ-ბეგის სცენას გორში, სუმბათაშვილის „ღალატში"). ვგულისხმობ მარიამ სტიუარტისა და ელისაბედის სცენას.

სპექტაკლის დაწყებისთანავე მენიშნა, თუ როგორ ანგარიშს უწევს თემურ ჩხეიძე რუსული თეატრის ტრადიციას - ნაკლები დინამიზმი, პაუზები, შეფასებები, სცენაზე გადატანილი მეტი ყოფითი სიმართლე. ვნახოთ, იქნებ ეს უფრო საინტერესო გამოდგეს. ხმაურიანმა, გაშიშვლებულმა ვნებებმა თავისი სათქმელი თქვა. აქ კი ვნება დაფარულია. ირინა პატრაკოვას (მარიამ სტიუარტი) - მოტორს, მამოძრავებელს სცენური ინტრიგისა - ასე მიჰყავს პირველივე სცენა. ეს განწყობა გოგი ალექსი-მესხიშვილის დიდებულ სცენოგრაფიაშიც იკითხება - სამეფო ტალანების მუქი რუხი ფერი სიმკაცრის, მეფის კარის შეუვალობის შეგრძნებას აძლიერებს. იქნებ სწორედ ამგვარი გარემო განაპირობებს მეფე-ქალთა დრამატულ ყოფას. იქნებ არა სიხარბე, არა ხელისუფლებისთვის ბრძოლაა თავიდათავი, არამედ მამაკაცი. იქნებ მამაკაცისთვის ბრძოლა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ტოლფასია, რადგან მარტოობის მარწუხებში მოქცევა ძნელია, ძალიან ძნელი. შესაძლოა, ასეც იყოს, რადგან თემურ ჩხეიძე ადამიანის სულიერი სამყაროსკენ მიდრეკილი, მასში მწვდომი რეჟისორია. მას სულში მიმდინარე პროცესი უფრო აინტერესებს, ვიდრე ფაქტი. ფაქტამდე, მანამ, სანამ რამე მოხდებოდეს, სულიერი პროცესია. აი, ეს პროცესია მთავარი, ის, თუ რა, როგორ წარიმართება. რა ხდება, რა ამოძრავებს მარიამ სტიუარტს, რა საწყისი დომინირებს მის სულში - ქალის თუ ხელისუფლებისთვის მებრძოლის?

უკვე ვთქვი, თემურ ჩხეიძე დიდ ანგარიშს უწევს-მეთქი რუსული თეატრის ტრადიციას - არსად არ აჩქარებს რიტმს, მსახიობებს ათამაშებს ჩვეული პაუზებით. ვნებათაღელვა არსში წვდომით მიიღწევა, ამიტომ სპექტაკლი არა მხოლოდ ერთობ თანამედროვეა, „ნერვულიც" იმ ტენდენციის გამოხატვით, რომელიც თანამედროვე ყოფას ახასიათებს.

და თანდათან იკვეთება, თუ რისთვის დასჭირდა შილერის ეს პიესა თემურ ჩხეიძეს: არა, იგი არ დგამს სპექტაკლს ქალთა კონფლიქტზე. მისი ყურადღების ცენტრში დღევანდელობაა: მამაკაცთა მიერ „დალაგებული" ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე ფიგურათა გადაადგილების თანმხლები, ერთობ დრამატული პროცესი და ქალთა მღელვარე ბედი. კი, ცხადია, აქ არის ხელისუფლებისთვის ბრძოლის მწვავე კოლიზია, მაგრამ რეჟისორს ის უფრო აინტერესებს, მნიშვნელოვანად ის უფრო მიაჩნია, რაც ამ პროცესს ახლავს, რასაც ეს კონფლიქტი განაპირობებს. ისე რომ, პირველი პირნი არიან არა ისინი, ვინც ამ კონფლიქტს წარმართავს (მარიამი და ელისაბედი), არამედ მათი გარემომცველი სამყარო.

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ხდება გარემომცველი სამყაროს პრობლემა. გარემომცველი სამყარო განაპირობებს პირველ პირთა, სახელმწიფოთა ბედს. დემოკრატია გვკარნახობს პირველ პირთა უფლებების შეზღუდვას და წინა პლანზე წამოწევს გარემომცველთა რაობას. თანმხლები, გარემომცველი სამყაროს ზნეობრივი სისპეტაკე, მორალური სახე, პერსპექტივა, ხვალინდელი დღე. ყველაფერი ეს და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ იყრის თავს სიუზერენის ფენომენში, სახელმწიფოს ბედში. თემურ ჩხეიძე ამ თემას ამუშავებს, რადგან ხედავს გარემომცველი სამყაროს საბედისწერო გავლენას პირველ პირზე და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ყოფით პროცესებზე. აქ კი ბევრი კოლიზია იყრის თავს: რა ამოძრავებს გარემომცველ სამყაროს, რა არის მისი ქმედების განმაპირობებელი: იდეა? ერთგულება? ხელისუფლების სამანების ზრდა თუ სიმდიდრის დაუფლება? - ეს ალბათ ის კითხვებია, რომელსაც ერთნიშნა პასუხს ვერ გასცემ.

თემურ ჩხეიძეს აქვს ერთი მთავარი, გულისმომკვლელი, მაგრამ უცილობელი პასუხი: ყველაფერი ეს სპობს, მსხვერპლად აქცევს, შეიწირავს ადამიანურ ურთიერთობებს: სიყვარულს, ქალისა და კაცის დამოკიდებულებას, მეგობრობას.

■ ■ ■

ეს პატარა წერილი მხოლოდ იმისთვის არ დამიწერია, ძვირფასო მკითხველო, რომ თემურ ჩხეიძის სპექტაკლის ავ-კარგი გამეცნო თქვენთვის. მინდა ის გაუწყო, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ჩემთვის.

ჩვენ ადრე ერთნიშნა სახელმწიფოებრივ გარემოცვაში ვცხოვრობდით. საბჭოური საცერი საქართველოდან თუ რამეს გაატარებდა, მხოლოდ კარგს, მაღალი ხარისხისას: მაღალი რანგის მეცნიერი, ხელოვანი და ა.შ. რეაქციასაც შესაბამისს ვიღებდით: ქართული ყველაფერი საუკეთესო გახლდათ. ალბათ აქედან თუ იშვა „რაც კარგები ვართ..." მცირერიცხოვანი ერის ნაღვაწს ასეთი შეფასება ეძლეოდა და ერიც, ნუ დავძრახავთ, ტკბებოდა თავისი სახელით.

დრო შეიცვალა. დრომ ბევრი რამ გააშიშვლა, საქართველო საკუთარი თავისა და ქმედებების ამარა დარჩა სამზეოზე და აღმოჩნდა, რომ რკინის ფარდა ბევრ რამეს ფარავდა.

დღეს სულ სხვა გარემოში ვცხოვრობთ. დღეს საქართველოდან ყველა და ყველაფერი გადის. გადიან ქურდებიც, ტოლს არავის უდებენ ქართველი რეციდივისტები, გადის მეძავთა დასტა და სხვა ათასი რამ. მაგრამ გადიან თემურ ჩხეიძეები, რობერტ სტურუები, პაატა ბურჭულაძეები, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები თუ ნანი ბრეგვაძეები, ბევრი, ბევრი.

უცხოეთში ყოფნა მიხდება და კარგად ვიცი, რა ფასი ადევს ქართველი კაცის წარმატებას, რა ძალას აძლევს ეს იქ მცხოვრებ ქართველობას თუ საქართველოში ნაცხოვრებ სხვა ერის შვილებს და ქართველ მეცნიერთა, ხელოვანთა მოღვაწეობა როგორ აქარწყლებს უკეთურთა ნამოქმედარს.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, მაყურებელმა ჩვეულებრივ ტაში დაუკრა. მე ვიცი ამ მაყურებლის ტაშის ფასი. იგი არა მხოლოდ გულწრფელია, არამედ გააზრებულიცაა, ჰაიჰარად ტაშს არ უკრავს. აქ მაყურებელი პატივს მიაგებს მსახიობებს. მისი ტაშის სიხშირე თუ სიცხარე ადეკვატურია მსახიობის ნაღვაწის რაობისა.

და აი, ბოლოს, ტრადიციისამებრ, გამოდის სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. სხვა შემთხვევაში იგი ჩვენი თანაქალაქელი თემურ ჩხეიძეა, დღეს, ჰაიფის უზარმაზარი აუდიტორიუმის სცენაზე კი - ქართველი კაცი, ქართული შემოქმედებითი აზრის რაობის გამომხატველი. დარბაზი ფეხზე დგება. მესმის შეძახილები:

- ბრავო!

- ბრავო, ჩხეიძე!

მე კი გულში ვამბობ:

- შენ დიდ, ძალიან დიდ სამსახურს უწევ საქართველოს, თემურ!

**P. S.** ტელ ავივიდან თბილისისკენ რომ მოვფრინავდი, თვითმფრინავში გაზეთ „24 საათში" ნოდარ ლადარიას წერილი წავიკითხე: რობერტ სტურუას ერთ-ერთ ინტერვიუს აკრიტიკებდა და ასე მომეჩვენა, ნარეცხს ბავშვიც გადააყოლა. როგორ ვინატრე: ჰაიფაში, სანკტ-პეტერბურგის თეატრის ამ სპექტაკლზე ლაშა ჟვანიას, მის მეუღლესთან და ჩემთან ერთად ნოდარიც მჯდარიყო.

# 365 დღე - 486 გვერდი

ჟურნალი „სახე(ლ)ები" გთავაზობთ, იპოვოთ საკუთარი თავი




ია ვექუა

წელიწადში 365 დღეა. თითქმის ყოველი დღე განსაკუთრებული მოვლენითაა დატვირთული. ამ მოვლენათა უმეტესობა და მათი მოქმედი პირები კი იმდენად მნიშვნელოვანნი ხდებიან, რომ წლის ალმანახის „სახე(ლ)ების" გვერდებზე მოხვედრასა და ამ სახით ისტორიაში შესვლას იმსახურებენ. წელს 486-გვერდიანი „სახე(ლ)ები" მეოთხედ გამოიცა და არსებობის განმავლობაში ყველაზე მეტი ინფორმაცია და, რაც მთავარია, სახე და სახელი გააერთიანა.

„იპოვეთ თქვენი თავი წლის გამოცემაში" - „სახე(ლ)ების" ეს სლოგანი ერთგვარი სტიმულია მათთვის, ვისაც საკუთარი საქმიანობისა და შესაძლებლობების აფიშირება სურს - წელს თუ არა, მომავალ წელს მაინც!

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ჟურნალის ახალი გამოცემის პრეზენტაცია წლის ნომინანტების დასახელების პარალელურად გაიმართა. ნომინაციებში გამარჯვებულები კი ჟურნალის გამომცემლებმა და მასზე მომუშავე იმ ჟურნალისტებმა დაასახელეს, ვისაც თითქმის ყოველდღიურად უხდება მათთან შეხვედრა. ნომინაციები თითქმის ყველა სფეროში იყო დაწესებული, თუმცა ყველაზე ხშირად კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების სახელები ისმოდა.

წლის პროექტად დაასახელეს ფესტივალი „ჩვენებურები", რომელსაც გადასცეს პრიზი ქართული ფესვების მოძიებისთვის. ეს ფესტივალი, რომელშიც მხოლოდ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართული დიასპორების წარმომადგენლები მონაწილეობენ, შემოდგომაზე მესამედ გაიმართება. ქართული მოდის ტრიუმფისთვის დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე დაასახელეს. უკვე დიდი ხანია, რაც ცქვიტინიძე ჩვენი ქვეყნის პოდიუმის ერთპიროვნულ ლიდერადაა აღიარებული, ახლა კი ჩრდილოეთის ქვეყნებისკენაც გადაინაცვლა. მოსკოვის მაღალი მოდის კვირეულზე ორჯერ წარმატებული გამოსვლა მისთვის წლის დიზაინერის ტიტულის მოპოვების გარანტი გახდა.

ეს წელი წარმატებული იყო ირმა ნიორაძისთვისაც. მისი თბილისური გასტროლები, რომლის დროსაც წარმოდგენილი იყო ბალეტი „სამშვენისები", წლის საბალეტო მოვლენად დაასახელეს. ასევე იყო ქართული და არა მხოლოდ ქართული კინოს აღმოჩენად აღიარებული გელა ბაბლუანის ფილმის 13 (Tsameti)-ის შემთხვევაშიც. ბაბლუანის შავ-თეთრი შედევრი წლის ფილმად დაასახელეს. წლის მუსიკოსად კი იქცა ლექსო თორაძე, რომელმაც ორიოდე თვის წინ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტით სამშობლოში თავისი დაბრუნება აღნიშნა, „სახე(ლე)ბის" პრეზენტაციაზე შვილების მიყვანით კი კვლავ დაიბრუნა სტატუსი - ქართველი პიანისტი.

წლის კლიპად ზაფხულის ამ ცხელ საღამოს დაასახელეს უცნობის „ზამთარი ერთად გადავაგოროთ". ამ ნამუშევრისთვის ერთი პრიზი ერთბაშად სამ გამარჯვებულს ერგო: კლიპის რეჟისორს ბასა ფოცხიშვილს, ქორეოგრაფ ილიკო სუხიშვილს და თავად უცნობს. თითქმის უალტერნატივო იყო წლის საუკეთესო რეჟისორად რობერტ სტურუას კანდიდატურის დასახელება. როგორც ჩანს, ბოლოს ყველაფერი მაინც სუბიექტურობამდე დადის - მთელი შემოქმედებითი კვალის წაშლა ძალიან ძნელი ყოფილა.

„სახე(ლ)ებმა" წლის არქიტექტორებიც დაასახელეს - ვასილ და გივი ქობულიების ნამუშევრებისა და პროექტების გამოფენა რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და დაახლოებით ისეთივე ინტერესი გამოიწვია, როგორც ფერწერული ტილოების გამოფენაზე ხდება ხოლმე. წლის ტელეჟურნალის წოდება კი მეგობრულად გაიყვეს გიორგი თარგამაძის „დროებამ" და დავით კიკალიშვილის P.S.-მა.

დაჯილდოების ცერემონიალზე ასევე დაასახელეს წლის ექიმები, მინისტრი, პრომოუტერი, სამშენებლო კომპანია და ადვოკატი. პრიზი მიიღო პიარკომპანია „ემ ენ კონტაქტის" დირექტორმა გიორგი ოქრიაშვილმაც, რომელსაც დიპლომი „სახე(ლ)ების" წარმატებული სტრატეგიული მარკეტინგისა და PR პროპაგანდისთვის გადასცეს.

ყველაზე საინტერესო კი მაინც ის სტატიებია, რომლებზეც „სახე(ლ)ების" ჟურნალისტები თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ჟურნალი თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: რელიგიას, განათლებას, კულტურას, კრიმინალს, სპორტს და ტურიზმს. მათი ავტორები დაწვრილებით მიმოიხილავენ ამა თუ იმ სფეროში წლის განმავლობაში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს და ამ მოვლენების მთავარ გმირებსაც გვაცნობენ.

აქვეა რამდენიმე ძალიან საინტერესო ფოტოპროექტი: იური მეჩითოვის „თბილისელი სომხები", გოგა ჩანადირის „საუკუნოვანი მოხუცები" და ნოდარ სუმბაძის „თბილისური ჰერბარიუმი". ეს უკანასკნელი ძველი თბილისის უბნებში გაბნეულ აივნებს, ჭიშკრებსა და სადარბაზო კარების ფასადებს აერთიანებს და ძალიან საინტერესო კოლაჟს ქმნის.


# სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"

ერთი თვეა, რაც ქართულ-ყაზახურმა კერძო კომპანიამ **Black Sea Telecom Holding B.V.** სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეიძინა. ახალი მენეჯმენტი 5 წლის განმავლობაში 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

მომხმარებლებისთვის ასეთი მოცულობის ინვესტიცია ნიშნავს სრულიად განახლებულ, უმაღლესი კლასის მომსახურებას, ახალ ტექნოლოგიურ სიმძლავრეებს, ახლობლებთან და საქმიან პარტნიორებთან დაკავშირების ყველაზე კომფორტულ შესაძლებლობებს. საგულისხმოა, რომ ინვესტორი უახლოესი წლების განმავლობაში არ გეგმავს სააბონენტო ტარიფის გაზრდას. ამ კომპანიის აბონენტებს, კვლავაც შეგეძლებათ უფასოდ ესაუბროთ ერთმანეთს ყოველგვარი ლიმიტის გარეშე.

Kჩვენ ვაპირებთ საქართველოს ბაზრისთვის დღემდე უცნობი, სრულიად ახალი, სატელეკომუნიკაციო სერვისების შეთავაზებას. სწრაფი ინტერნეტი და მაღალი ხარისხის საერთაშორისო საუბრები მომსახურების ასეთ პაკეტში ელემენტარული რამ იქნება.

სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ინვესტორმა "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეიძინა კატასტროფულად იმატა ჩვენი კომპანიის კუთვნილი ინვენტარის ქურდობამ. ერთი მეტრი კაბელის მოპარვა ან დაზიანება 1000 აბონენტის გათიშვას იწვევს, რაც სერვისის შეწყვეტის მთავარი მიზეზი ხდება. კომპანიის სერვის-ცენტრების თანამშრომლები ყოველდღიურად გვატყობინებენ, თუ რამდენი მეტრი კაბელი მოიპარეს, რამდენი აღმოაჩინეს ჯართის ჩაბარების პუნქტებში, რამდენ დამწვარს და გასაყიდად გამზადებულს - "სულზე მიუსწრეს" და გადაარჩინეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში "გაერთიანებული ტელეკომის" კუთვნილი კაბელების დატაცების ფაქტებზე არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამ ეტაპზე, კომპანიის ოპერატიული მართვის განყოფილების მონაცემებით, მარტო თბილისში 5000-ზე მეტი აბონენტია გათიშული, აღდგენით სამუშაოებსაც გარკვეული პერიოდი სჭირდება, რაც ჩვენი კომპანიის მიმართ მომხმარებლის გულისწყრომას იწვევს.

ბოლო პერიოდში გადაჭრა-დატაცებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. შემთხვევები ერთნაირად რეკორდული და საგანგაშოა როგორც თბილისის, ისე რეგიონების ყველა უბანზე. დატაცების გამო პარალიზებულია:

გლდანი-ნაძალადევში (22,650კმ) ავჭალის დასახლება, სოფელი გლდანი, გლდანის ხევი და თემქა;

დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში (9,616კმ) ბაგების, სტუდქალაქის და "94"/"95" ინდექსის ზონის მაცხოვრებელთა ტელეფონები;

ისანი-სამგორის რაიონში (15,160კმ) "41" ინდექსის ზონაში პარალიზებულია 2300 აბონენტის ნომერი. აღნიშნული სადგურის მაგისტრალური კაბელები ორჯერ დაიტაცეს 13 მარტს და 22 მაისს. ამას გარდა, ამ რაიონის 500-მდე აბონენტს შეწყვეტილი აქვს კომუნიკაცია.

მსგავსი ფაქტები რეგიონებშიც მრავლადაა.

დატაცებული და გადაჭრილია რაიონებს შორის შემაერთებელი 5 კილომეტრამდე მაგისტრალური კაბელი, რაიონულ ფილიალებში კი დატაცებამ წლის დასაწყისიდან დღემდე 34,189კმ კაბელი შეადგინა და მოიცვა გორის, თელავის, ახალციხის, ასპინძის, წალენჯიხის, საგარეჯოს, კასპის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის და ოზურგეთის ფილიალები.

ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით აღდგენას საჭიროებს 100კმ-მდე სხვადასხვა ტევადობის, როგორც მაგისტრალური, ისე სადგურებს შორის შემაერთებელი კაბელები.

კომპანია ბოდიშს გიხდით წყობიდან გამოსული კომუნიკაციისთვის, თუმცა, ასეთი დაზიანებები ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება.

ინვესტორისთვის ნორმალური და, რაც მთავარია, უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამის თაობაზე არაერთხელ განუცხადებია ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ადმინისტრაციას.

სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიასა" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის მჭიდრო თანამშრომლობა უკვე დაიწყო. ამასთან, კომპანიის თანამშრომლები და სპეციალისტები 24 საათიან კონტროლს აწარმოებენ თითოეულ სატელეფონო ჭასთან. გვინდა განვაცხადოთ, რომ კომპანიის ახალი მენეჯმენტი აღარ დაუშვებს მისი კუთვნილი ძვირადღირებული აღჭურვილობის დატაცება-განადგურებას. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ჩვენი კომპანიის ტექნიკური შესაძლებლობები, "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ქსელი ადგილებზე აღიჭურვება თანამედროვე კლასის სიგნალიზაციითა და სხვა დამცავი საშუალებებით. კომპანიის კუთვნილ ინფრასტრუქტურას გააკონტროლებენ საგანგებო დაცვის სამსახურები.

ჩვენი კომპანია, დღემდე უპრეცენდენტო მკაცრი ზომების მიღებას აპირებს ყველას მიმართ, ვინც მის კუთვნილ ქონებას ხელყოფს.

**პატივცემულო აბონენტებო,**

თქვენი თანადგომის იმედიც გვაქვს, რადგან თქვენ ჩვენი კომპანიის მომხმარებლები ბრძანდებით.



# აფიშა

**19 ივლისი**

კინო

**„ამირანი“**
„სიყვარულის კუნძულზე“
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00

**მცირე დარბაზი**
პედრო ალმოდოვარის
„დაბრუნება“

**„რუსთაველი“**
„კარიბის ზღვის მეკობრეები“
დასაწყისი: 12:30; 19:00; 22:00
„აწყვეტილები“
დასაწყისი: 15.30

გალერეა

„კოპალა“
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**„ქარვასლა“**
„ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში“.
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ფოტოგამოფენა
შალომ კობოშვილის გამოფენა
გახსნა: 16.00

**არტ-გენი**
კლასიკური მუსიკა
დასაწყისი: 19.00
ქართული სამეცნიერო დოკუმენტური ფილმების ჩვენება
დასაწყისი: 22.00

# იტალიელის კავკასია

გუშინ საღამოს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, თბილისის ისტორიის მუზეუმმა, იტალიის საელჩომ საქართველოში და თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტმა „ქარვასლის“ საგამოფენო დარბაზში წარმოგვიდგინა გამოფენა სახელწოდებით: „ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში“.

გამოფენაზე წარმოდგენილია XIX საუკუნის ფოტოხელოვანების ვიტორიო სელას, ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვის და XIX საუკუნის უცნობი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული კავკასია.

ვიტორიო სელა დაიბადა 1859 წლის 20 აგვისტოს ქალაქ ბიელაში. სელას შემოქმედების გაცნობისას ნათელი ხდება, რომ კავკასიონის სამი ექსპედიცია მისი პირადი ცხოვრების, ასევე კვლევითი და ფოტოგრაფიული მოღვაწეობის გადამწყვეტი მონაკვეთებია.

ვიტორიო სელამ კავკასიაში 400-მდე სურათი გადაიღო. მან პირველმა აღბეჭდა ფირზე ცენტრალური კავკასიონის მთათა სისტემა და მისი მკვიდრნი. იგი კავკასიონის პირველი ევროპელი ფოტოდოკუმენტალისტია. სელას შემოქმედებაში წამყვანი საქართველოს თემაა.

იტალიის საელჩოს გულმოდგინე ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ას წელზე მეტი ხნის შემდეგ, ვიტორიო სელას ფოტოების „სახლში დაბრუნება“. **24 საათი**

TV5MONDE

**18 ივლისი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ახალი ცხოვებისაკენ. დოკ. ფილმი. **07.30** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.25** ბიგუდი. ტელესერიალი. **11.05** ჩვენი ბაღი. **12.15** ფანტასტიკის ზრვართან.დოკ.ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 18. **16.25** სასწაულის შვილები მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 1993-2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 18. **20.30** გადაცემა: ფორტ ბოიარდი. **23.00** უცნობი კაცის წერილი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟაკ დერეი. 2001. **01.20** ვირუსი სამოთხეში. ტელესერიალი. **04.40** გლინ გულდი, განდგომა. დოკ.ფილმი.

# ლუვრის რესტავრაცია



ამერიკელი არქიტექტორი იო მინგ პეი ისევ იმუშავებს ლუვრში. მუზეუმის დირექტორმა ანრი ლუარეტმა ცნობილი მინის პირამიდების ავტორს ახალი საქმე მისცა - მოაწყოს ლუვრი მუდმივი მნახველებისთვის.

ბოლო ათი წლის განმავლობაში პარიზის მუზეუმის მნახველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. 1993 წელს, როცა საზოგადოებისთვის პეის მიერ გარემონტებული Richelieu ფასადი გაიხსნა, ლუვრს ყოველ წელს 5 მილიონი ადამიანი სტუმრობდა, ხოლო 2005 წელს მათმა რაოდენობამ 7 მილიონი შეადგინა, 2010 წლისთვის ხელმძღვანელობა იმედოვნებს 9 მილიონი ბილეთის გაყიდვას.

იო მინგ პეის თქმით, მას შემდეგ, რაც მან პრეზიდენტ მიტერანის თხოვნით რესტავრაცია გაუკეთა ფასადს და მუზეუმის შესასვლელს, სადაც ბრწყინავს ცნობილი პირამიდა, მნახველთა რიცხვი გაიზარდა იმდენად, რომ ვესტიბიული გამოიყურება „გადატვირთულ და საშინლად მოწყენილად“. ამერიკელ არქიტექტორს სამი თვე აქვს. ამ დროის განმავლობაში პეიმ უნდა წარუდგინოს ლუვრის ხელმძღვანელობას თავისი გადაწყვეტილება მუზეუმის რესტავრაციის შესახებ, რათა მრავალრიცხოვანი ტურისტები სრულად დააკმაყოფილონ.

# ყველაზე ძვირფასი ფილმი



ცნობილი მსახიობი და რეჟისორი მელ გიბსონი იტალიში ახალ ფილმს გადაიღებს, რომელიც გახდება ყველაზე ძვირფასი ფილმი მთელი მსოფლიოს კინემატოგრაფიის ისტორიაში.

ფილმი ეძღვნება 15-ე საუკუნეში მცხოვრები ქალაქ ფლორენციის მმართველის ლორენცო მედიჩის ისტორიას.

სავარაუდოდ, გიბსონის ახალ ფილმში უმრავლეს როლებს იტალიელი მსახიობები ითამაშებენ. ფილმის გადაღებები დაგეგმილია მთავარი გმირის ქვეყანაში - ფლორენციაში. გიბსონის ახალი პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 200 მილიონ დოლარს. ეს აბსოლუტური რეკორდია, როგორც ჰოლივუდში, ასევე მსოფლიო კინოს ისტორიაში.

მელ გიბსონს ახლო ურთიერთობა აქვს იტალიის კინოსტუდიებთან, ვინაიდან მისი ფილმის „ქრისტეს ვნებანი“, ძირითადი ნაწილი გადაღებულია რომის კინოსტუდიაში, ხოლო ფილმი „ჩინეჩიტა“ გადაღებულია იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მატერაში.

## 400 წლის იუბილე



ჰოლანდიაში დიდი მხატვრის, ჰარმენს ვან რეინ რემბრანდტის, დაბადებიდან 400 წლის იუბილეს აღნიშნავენ. ლეიდენში, სადაც რემბრანდტი დაიბადა, ფესტივალი მოეწყო, რომელზედაც ხალხს მეჩვიდმეტე საუკუნის კერძებითა და სასმელით გაუმასპინძლდნენ. მსახიობები პირდაპირ ქუჩებში მართავდნენ თეატრალიზებულ წარმოდგენებს. ამსტერდამში კი, სადაც მხატვარი მოგვიანებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რემბრანდტის ცნობილი შედევრები გამოიფინა. ამსტერდამის სამეფო თეატრში მიუზიკლ „რემბრანდტის“ პრემიერა გაიმართა.

დიდმა მხატვარმა აღიარება სიცოცხლეშივე მოიპოვა, მაგრამ საყვარელი ცოლის, სასკიას გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მას რამდენიმე ტილოზე ჰყავს ასახული, შემკვეთების მიერ გადახდილი თანხა გაფლანგა და გადამხდელუუნაროდ გამოაცხადეს. რემბრანდტის ქონება აუქციონზე გაიყიდა, თავად კი ებრაელთა უღარიბეს კვარტალში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1669 წელს გარდაიცვალა. სამი საუკუნის შემდეგ, 2000 წელს, მისი ტილო, „ქალის პორტრეტი“, 36,5 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39




24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Boeing-მა ორ დღეში 36 თვითმფრინავი გაყიდა

საავიაციო ჰოლდინგმა Boeing-მა ფანბრონოს გამოფენაზე ორი სერიოზული კონტრაქტი გააფორმა, რის შედეგადაც კომპანიამ 36 თვითმფრინავის რეალიზაცია სულ რაღაც ორ დღეში მოახერხა. 18 ივლისს კომპანიამ Dreamliner B787-b-ტიპის ექვსი თვითმფრინავი ამერიკულ სალიზინგო კომპანია Pegasus Avation Finance-ს მიჰყიდა. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამერიკელებთან გარიგება 918 მილიონ დოლარად შედგა.

Boeing-ს ოთხი თვითმფრინავი იტალიურმა ავიაკომპანია Blue Panorama-მა შეუკვეთა.

მანამდე Boeing-ი და ინდონეზიური ავიახაზები Lion Air-ი B737-900ER-ის ტიპის ოცდაათი თვითმფრინავის შესყიდვაზე შეთანხმდნენ. ინდონეზიური კომპანია საავიაციო ჰოლდინგს 2,2 მილიარდ დოლარს გადაუხდის. Lion Air-მა ჯერ კიდევ 2005 წელს Boeing-ისგან ოცდაათი მსგავსი თვითმფრინავი იყიდა.

ცოტა ხნის წინ, საავიაციო ჰოლდინგ Boeing-ის მთავარმა კონკურენტმა ევროპულმა კომპანია Airbus-მა ინდურ კომპანია GoAir-თან A320-ის თვითმფრინავების შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმა. ინდური კომპანია მას 670 მილიონ დოლარს გადაუხდის.

თავის მხრივ, Airbus-ი სამოქალაქო ავიაციის ბაზარზე ამერიკულ კონკურენტ კომპანია Boeing Go-სთან ბრძოლას აჩაღებს. ევროპული ავიაკომპანიის ხელმძღვანელების ინფორმაციით, კომპანია უახლოეს მომავალში A330-ის ტიპის სატვირთო ლაინერების გამოშვებაზე დაიწყებს მუშაობას, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე 2009 წელს გამოვა.

### ნავთობის ისევ გაძვირდა

### ქვირფასი ლითონები გაიაფდა

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3255 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9816 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4806 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7650 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8234 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1403 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2978 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3075 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2209 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4194 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3394 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1108 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1513 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2245 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1929 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2344 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3915 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5599 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1859 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4702 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3331 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2814 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5509 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5930 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0655 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1081 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4225 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5315 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4402 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5145 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7912 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1035 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1497 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4409 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2408 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4221 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0781 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2207 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2270 |




# "ყაზტრანსგაზს" კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ

## მეწარმეებს ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის წესები უმკაცრდებათ

მარიამ ჭაჭვაძე

*მეწარმეთა ერთი ნაწილი და ენერგოომბუდსმენი "თბილგაზის" ახალ მესაკუთრეს ყაზახურ კომპანიას მომხმარებელთა უფლებების დარღვევასა და სემეკის დადგენილების უგულებელყოფაში ადანაშაულებენ. "ყაზტრანსგაზთბილისი" მათ ბრალდებებს უარყოფს და სამრეწველო ობიექტების მფლობელებს ბუნებრივი აირის ტოტალურად დატაცებაში სდებს ბრალს.*

რამდენიმე წვრილმა და საშუალო მეწარმემ ენერგოომბუდსმენს დავით მიქაუტაძეს ამ ცოტა ხნის წინათ დახმარებისთვის მიმართა. მეწარმეები, რომელთა შორის უმრავლესობა პურის საცხობების მფლობელები არიან (შპს "კოლხეთი 70", შპს "სამგორი", პურის ქარხანა №1 და სხვა), ამბობენ, რომ "ყაზტრანსგაზთბილისი" მათ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აიძულებს. აღნიშნული კონტრაქტი და მისი პირობები მიუღებელია, როგორც მეწარმეებისთვის ისე ენერგოომბუდსმენისთვის.

როგორც დავით მიქაუტაძე "24 საათთან" საუბრის დროს აცხადებს, "ყაზტრანსგაზთბილისის" ხელშეკრულბის რამდენიმე მუხლი მომხმარებელს (საუბარია სამრეწველო ობიექტებზე) ბუნებრივი აირის საფასურის გადახდას წინასწარ ავალდებულებს. მეწარმეების ინფორმაციით "ყაზტრანსგაზთბილისმა" მათ აღნიშნული მოთხოვნით ახლახანს მიმართა და პირობის შეუსრულებლობის ანუ კონტრაქტის არგაფორმების შემთხვევაში ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტით დაემუქრა.

გაგრძელება B2 გვერდზე

# ფასების რეგულირება სახელმწიფოს საქმე არ არის

## სოფლის მეურნეობის მინისტრი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს ასახელებს

ნინო ნატროშვილი

*სოფლის მეურნეობის სამინისტრო "ტრაქტორების სკანდალში" კიდევ ერთხელ გაეხვა. საგულისხმოა, რომ ეს თემა ძველი ხელისუფლებისთვის აქტუალური იყო. მაშინდელი იაპონური თუ გერმანული გრანტებით შემოტანილი ტრაქტორების ნაშთები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯართის გროვებად ასვენია. ნაწილი უგზოუკვლოდ გაქრა, ნაწილი გაიყიდა და იქიდან აღებული ფული კორუფციამ ჩაყლაპა. დღეს კი ახალ მთავრობას და სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სიმონიშვილს კახელი გლეხები და ფერმერები ტენდერის დაფარულად ჩატარებასა და ტრაქტორებზე ფასის ხელოვნურად გაზრდაში ადანაშაულებენ. საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სოფლის მეურნეობის მინისტრი სხვადასხვა ციფრებს ასახელებენ. სააკაშვილი კახელებისათვის საჩუქრად 150 ტრაქტორის გადაცემაზე საუბრობს. რეალურად კი რეგიონში მხოლოდ 53 ტრაქტორი ჩავიდა. სად გაქრა დანარჩენი ტექნიკა და რამდენად სამართლიანად ჩატარდა ტენდერი - ამ და სხვა საკითხებზე 24 საათი სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სვიმონიშვილს ესაუბრა.*

**ოცივე სერვისცენტრი კახეთის რეგიონში გაკეთდება. ეს არის პირველი ეტაპი. სულ მალე ახალი ტენდერი გამოცხადდება.**



B2

# კომპანიების დამანგრეველი

## რონალდ პერელმანის ფული, დოლი და ქალები

გოჩა ქიმუცაძე

*6,1 მილიარდი დოლარის მფლობელმა რონალდ პერელმანმა თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი არა კომპანიების შექმნით, არამედ დანგრევით მოაგროვა, სახელი კი სკანდალებით და ექსტრავაგანტულობით გაითქვა. როგორც ამბობენ, ხუთჯერ განქორწინებულ 63 წლის მექალთანეს ფულის შოვნაზე უფრო დიაცთა ცდუნება და დოლზე დაკვრა ეხერხება.*

- მამისგან უარყოფილი
- რისკი და დიდი ფული
- სარფიანად ვაჭრობის ნიჭი
- ბულვარული პრესის გმირი

**იგი პოლიტიკაში გადასვლას თავად არ ცდილობს, მაგრამ გავლენიანი მფარველების შემოსაკრებად მასში დიდ ფულს აბანდებს და სიამოვნებით აფინანსებს როგორც რესპუბლიკელებს, ასევე დემოკრატებს.**




B3

### "საქართველოს რკინიგზა" მსოფლიო გრანტის სახით 230 ათასი დოლარს მიიღებს

შპს "საქართველოს რკინიგზა" პროექტისათვის "დახმარება სატვირთო მარკეტინგის სფეროში" მსოფლიო ბანკისაგან გრანტის სახით 230 ათასი აშშ დოლარს მიიღებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "საქართველოს რკინიგზაში" განუცხადეს, The Public-Private Infrastructure Advisory Facility (PPIAF) მულტიდონორულ ტექნიკურ დახმარებას წარმოადგენს, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. უახლოეს პერიოდში მსოფლიო ბანკი გამარჯვებულ კომპანიას გამოავლენს, რომელიც აღნიშნული პროექტის კონტრაქტორი იქნება. პროექტის მიხედვით, შესწავლილი იქნება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მშრალი ტვირთისა და საკონტეინერო გადაზიდვების ბაზარი. მოხდება ლოგისტიკური სისტემის ფორმირება და გაანალიზდება საქართველოს რკინიგზის მომსახურების კონკურენტუნარიანობა. პროექტის ფარგლებში გაფორმდება გრძელვადიანი კონტრაქტები და კვალიფიკაციას აიმაღლებენ გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის სპეციალისტები. **ინტერპრესნიუსი**

### ბირჟაზე 182 998 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე, გუშინ 182 998 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს საფონდო ბირჟაზე განუცხადეს, სავაჭროდ წარდგენილი კომპანიების აქციებიდან გარიგება "საქართველოს ბანკის", "რეა-ქართუს", "ყაზბეგის", "ტრანსმშენის", "საქართველოს სახალხო ბანკის", "ორბელ-ტრანსის", "გაერთიანებული ქართული ბანკის" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციებზე დაიდო.

გარიგების ჯამურმა მოცულობამ - 49 040 ფასიანი ქაღალდი, საერთო ღირებულებამ კი 182 998 ლარი შეადგინა. **ინტერპრესნიუსი**

### ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორისი აუქციონების 6 თვის შედეგები შეაჯამა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორისი აუქციონების 6 თვის შედეგები შეაჯამა. წლის პირველ ნახევარში ჩატარებულ 476 საკრედიტო რესურსების აუქციონზე 93.95 მლნ ლარის მოცულობის გარიგებები დაიდო.

როგორც "ინტერპრესნიუსს", მაჩვენებლების 6 თვის შედეგების შეჯამების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, სულ გარიგება 48 აუქციონზე დაიდო, აქედან 7-დღიან აუქციონზე ოცდასამჯერ, 28-დღიანზე ოცდაორჯერ, 56-დღიანზე ორჯერ, 84-დღიანზე კი ერთხელ. 7-დღიან აუქციონებზე დადებულ გარიგებათა მოცულობამ 46.15 მლნ ლარი, 28-დღიანზე 45 მლნ ლარი, 56-დღიანზე 2.3 მლნ ლარი, ხოლო 84-დღიანზე 0.5 მლნ ლარი შეადგინა.

საანალიზო პერიოდში საკრედიტო რესურსების აუქციონებზე ბანკების მიერ ნაყიდი რესურსებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეძენილი რესურსების ხვედრითმა წილმა 85.95 პროცენტი (80.75 მლნ ლარი) შეადგინა.

მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ივნისში. ამ პერიოდში ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე შემდგარ გარიგებათა 47.95 პროცენტი (29.3 მლნ ლარი) 28-დღიან, ხოლო 49.92 პროცენტი (29.3 მლნ ლარი) 7-დღიან რესურსზე მოდის. 56 დღის ვადიანობის მქონე კრედიტზე განხორციელებული გარიგების მოცულობამ 1.3 პროცენტი (0.8 მლნ ლარი), ხოლო 84-დღიან რესურზე 0.8 პროცენტი (0.5 მლნ ლარი) შეადგინა.

სებ-ში აცხადებენ, რომ ივნისში საკრედიტო აუქციონზე განხორციელებულ გარიგებათა ოდენობა თითქმის სამჯერ აღემატებოდა მარტში და თითქმის ხუთჯერ, 2005 წლის ივნისში დაფიქსირებული გარიგებების მოცულობას. ამასთან, დადებულ გარიგებათა ასეთი დიდი მოცულობა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაფიქსირდა - 2004 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში.

მხოლოდ 15 ივნისს, ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადებულ გარიგებათა მოცულობამ 17 მლნ ლარი შეადგინა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ ინსტრუმენტის გამოყენების ისტორიის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

საკრედიტო რესურსების აუქციონებზე ეროვნული ბანკის მიერ შესყიდული რესურსების მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 7-დღიან აუქციონებზე 7 პროცენტით, 28, 56 და 84-დღიანებზე 10 პროცენტით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

### სარფში ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა სარფის საბაჟოსთან ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გახსნა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან აცნობეს, ცენტრში ტურისტებს უფასოდ დაურიგდებათ აჭარისა და ბათუმის რუქები, ბუკლეტები, ისინი შეავსებენ სპეციალურ კითხვარებს, რომელიც დეპარტამენტს ტურისტებზე ვრცელი სტატისტიკური ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. საინფორმაციო ცენტრში გაიცემა ყველა სახის ინფორმაცია, როგორც აჭარის ისტორიის, კულტურის, ღირშესანიშნაობების, ასევე სასტუმროების, სასტუმრო სახლების, რესტორნების და კერძო სექტორის შესახებ. ტურისტული საინფორმაციო ცენტრები უკვე ფუნქციონირებს აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან (მდინარე ჩოლოქის მიმდებარე ტერიტორიაზე), ქობულეთში და მახინჯაურში. ანალოგიური საინფორმაციო ცენტრების გახსნას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი წლის ბოლომდე თელავში, მცხეთასა და ქუთაისშიც აპირებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### საქართველომ და აზერბაიჯანმა დამატებითი გაზის მიწოდებაზე ვერ მოილაპარაკეს

არავითარი შეთანხმება აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის დამატებითი გაზის მიწოდების შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს, - განაცხადა სამშაბათს აზერბაიჯანის მრეწველობის და ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა. "ასეთი შეთანხმების მიღწევა მხოლოდ მოლაპარაკებების შედეგად შეიძლება მოხდეს", - აღნიშნა ალიევმა. "აზერბაიჯანს ჯერ არ შეუდგენია 2007 წლის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი და არსებობს რამდენიმე გაურკვეველი ფაქტორი, მათ შორის აზერბაიჯანის გაზის და ნავთობის კომპანიის მიერ გაზის მოპოვების მოცულობა", - განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, ირკვევა გაზის მოპოვების გაზრდისათვის საჭირო ზომები, მათ შორის ახალი ჭაბურღილების გაბურღვა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ფასების რეგულირება სახელმწიფოს საქმე არ არის

პირველი გვერდიდან



**-კახელი ფერმერები ტენდერის ფარულად ჩატარებასა და გამარჯვებული კომპანიების ლობირებაში გადანაშაულებენ. თქვენ პირადად თუ შეხვდით ფერმერებს და აცნობეთ ტენდერის ჩატარების შესახებ?**

- ამ ტენდერის შესახებ ინფორმაცია გამოცხადდა ყველგან, სადაც უნდა გამოცხადებულიყო. როცა ტენდერის შედეგები გახდა ცნობილი მოვიწვიეთ მასმედიის წარმომადგენლები. ტენდერზე 17 ლოტი იყო წარმოდგენილი და შემოვიდა 20 განაცხადი. კონკურენცია შედარებით დაბალი იყო. გაიმარჯვა 8 კომპანიამ. ესენია: შპს "ქართული ხორცი", ინდმეწარმე გურამ გურაშვილი, შპს "გრემი ჯგუფი," , შპს "ფორტე კახეთი" , შპს "ბეგი კომპანია", ინდმეწარმე დავით ნატროშვილი, ინდმეწარმე ნოდარ საქუაშვილი, სააქციო საზოგადოება "დელიდორი", ინდმეწარმე ვაჟა ნებიერიძე. გამარჯვებული სუბიექტები კახეთში სერვისცენტრებს გახსნიან. ამ კომპანიებმა შემოიტანეს განაცხადი და გადაიხადეს თანადაფინანსება - 20 პროცენტი. ვინც იხდის მეტს, ტენდერშიც ის იგებს. რამოდენიმე კომპანიამ გადაიხადა ბეს სახით თანხის 33 პროცენტი. რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი ინვესტორებისათვის მიმზიდველი გახდა.

ეს ტენდერი გათვლილია მრავალწლიანი პროექტებისათვის, არ მინდა, რომ ტექნიკა სწრაფად გამოვიდეს მწყობრიდან და საბოლოოდ გლეხი დარჩეს მოტყუებული. ადრე თითო-თითო ტრაქტორს ურიგებდნენ საჩუქრად ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს. ზოგიერთ მათგანს ის საერთოდ არ გამოუყენებია და ფარეხში დაჟანგდა. ანალოგიური სერვისცენტრების პრაქტიკა აპრობირებულია მთელს მსოფლიოში. გეტყვით მარტივ მაგალითს, როცა უფასოდ რიგდებოდა ტრაქტორები, მას უფუჭდებოდა დეტალი, რაც შესაბამისად ღირდა ძვირი და ტრაქტორი რჩებოდა უმოქმედოდ. შესაბამისად, არ იხვნებოდა მიწის ფართობები. ჩვენ მივიღებთ ამ ტენდერით მაქსიმალურ შედეგს. კომპანიამ, რომელმაც ტრაქტორის საფასურის 25-30 პროცენტი გადაიხადა, რა თქმა უნდა, გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ მისი სერვისცენტრი იყოს მდგრადი და მოქმედი. მისი ყველა ტრაქტორი მუშაობდეს გამართულად და მიიღოს შეკვეთები.

**- ახლაც გამოითქვა ეჭვი, რომ ამ ტენდერში ხელისუფლებასთან დაახლოებულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს. თუ ასე არ არის, მაშინ დაასახელეთ ტენდერში გამარჯვებული ერთი ფერმერი მაინც, რომელიც კახეთის რეგიონში საქმიანობს?**

- მე წარმოდგენილი მაქვს სია. ოცივე სერვისცენტრი კახეთის რეგიონში გაკეთდება. ეს არის პირველი ეტაპი. სულ მალე გამოცხადდება ახალი ტენდერი. მე არ ვიცი უშუალოდ არის თუ არა ვინმე რეგიონის მკვიდრი, მაგრამ ვიცი რომ ეს კომპანიები კახეთშია რეგისტრირებული. მაგალითად ტენდერში გაიმარჯვა ერთმა პიროვნებამ, რომელმაც წნორის წისქვილკომბინატი იყიდა. ეს ადამიანი ნაღდ ფულს უხდის ყველას, ვინც მას ხორბალს აბარებს.

**- გლეხები გამოთქვამენ ეჭვს, რომ ეს ტრაქტორები არ არის ვენახებისთვის გამოსადეგი. თანაც ტექნიკის ლოტებად დაყოფა ხელოვნურად მოხდა, რამაც ფასის ზრდა გამოიწვია.**

- ეს ტრაქტორები არის ვენახებისთვის განკუთვნილი. იყო საკმაოდ ბევრი მსურველი, რომ ტექნიკა მიელო უფასოდ. ამ შემთხვევაში კი გლეხმა უნდა გადაიხადოს თავისი ვენახის დამუშავების თანხა, იჯარის ფასს დაარეგულირებს სერვისცენტრი. სახელმწიფო უკვე მოეშვა იმ მავნე ჩვევას, როცა არეგულირებდა ფასს. ერეოდა სამეწარმეო სამეურნეო საქმიანობაში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის პოლიტიკის წარმმართველი სამინისტრო. ფასს კი ბაზარი დაარეგულირებს.

**- ფერმერები და გლეხები ამბობენ, რომ ტენდერის პირობები არის კაბალური და ფასი მაღალი. ამიტომ მათ ვერ შეძლეს ტენდერში მონაწილეობა. მაშინ ვისთვის გაიმართა ეს ტენდერი?**

- ეს დაპირისპირება არის პროვოცირებული. არსებობს გარკვეული ჯგუფების პირადი დაინტერესება. მათ უნდათ რომ ტრაქტორი მაინცდამაინც საკუთარ ეზოში ედგათ. თუ ტენდერში მონაწილე ვერ გადაიხდის თანხის 20 პროცენტს, ეს ნიშნავს, რომ ის ტრაქტორი უნდა გაჩერდეს. ის მისი ნაწილის ფულსაც ვერ გადაიხდის. ეს არის გამოცდილი პრაქტიკა. სერვისცენტრი მდგრადი უნდა იყოს. ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს ამ თანხის უკან დაბრუნება, მე მიმაჩნია, რომ ეს არის კონკრეტული და დიდი დახმარება გლეხისთვის. ეს არის სწორი გადაწყვეტილება.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, რა ჯგუფი გიპირისპირდებათ?**

- ეს არის ფერმერთა ჯგუფი. მათ ადრეც წაიღეს 29 მილიონი ლარის ტექნიკა სამინისტროდან. ამ ხუთი წლის განმავლობაში უკან დაბრუნებულია მხოლოდ 4,5 მილიონი ლარი. მათ რუსეთში გაყიდეს საქართველოში შემოყვანილი ტექნიკა და ეს არის ფინანსური დანაშული. მათ ჰგონიათ რომ ძველი დროა და იგივეს შეძლებენ.

**-კახეთში მხოლოდ 53 ტრაქტორი ჩავიდა. პრეზიდენტი კი საუბრობდა 150-ზე. რეალურად რამდენი ერთეული ტექნიკა ჩავა რეგიონში?**

- 53 ტრაქტორი გავიდა ეკონომიკის სამინისტროდან. კახეთში, დამატებით, გერმანიიდან შემოტანილი ხუთი კომბაინი გაიგზავნა. ამ ეტაპზე საქართველოში უკვე შემოყვანილია 350 ერთეული ტრაქტორი. მალე ტენდერის მეორე ეტაპი გამოცხადდება. შემოდგომაზე კიდევ ჩამოვა 200 ერთეულზე მეტი ტექნიკა, რაც მთლიანობაში 528 ტრაქტორს და 1700 აგრეგატს შეადგენს. საგულისხმოა, რომ იაპონური გრანტი იყო სულ 1 მლნ 800 ათასი დოლარი. მთლიანობაში ამ ტექნიკის შესაძენად ბიუჯეტიდან 2 მილიონ 700 ათასი ლარია გამოყოფილი. მომავალში, ამერიკული ხორბლის მონეტიზაციიდან ამოღებული თანხით, კიდევ 9 მილიონი ლარის ტექნიკა იქნება შესყიდული. ქვეყანაში არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი. ეს დეფიციტი უნდა შეივსოს. თუ ყველაფერს წარმატებით განვახორციელებთ, დამატებით 60 ათასიდან 100 ათას ჰექტრამდე მიწა დამუშავდება.

**- წელს რამდენი დამუშავდა? გავრცელებული ინფორმაციით, კახეთში სახნავ სათესი სავარგულების მხოლოდ 30 პროცენტი მოიხნა.**

- წელს შირაქში ნაკლები ხორბალი დაითესა, მაგრამ ყველა რეკორდი მოხსნა დათესილი მზესუმზირის რაოდენობამ. საგულისხმოა ისიც, რომ მარტო თელავის რაიონში წელს 1000 ჰექტარზე მეტ ფართზე ახალი ვენახი გაშენდა.

**- 2006 წელს, რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო, ღვინის წარმოება შემცირებულია. ალბათ, უკვე ფიქრობთ ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე?**

- დარწმუნებული ვარ, რომ რთველი ხარვეზების გარეშე ჩაივლის. მე უკვე მაქვს 173 კომპანიის სია და ცნობილია ვინ რამდენ ყურძენს ჩაიბარებს, გურჯაანში შენდება წვენის გადამამუშავებელი კომბინატი. რომელიც ყურძენის რეალიზაციის პრობლემას ნაწილობრივ მოხსნის. რაც შეეხება რუსეთის ბაზრის დაკარგვის საკითხს - ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარი არის უკრაინა და ყაზახეთი. ხელისუფლებამ უკრაინაში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით სამასი ბილბორდის დადგმა დააფინანსა. აქტიურად მზადდება თურქეთში ქართული ღვინის გადატვირთვის საკითხი. დადგენილია კვოტა, თუმცა ამას დრო სჭირდება. ხუთი-ექვსი ქართული კომპანია უკვე დებს კონტრაქტს თურქ პარტნიორებთან.

**- ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაზარალებული კომპანიების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 700 ათასი ლარი უნდა გამოიყოს. როგორ გადანაწილდება ეს თანხა?**

- ამაზე საუბარი ჯერ არ მიმდინარეობს და არც ფულია გამოყოფილი. მიუხედავად არსებული პრობლემებისა ამ ინფორმაციას არ დავადასტურებ. სახელმწიფოს ჩარევა ამ ბიზნესში არ უნდა მოხდეს. 700 ათასი ლარი ზარალის ასანაზღაურებლად ძალიან მცირე თანხაა.

### ბიოდიზელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს

მსოფლიოში ნავთობზე ფასების კატასტროფული ზრდა და მასზე მზარდი მოთხოვნილება სახელმწიფოებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების შექმნაზე აფიქრებს, - აცხადებს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი. მან სამშაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ენერგიის ერთ-ერთ ალტერნატიულ წყაროდ ბიოდიზელი განიხილება. ბიოდიზელი - იგივე მეთილის ეფირი - მიიღება მცენარეული ზეთების ქიმიური რეაქციით. მას გააჩნია საწვავის მასალის თვისება, მაღალი აალების უნარი და მაღალი ცეტანის რიცხვი. ბიოდიზელის მისაღებად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მცენარე არის რაფსა. რაფსა გამოიყენება საკვები პროდუქტების საწარმოებლად (ზეთი, მარგარინი, მაიონეზი), ტექნიკური პროდუქტების მისაღებად (საწვავი, საპონი, პარფიუმერია, რეზინა, ლაქის საღებავები), ფარმაცევტიაში. ხოლო ნარჩენი გამოიყენება საქონლისა და ფრინველის საკვებად. რაფსის დათესვის ფართობი არის 20 მლნ ჰა ევროპაში, ამერიკასა და აზიაში. რაფსის საშუალო მოსავლიანობა არის 20-22 ცალი. 1 ტონა რაფსის გადამუშავებით ვღებულობთ 30-33% ე.წ. რაფსის ზეთს, რომლისგანაც მიიღება ბიოდიზელი და გლიცერინი. მთვრალაშვილის განცხადებით, 2005 წელს ბიოდიზელის წარმოება მსოფლიოში შეადგენდა 10 მლნ ტონას, ხოლო 2007 წელს ნავარაუდევია 15 მლნ ტონის წარმოება. ბიოდიზელის საწვავის გამოყენება გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანაში და ამერიკაში. გერმანია წელიწადში 1 მლნ 300 ათას ტონას უშვებს, საფრანგეთი 780 ათას ტონას, პოლონეთი 230 ათას ტონას. აშშ-ში, სადაც განვითარებულია სოფლის მეურნეობა, პერსპექტივაში განიხილავენ ავტოგასამართი სადგურების გადაყვანას ბიოსაწვავით ვაჭრობაზე. ბიოსაწვავის წარმოების დანერგვით, საქართველოში პირველ რიგში მოხდება სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც ძლიერ აქტუალურია საქართველოსათვის. მოხდება ადამიანთა დასაქმება, სოფელში დასაქმებულ ხალხს გაუჩნდება დამატებითი სტაბილური შემოსავალი. ამავდროულად შეიქმნება ენერგიის დამატებითი ალტერნატიული წყარო. საწარმო თავის მხრივ იქნება საკმაოდ მომგებიანი და სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მისცემს, - აცხადებენ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში.

კავშირი საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართავს შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეიქმნას სამთავრობო პროგრამა, რომელიც დარგის განვითარებას უზრუნველყოფს, ინვესტიციების მოიზიდვას და შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ ბაზას შექმნის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# "ყაზტრანსგაზს" კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ეს კი, ენერგო ომბუდსმენის მტკიცებით, კანონმდებლობის გარდა უხეშად არღვევს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთ-ერთ დადგენილებას, რომელიც ბუნებრივი აირის მოხმარებისა და მისი საფასურის გადახდის პირობებს აწესებს.

**"სამწუხაროა, რომ ყზახური კომპანია ჩვენს ქვეყანაში საქმიანობას კანონდარღვევით იწყებს და ბუნებრივ მონოპოლისტად გვევლინება. სემეკის მიერ დადგენილი წესებით, სამრეწველო ობიექტებმა და მოსახლეობამ, მოხმარებული აირის საფასური მომდევნო თვის 15 რიცხვამდე უნდა დაფარონ. ვადამდე უფრო ადრე გადახდა მხოლოდ მომხმარებლის კეთილი ნებაა და არა ვალდებულება. ნებისმიერ სამრეწველო ობიექტს აქვს სრული, კანონით მინიჭებული უფლება არ დაეთანხმოს "ყაზტრანსგაზთბილისის" ამ მოთხოვნას",** - განაცხადა მიქაუტაძემ.

"24 საათი", რამდენიმე მეწარმეს დაუკავშირდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ "ყაზტრანსგაზთბილისის" პირობები მათთვის კაბალურია და რომ კონტრაქტზე ხელის მოწერა მათ ბიზნესს სერიოზულად დააზარალებს. **"ჩვენ თანხას წინასწარ ვერ გადავიხდით, იმ უბრალო მიზეზით, რომ თავად ჩვენ წინასწარ არავინ არც ერთ თეთრს არ გვიხდის. ჩვენ არ ვაპირებთ ამ ხელშეკრულებაზე დათანხმებას, რადგან ის ჩვენს ბიზნესს სერიოზულ საფრთხეს უქმნის",** - უთხრა "24 საათს" ნუგზარ კახიამ პურის საწარმო შპს "კოლხეთი 90"-ის დირექტორმა.

იმ შემთხვევაში, თუკი ყაზახური კომპანია მეწარმეების მხრიდან იძულებითი ღონისძიებების გატარებას დააპირებს, ენერგოომბუდსმენი და მისი აპარატი ბიზნესმენებს დახმარებას ჰპირდება. **"ჩვენ მზად ვართ რეაგირება მოვახდინოთ ამაზე და მომხმარებლის უფლებები და ინტერესები სამართლებრივი გზით დავიცავთ",** - დაჰპირდა დავით მიქაუტაძე მასთან მისულ მეწარმეებს.

ასეთი ბრალდებების შემდეგ ყაზახური კომპანია იძულებული გახდა მედიისთვის საგანგებო ბრიფინგი გაემართა და საზოგადოებისთვის რამდენიმე განმარტება მიეცა. კომპანიის ხელმძღვანელობა კატეგორიულად აცხადებს, რომ "ყაზტრანსგაზთბილისი" საწარმოებს გაზის საფასურის წინასწარ გადახდას არ სთხოვს. თუმცა **"არც ერთ მსხვილ თუ წვრილ ორგანიზაციას აღარ მიეცემა საშუალება, არ გადაიხადოს მოხმარებული გაზის საფასური და საფრთხის წინაშე დააყენოს თბილისის გაზმომარაგება",** - განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიგი ქოიავამ.

მან აქვე გარკვეულწილად აღიარა, რომ "ყაზტრანსგაზთბილისი" იძულებული იყო გარკვეული მკაცრი ღონისძიებები გაეტარებინა მომხმარებლის მიმართ, თუმცა დასძინა, რომ ეს არ არღვევს არც მომხმარებლის უფლებებს და არც სემეკის დადგენილებას. გიგი ქოიავას განმარტებით, **"საწარმოების მფლობელებთან ვაფორმებთ ახალი ტიპის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი აირის იმ ოდენობის წინასწარ განსაზღვრას, რომელიც მათ ყოველთვიურად ესაჭიროებათ, ხოლო საფასურის გადახდას მიმდინარე თვის ბოლომდე ვთხოვთ".**

"ყაზტრანსგაზთბილისის" გენერალური დირექტორი აზუსტებს, რომ ბუნებრივი აირის მიწოდება მხოლოდ იმ კომპანიებს შეუწყდებათ, რომლებიც "სასათბურე პირობებში ყოფნას შეჩვეულნი იყვნენ" და რომლებიც თვეების განმავლობაში მოხმარებული აირის საფასურის არც ერთ თეთრს არ იხდიდნენ.

**"ბევრი ვეცადეთ, რომ ეს პრობლემა მათი იმიჯისა და რეპუტაციის შელახვის გარეშე მოგვეგვარებინა, თუმცა ამაოდ. 70-მდე მსხვილი საწარმოს დავალიანებამ ამ დროისთვის 2 მილიონ 500 ათას ლარს გადააჭარბა",** - განაცხადა გიგი ქოიავამ.

მან გუშინდელ ბრიფინგზე არგადამხდელების სიაც გამოაქვეყნა, რომელთა დავალიანება კომპანიის მიმართ 7 მილიონ ლარს აღწევს.

"ყაზტრანსგაზთბილისის" გენერალური დირექტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რომ ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის წესების გამკაცრება არ შეეხება სოციალური დანიშნულების ობიექტებს, მათ შორის საავადმყოფოებს, სკოლებს და საბავშვო ბაღებს.

**"ჩვენი კომპანია იძულებული გახდა ეს ღონისძიება გაეტარებინა, რათა არ მოხდეს რიგითი მოქალაქეების ხარჯზე კერძო ბიზნესის სუბსიდირება და დედაქალაქს ჰქონდეს უწყვეტი გაზმომარაგება. ყაზახელი ინვესტორების მიერ გამოყოფილი 80 მილიონი აშშ დოლარი მხოლოდ კომპანიის ქსელების რეაბილიტაციაზე დაიხარჯება და არავაითარ შემთხვევაში რომელიმე მეწარმის ან მეაწარმეების სუბსიდირებისთვის",** - განაცხადა გიგი ქოიავამ.

### ჰაერის კონსერვი - Big Ox

ენერგეტიკული სასმელების ბაზარი ნამდვილ პიკს აღწევს. ისეთ ჰიტებს, როგორიცაა Red Bull და Monster, ახლა უკვე კიდევ ერთი ენერგიის წყარო - "ჟანგბადი ბოთლებში" შეემატება. მაისში, ამერიკის მისურისა და ილიონისის შტატების მაღაზიებში მეტალის ბოთლები გამოჩნდა. Big Ox, რომელიც 93 პროცენტ ჟანგბადს შეიცავს. მწარმოებლები პირობას დებენ, რომ სულ ერთი პორციის მიღება ადამიანს ყველანაირ სტრესს დაავიწყებს და რამდენჯერმე აუმაღლებს ტონუსს.

ჟანგბადის სასიცოცხლო თვისებებზე არავინ დავობს. თუმცა მედიკებს არ სჯერათ, რომ Big Ox-ის მიღება ორგანიზმზე ხანგრძლივად, დადებითად და ეფექტურად იმოქმედებს, თუმცა აცხადებენ, რომ "კონსერვირებული სუნთქვის" მიღება მომხმარებლის ჯანმრთელობას ზიანს ნამდვილად არ მიაყენებს.

Big Ox-ის მწარმოებლები "სასმელი ჟანგბადის" წარმოებაში პიონერები ნამდვილად არ არიან. ანალოგიური პროდუქტი, სახელწოდებით 7-Eleven იაპონიის მაღაზიებში უკვე დიდი ხანია იყიდება და თანაც წარმატებით. ამერიკელი მწარმოებლების ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ჟანგბადს სხვადასხვა არომატებით წარმოგვიდგენენ. მაგალითად, ჟანგბადი ტროპიკული არომატით. "ჟანგბადის მწარმოებლები" მომავალ თვეში მომხმარებლებს "ციტრუსით არომატირებულ ჟანგბადს" შესთავაზებენ.

## ლიბანთან ომით ისრაელი დღეში ნახევარ მილიარდს კარგავს

ლიბანთან ომით ისრაელის ეკონომიკა ყოველდღიურად 500 მილიონი შეკელის (დაახლოებით 110 მილიონი დოლარი) ოდენობის ზარალს ნახულობს. ეს რიცხვი ასახავს ყველა იმ პირდაპირ და ირიბ დანაკარგს, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკა განიცდის, თუმცა, მასში გათვალისწინებული არ არის სამხედრო ოპერაციების ღირებულება.

ანალიტიკოსთა განცხადებით, ომმა განსაკუთრებით ისრაელის სოფლის მეურნეობა და ტურისტული ბიზნესი დააზარალა. მათი თქმით, ქვეყნის ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ ამ დანაკარგების კომპენსირება სამხედრო და სამშენებლო მრეწველობის სფეროებში გამოცოცხლებით მოახერხოს.

## Christie(s ქსელში ჩაერთო

აუქციონის სახლი Christi(s კლიენტებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, რომლის მეშვეობითაც მსურველი აუქციონს რეალური დროის რეჟიმში, სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, ინტერნეტით ადევნებს თვალყურს. Christie(s Live-ის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით, კომპანიის საიტზე სავაჭრო დარბაზიდან ვიდეო მასალები პირდაპირ ჩაიტვირთება. ინტერნეტ-აუქციონის პროგრამის შემუშავებაზე ფლორიდის Auction Managment Solutions-ი მუშაობდა. ასე, რომ Christie(s ისეთ ონლაინ-აუქციონებს გაუწევს სერიოზულ კონკურენციას, როგორებიცაა eBey, iCollector.com და Artnet com. Christi(s პირველი ინტერნეტ-აუქციონი ნამდვილად არ არის და მას ბევრ ისეთ კონკურენტთან ერთად მუშაობა მოუწევს, რომელთაც უკვე სერიოზული გამოცდილება აქვთ მიღებული. ყველაზე სერიოზული კონკურენტი კი ახალი ინტერნეტ-აუქციონისთვის 1999 წელს დაარსებული Sotheby(s Holdings-ია, რომელიც Amazon.com-თან თანამშრომლობს. არსებობს ასევე ბევრი ინტერნეტ-აუქციონი, რომლებიც ინტერნეტ-ვაჭრობას eBey-ის მეგობარ Live Auctioners-ის დახმარებით ახორციელებენ. ექსპერტები აცხადებენ, რომ Christie(s მუშაობა არ გაუჭირდება და პოპულარულობასაც მალე მოიპოვებს, რადგან მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი აუქციონი მომხმარებელს საკუთარ სერვისს სთავაზობს. თავად კომპანიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ მაღალი ტექნოლოგიების განვითარება მათ წარმატების მიღწევასა და კონკურენტებთან ბრძოლაში დაეხმარება.

## ამერიკელებმა ონლაინ კაზინოს ბრიტანელი ბოსი დააკავეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ონლაინ კაზინოს BETonSORTS-ის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ კერაზერსა დააკავეს. გამოძიებამ კომპანიის დამაარსებლის გერი კაპლანისა და კიდევ ათი თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხიც ეჭვქვეშ დააყენა. დევიდ კერაზერსი ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავებმა დალასში, საკუთარი კომპანიის ოფისში დააკავეს. ბრიტანელ ბიზნესმენს ბრალი არალეგალური სათამაშო ბიზნესის წარმოებაში ედება. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები ონლაინ კაზინო BETonSPORTS-ისგან საქმიანობის დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ამერიკელი მოსახლეობისთვის თანხების დაბრუნებას მოითხოვს. ბრიტანელი ბიზნესმენი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტის წინააღმდეგ საჯაროდ გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ კონგრესმა ცოტა ხნის წინ ონლაინ კაზინოები აკრძალა. კანონპროექტის თანახმად, ამერიკის ხელისუფლება და ადგილობრივი ინტერნეტ-პროვაიდერები ინტერნეტ-კაზინოების წინააღმდეგ ბრძოლას ერთიანი ძალებით გააჩაღებენ. ონლაინ სათამაშო ინდუსტრია ძირითადად იმ კომპანიების ხელშია, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს მიღმა მუშაობენ. აღნიშნული ინტერნეტ-კაზინოების ძირითადი მომხმარებლები კი ამერიკელები არიან. 2005 წელს, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სააპელაციო კომისიამ ამერიკის შეერთებული შტატების აკრძალვა დადებითად შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-კაზინოების უმეტესობა კარიბის კუნძულების სახელმწიფოების ანტიგუასა და ბარბუდას ტერიტორიაზეა თავმოყრილი.

# კომპანიების დამანგრეველი

პირველი გვერდიდან

### მამისგან უარყოფილი

რონალდ პერელმანი დაიბადა 1943 წელს ფილადელფიაში, ბიზნესმენის ოჯახში. მამამისი რეიმონდ პერელმანი იმ დროისათვის საკმაოდ მსხვილ მეტალურგიულ კომპანიას Belmont Industries-ს ფლობდა. ასევე, რამდენიმე ფილადელფიურ საწარმოს აკონტროლებდა.

მამილო რეიმონდს სურდა თავისი მემკვიდრე ოჯახური ბიზნესისათვის, რაც შეიძლება, ადრე ეზიარებინა და უკვე 11 წლის ბავშვს კომპანიის დირექტორთა საბჭოს სხდომებზე ასწრებდა. თანაც, მისგან ისეთივე კომპეტენტური აზრის გამოთქმას ითხოვდა, როგორსაც საბჭოს წევრებისაგან.

მოკლედ, სკოლაში, შემდეგ კი პენსილვანიის უნივერსიტეტში სწავლისას რონის მომავალი სრულიად განსაზღვრული იყო. ეგ იყო, 195 სმ სიმაღლის ახმახ ყმაწვილს ამ ქვეყნად ყველაფერს მუსიკის მოსმენა და დოლზე დაკვრა ერჩივნა და ბიზნესმენობაზე მეტად როკ-ჯგუფში დასარტყმელ ინსტრუმენტზე დაკვრა უნდოდა. უნივერსიტეტშიც მან ჯერ ხელოვნების მაგისტრის ხარისხი მიიღო და მხოლოდ შემდეგ ბიზნეს -ადმინისტრატორის.

რონი რომ ბიზნესს მუსიკას ამჯობინებდა, მამილო რეის ძალიან არ მოსწონდა. მან შვილის ჭკუაზე მოყვანა რამდენჯერმე სცადა და, რომ არაფერი გამოუვიდა, გადაწყვიტა კომპანია მეორე ვაჟისთვის, ჯეფრისათვის გადაებარებინა. რონალდი Belmont Industries-ში უბრალო მენეჯერად მუშაობდა, თან დოლზე უბრახუნებდა, ქალებს დასდევდა და არაფერი ანაღვლებდა. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს დაფიქრდა და მიხვდა, რომ უკვე 35 წლისამ მუსიკოსის კარიერა ვერ აიწყო, არც ფული ჰქონდა და არც გავლენა.

### რისკი და დიდი ფული

ჰოდა, რონმა გადაწყვიტა ოჯახური ბიზნესი და მშობლიური ქალაქი მიეტოვებინა და ყველაფრის თავიდან დასაწყებად ნიუ იორკში გადაბარგებულიყო. ასეც მოიქცა. მას არაფერი გააჩნდა მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების, გარკვეული კავშირების და დიდი თავხედობის გარდა.

რონალდს არ სურდა ქონება მამამისივით ნელ-ნელა დაეგროვებინა, მას სწრაფად გამდიდრება უნდოდა და ვა-ბანკზე წავიდა. მან 1,9 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი აიღო და საიუველირო მაღაზიების ქსელი შეიძინა. რონის მიაჩნდა, რომ საიუველირო ქსელი ძალიან იაფად იყიდებოდა და მის ბევრად ძვირად გაყიდვას შეძლებდა. ასეც მოხდა, რონმა ქსელი დაშალა, მაღაზიები ცალ-ცალკე გაყიდა და საბოლოოდ, 10 მილიონი დოლარის ოდენობის მოგება დარჩა.

პერელმანი თავისი გარჯით ძალიან კმაყოფილი დარჩა და გადაწყვიტა იმავე სტილში გაეგრძელებინა. რონალდი იაფ კომპანიებს უსაფრდებოდა, კრედიტით ყიდულობდა, შემდეგ შენაძენებს ნაწილ-ნაწილ ყიდდა და გვარიან მოგებასაც იჯიბავდა. როგორც ამბობდნენ, ფულს "ჰაერიდან" აკეთებდა.

პერელმანისათვის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ ახალი ფინანსური ინსტრუმენტის, ე.წ. დემპინგური ობლიგაციების გამოსვლა, რომელიც ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ თითქმის ნებისმიერ ადამიანს შეეძლო გამოეშვა და ძალიან მაღალი, თითქმის წლიური 20 პროცენტი ერიცხებოდა. 1980 წელს რონალდმა 35 მილიონი დოლარის ღირებულების ამგვარი ობლიგაციები გამოუშვა და ბიოქიმიური კომპანია MacAndrews & Forbes შეიძინა, მისი რეკონსტრუქცია მოახდინა და თავისი მომავალი იმპერიის საფუძვლად აქცია.

ამის შემდეგ 5 წლის განმავლობაში პერელმანმა კიდევ რამდენიმე სხვადასხვა პროფილის იაფი კომპანიის შესაძენად 360 მილიონი დოლარი დახარჯა, 140 მილიონის კი დემპინგური ობლიგაციები გამოუშვა. 1985 წლისათვის პერელმანის ხელში გაიარა: Comsolidated Cigars, Movie Labs, Technicolor Inc, Video Corp of America, Pantry Pride...





### სარფიანად ვაჭრობის ნიჭი

ამგვარად, პერელმანმა გვარიანად იხეირა და მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კოსმეტიკური კომპანია Revlon Co-ის ხელში ჩაგდება მოინდომა. კომპანიის ხელმძღვანელობამ მისი წინადადება სერიოზულად არ აღიქვა, მაგრამ რონი ერთობ აქტიური იყო და Revlon-ის აქციების სანაცვლოდ ყველაზე მეტს იხდიდა. მაგრამ ამისათვის ძალიან ბევრი ფული იყო საჭირო, რისთვისაც პერელმანმა კვლავ ობლიგაციები გამოუშვა.

საბოლოოდ, რონალდმა Revlon-ის საკონტროლო პაკეტი ხელში 3 მილიარდ დოლარად ჩაიგდო. მან კომპანია სწრაფად დახლიჩა, მისი სამედიცინო განყოფილებები 1,4 მილიარდ დოლარად გაყიდა და თავისთვის მხოლოდ კოსმეტიკის წარმოება დაიტოვა.

აღსანიშნავია, რომ პერელმანის წარმატების მთავარი საფუძველი მისთვის დამახასიათებელი გაყიდვის ფენომენალური ნიჭი გახლდათ. როცა 90-იანი წლების დასაწყისში Revlon-ს ძალიან გაუჭირდა, რონმა კომპანიის განყოფილება Max Factor, რომელიც რამდენიმე წლის წინ 500 მილიონ დოლარად შეიძინა, Procter & Gamble-ს 1,1 მილიარდ დოლარად მიჰყიდა.

პერელმანის ხელმძღვანელობით Revlon თანდათანობით გაიფურჩქნა და თავისი სფეროს ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ცხადია, სხვა პროფილის კომპანიებს და ნაცად ყიდვა-გაყიდვის ბიზნესსაც არ შელევია. კერძოდ, 1989 წელს მან მედია-ჰოლდინგი New World შეიძინა, რომელსაც ორი წლის შემდეგ ტელეკომპანია SCI Television შემატა. ამბობდნენ, რომ პერელმანი ჰოლივუდის დასაპყრობად ემზადებოდა, მაგრამ 1996 წელს მან New World მოულოდნელად რუპერტ მერდოკს მიჰყიდა.

პერელმანის მიერ განხორციელებულ ყველაზე მსხვილ გარიგებად 2002 წელს პატარა საბანკო ჯგუფ Golden State Bancorp-ის მსოფლიოს უმსხვილესი ბანკის Citigroup-ისათვის 6 მილიარდ დოლარად მიყიდვა ითვლება. ძნელი სათქმელია, როგორ მოახერხა რონმა მაშინ ბანკირების ამ თანხის გადახდაზე დაყოლიება, მაგრამ ფაქტია, რომ Golden State-ს აქტივები ამ დროისათვის მხოლოდ 1,7 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

როცა პერელმანი რომელიმე კომპანიის ხელში ჩაგდებას ვერ ახერხებდა, იგი მის კონკურენტებს ისე ძვირი უჯდებოდათ, რომ გამარჯვება მარცხის ტოლფასი ხდებოდა.

### ბულვარული პრესის გმირი

მიუხედავად ყველაფრისა, პერელმანისათვის ბიზნესი უმნიშვნელოვანესი არასოდეს ყოფილა. როგორც მასთან დაახლოებული ამერიკელი ბიზნესმენები აღნიშნავენ, რონთან შეხვედრისას საქმეზე საუბარს მხოლოდ დროის 5 პროცენტს უთმობენ, დანარჩენს კი ქალებს. პერელმანის ქვეშერმდომები სულაც დარწმუნებული არიან, რომ მათი ბოსის მთავარი საქმიანობა ქალების კოლეციონერობაა. მაგალითად, როცა ამერიკაში პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის სკანდალი აგორდა, რონალდმა ლევინსკი უმალ სამუშაოზე მიიღო და მასთან რომანი გააბა.

ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პერელმანს განქორწინება ძალიან ხშირად უწევს ხოლმე. პირველმა ცოლმა ფეიტ ჰოლინგმა რონი გამდიდრებისთანავე მიატოვა. ქმრის ღალატის დასამტკიცებლად მან კერძო დეტექტივი დაიქირავა და 1983 წელს მტკიცებულებები სასამართლოში წარადგინა. საბოლოოდ, ფეიტმა ქმარს 8 მილიონი დოლარი დასცინცლა.

ორი წლის შემდეგ რონალდი მეორედ, ყვითელი პრესის ნიუ-იორკელ ჟურნალისტ კლაუდია კოენზე დაქორწინდა. მათი ურთიერთობა 9 წელი გაგრძელდა და 1994 წელს კლაუდიას მიერ სასამართლოში მოთხოვნილი განქორწინება პერელმანს, რომელიც უკვე ბევრად მდიდარი იყო, 80 მილიონი დოლარი დაუჯდა.

პერელმანის მესამე რჩეული დემოკრატიული პარტიის ფუნქციონერი პატრიცია დაფი გახლდათ. ამჯერად ქორწინება სულ რაღაც 2 წელი გაგრძელდა, რის შემდეგაც მთელი ამერიკა თვალს ადევნებდა რონის და პატის სასამართლოში ბრძოლას მათი გოგონა კეილისათვის. კარგი მამობის დასადასტურებლად პერელმანმა შვილის რაციონი წარადგინა, რითაც მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ მილიარდერის შვილის დღიური კვება 3 დოლარი ჯდებოდა. სწორედ ამდენი ღირდა მისი რაციონი: ფაფა, ჰოთ-დოგი და ქათმის ფეხები. საბოლოოდ, რონალდმა შვილი შეინარჩუნა, ყოფილ ცოლს კი 100 მილიონი დოლარი გადაუხადა.

მეხუთედ პერელმანმა 2000 წელს ჰოლივუდის მსახიობი ელენ ბარკინი შეირთო. ამ ქორწინებამ ხუთი წელი გასტანა და მისი მთავარი მიღწევა რონის მიერ ცოლის თხოვნით სიგარის წევისათვის თავის დანებება გახლდათ, რომელიც ყმაწვილკაცობიდან მუდამ პირში ჰქონდა გაჩრილი. ოჯახური ულელისაგან მეხუთედ გათავისუფლება რონალდს შარშან 150 მილიონი დაუჯდა.

ძნელი სათქმელია, კიდევ როდის დაქორწინდება პერელმანი, მაგრამ ფაქტია, განქორწინებებში მან მეტად დიდი თანხა გადაიხადა. როგორც ამბობენ, მას, როგორც ყოველთვის, რამდენიმე საყვარელი ჰყავს.

რონალდი დღემდე რჩება მუსიკის თავგადაკლულ მოყვარულად და როდ სტიუარტთან და ჯონ ბონ ჯოვისთან მეგობრობს. სხვათა შორის, სტიუარტი პერელმანს ბავშვობის ოცნების განხორციელებაში დაეხმარა და თავის ერთ-ერთ კონცერტზე დასარტყმელ ინსტრუმენტზე დააკვრევინა. როგორც ამბობენ, რონი მშვენივრად ირჯებოდა.

საინტერესოა, რომ დიდი კაპიტალის მქონე პერელმანი ფულის მიმართ საკმაოდ ზერელე დამოკიდებულებით გამოირჩევა. ორი წლის წინ ანტიკვარიატის ნიუ იორკულმა სადილერო ფირმამ De Vos and Gorand-მა რონალდს სასამართლოში უჩივლა, რადგან მან ანტიკვარული ავეჯი შეიძინა და მათი ღირებულება - 1 მილიონი დოლარი არ გადაიხადა. პერელმანმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ უფრო ადრე მან კომპანიისაგან რამდენიმე ნივთი შეიძინა, რომლებიც ყალბი აღმოჩნდა და ახლა ისინი ბარიბარში არიან. საბოლოოდ, სასამართლომ რონალდს გაცილებით დიდი თანხის გადახდა დააკისრა.

იოლი მისახვედრია, რომ პერელმანი ბულვარული პრესის ჟურნალისტების საყვარელი ობიექტია, თუმცა თავად გამუდმებით აცხადებს, რომ პრესა და ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს. ამდენი სკანდალი რომც არ ყოფილიყო, რონის პოპულარობას Revlon-ის დირექტორთა საბჭოში მის მიერ ისეთი განთქმული ადამიანების თავმოყრაც განაპირობებდა, როგორებიც არიან აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, პრეზიდენტ კლინტონის განუყრელი მეგობარი ვერნონ ჯორდან უმცროსი, Warner Brothers-ის ყოფილი დირექტორი ტერი სიმელი, ცნობილი ლიტერატურული აგენტი მორტონ ჯეკლოუ...

საინტერესოა პერელმანის პოლიტიკისადმი დამოკიდებულება. მართალია, ბევრი ბიზნესმენისაგან განსხვავებით, იგი პოლიტიკაში გადასვლას თავად არ ცდილობს, მაგრამ გავლენიანი მფარველების შემოსაკრებად მასში დიდ ფულს აბანდებს და სიამოვნებით აფინანსებს როგორც რესპუბლიკელებს, ასევე დემოკრატებს.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა გაგრძელდა










გუშინ, ზედიზედ მეორე დღეს ნიუ იორკის ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კვლავ მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციაა, ნავთობიც ისევ ძვირდება და აშშ-ს შრომის მინისტრის განცხადებით, მიმდინარე წლის ივნისში საწარმოო ფასების 0,5 პროცენტით მატება დაფიქსირდა, როცა ექსპერტები 0,2 პროცენტიან ზრდას ელოდნენ, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა განაპირობა. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში Coca Cola-ს მოგება გასულ წელთან შედარებით 8 პროცენტით, 2,94 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის Merrill Lynch-ის შემოსავალი კი მეორე კვარტალში 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29 პროცენტით, 8,16 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,44 პროცენტით, 10.794,9 პუნქტამდე გაიზარდა. 0,42 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.046,21 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,33 პროცენტით, 1.238,54 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ისევ გაძვირდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე მცირე პაუზის შემდეგ "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 77,04 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 76,12 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. როგორც ხედავთ, ეს მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება ისტორიულ მაქსიმუმს, რომელიც 14 ივლისს დაფიქსირდა და Brent-ის მარკის ნავთობისათვის 78,08 დოლარი/ბარელი, Light-ის მარკის ნავთობისათვის კი 78,4 დოლარი/ბარელი გახლდათ. ნავთობის ფასის კვლავ მატება გუშინწინ მოგების ფიქსაციის გამო გაიაფების შემდეგ შესყიდვებისათვის შექმნილმა ხელსაყრელმა ვითარებამ და ბაზრის კორექციის დასრულებამ განაპირობა. მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ჩინეთის მზარდი ეკონომიკა ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების მატებას განაპირობებს, მსოფლიოში კი კვლავინდებურად მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ გუშინ ნავთობის ბაზარი ისრაელის მიერ ახალი ბომბარდირების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა.

"ოპეკის კალათის" ფასმა კი 71,43 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც 0,28 დოლარით ნაკლებია, ვიდრე მიმდინარე წლის 14 ივლისს დაფიქსირებული ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 647,5 დოლარამდე გაძვირდა, ვერცხლის ფასი 11,72 დოლარი/უნციამდე დაეცა, პლატინის კი 1250 დოლარი/უნციამდე, ხოლო პალადიუმი 322,2 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასის ზრდას უნდა განაპირობებდეს, გუშინდელი გაიაფების მიზეზი რამდენიმე დღის განმავლობაში ფასების გამუდმებული მატების შემდეგ მოგების ფიქსაციამ განაპირობა. ანალიტიკოსთა აზრით, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა და ძვირფასი ლითონები მომავალში ისევ გაძვირდება.

## ჩინეთის შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის ტემპმა ათწლიან მაქსიმუმს მიაღწია

ჩინეთის შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში, 11,3 პროცენტით, რაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ქვეყნის სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებით, ნახევარი წლის განმავლობაში მრეწველობის მოცულობის ზრდამ 17,7 პროცენტი შეადგინა, აქედან, მძიმე მრეწველობის წილი 18,5 პროცენტია, მსუბუქი მრეწველობის კი 15,5 პროცენტი. ელექტროენერგიის წარმოება 12 პროცენტით გაიზარდა, ქვანახშირის 12,5 პროცენტით, თუჯის 20,8 პროცენტით, ფოლადის 25,7 პროცენტით, ავტომობილების 27,8 პროცენტით, აქედან, მსუბუქი ავტომობილების 53,2 პროცენტით. ამასთან, ქვანახშირის მოპოვებაში ინვესტიციები 46 პროცენტით, გაზისა და ნავთობის მოპოვებაში კი 30 პროცენტით გაიზარდა, რაც ეკონომიკაში ენერგოდეფიციტს ალმოფხვრის.

ამავდროულად, ჩინეთის მთავრობა ეკონომიკის გადაწვას უფრთხის და ძირითად ფონდებში, რომელთა ზრდამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 31 პროცენტი შეადგინა, ინვესტირების ამჟამინდელ დონეს ზედმეტად მიიჩნევს. მათი შეზღუდვისათვის გაიზარდა რეფინანსირების განაკვეთი. გარდა ამისა, შემოიღეს შეზღუდვა ბანკების საკრედიტო ექსპანსიაზე. აღსანიშნავია, რომ ივნისში ჩინეთში ინფლაციამ 1,5 პროცენტი შეადგინა, რაც იანვრის შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებელია. ჩინეთის ეკონომიკის მეტისმეტი ლიკვიდურობა დაკავშირებულია სავაჭრო ბალანსის უზარმაზარ პროფიციტთან. ამასთან, გასული წლის ივლისის შემდეგ, როცა ჩინეთში ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსი გააუქმეს, იუანი დოლართან მიმართებაში მხოლოდ 1,3 პროცენტით გაიზარდა.

## მორიგი საერთაშორისო აღიარება

### "საქართველოს ბანკის" საკრედიტო პორტფელი გაორმაგდა

საქართველოს წამყვანი უნივერსალური ბანკი სს "საქართველოს ბანკი" უკვე მეორედ გახდა მსოფლიოში პრესტიჟული "ევრომანის" ჯილდოს მფლობელი: მან ჯილდო შემდეგ ნომინაციაში მიიღო: 2006 წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში. "ევრომანი", რომელიც გლობალური კაპიტალის ბაზრების შესახებ წამყვანი ჟურნალია, ყოველწლიურად გამარჯვებულთა სიას მსოფლიოს 70 ქვეყნის მასშტაბით აქვეყნებს.

"მე ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ "საქართველოს ბანკი" უკვე მეორედ იღებს ამ პრესტიჟულ ჯილდოს. ეს ბანკის სწრაფი და წარმატებული ზრდისა და განვითარების აღიარებაზე მეტყველებს," - აღნიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

თუმცა ეს "საქართველოს ბანკში" ერთადერთი სიახლე არ არის. როგორც ცნობილი გახდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკიდან სამი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟაზე პირველად საჯარო შეთავაზებას აპირებს.

კერძოდ, ახლო მომავალში, "საქართველოს ბანკი" გააკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში აპირებს ლისტინგს, რაც მის ღირებულებას სულ მცირე 200 მილიონ აშშ დოლარამდე გაზრდის.

ამ მხრივ, "საქართველოს ბანკი" კავკასიის რეგიონში პირველი იქნება. როგორც ბანკის ერთ-ერთმა ინვესტორმა "The Business"-თან საუბრისას აღნიშნა: "ეს არის ამ ტიპის პირველი საჯარო კომპანია კავკასიაში." მისივე განცხადებით, ბანკის მენეჯმენტი, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, "რეპატრიანტები" არიან, ანუ ქართველები, რომლებიც უცხოეთში, დასავლურ ბანკებში მუშაობდნენ, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება და ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს. ინვესტორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ "ეს მართლაც შთამაგონებელია. ისინი ყველანი პატიოსანი ადამიანები არიან და ბანკს გამჭვირვალედ მართავენ".

"საქართველოს ბანკის" ერთ-ერთი ინვესტორის თქმით, ბანკი იმით არის მიმზიდველი, რომ მთლიანად კავკასიის რეგიონის საბანკო ბაზრის მოცვას აპირებს. ეს კი, მისივე თქმით, იმას ნიშნავს, რომ "ბანკის ზრდა მხოლოდ საქართველოს 4.7 მილიონიანი მოსახლეობით არ შემოიფარგლება."

როგორც "საქართველოს ბანკში" აცხადებენ, ლადო გურგენიძე თავდაპირველად ლისტინგს ლონდონის საფონდო ბირჟის ალტერნატიული ინვესტიციების ბაზარაზე აპირებდა, მაგრამ "ბანკის სწრაფი ზრდა გასული წლის განმავლობაში იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითადი ბაზრის ლისტინგში მოხვდეს. გასული წლის მანძილზე ბანკის საკრედიტო პორტფელი გაორმაგდა," - განაცხადეს "საქართველოს ბანკში".




## ამინდი

| | 19/07 | 20/07 | 21/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 25 | 27 |
| რიგა | 21 | 22 | 20 |
| ვილნიუსი | 20 | 21 | 23 |
| მოსკოვი | 18 | 15 | 18 |
| მინსკი | 21 | 23 | 25 |
| პარიზი | 35 | 32 | 35 |
| რომი | 32 | 33 | 35 |
| ლონდონი | 35 | 28 | 27 |
| მადრიდი | 32 | 32 | 37 |
| ბონი | 36 | 37 | 32 |
| ვარშავა | 29 | 30 | 33 |
| ათენა | 28 | 28 | 29 |
| ბერნი | 31 | 33 | 32 |
| ამსტერდამი | 32 | 28 | 27 |
| ოსლო | 24 | 24 | 20 |
| ანკარა | 30 | 30 | 30 |
| ვარნა | 32 | 31 | 26 |
| დელი | 50 | 47 | 45 |
| ტოკიო | 25 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 27 | 27 | 25 |
| ბაქო | 34 | 30 | 31 |
| ერევანი | 38 | 40 | 41 |
| ასტანა | 25 | 28 | 26 |
| ჰელსინკი | 16 | 17 | 17 |
| დუბლინი | 26 | 22 | 21 |
| ლისაბონი | 29 | 27 | 27 |
| პრაღა | 33 | 32 | 28 |
| სოფია | 28 | 30 | 29 |
| ბუდაპეშტი | 35 | 35 | 37 |
| ბუხარესტი | 35 | 33 | 33 |

# საწარმო დახმარებას ითხოვს

### ოთხწლიანი დაპირისპირება "იონის" გარშემო

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში მდებარე სს "იონის" 80-მდე თანამშრომელი ქვეყნის პრეზიდენტს, ფინანსური პოლიციის უფროსსა და გენერალურ პროკურორს დახმარებას სთხოვს, რათა ბოლოსდაბოლოს წერტილი დაესვას ქარხანაში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე დაგროვილ პრობლემებს. არადა, წლების მანძილზე ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საცდელ საწარმოს, რომელიც სვირში 1969 წელს გაიხსნა, მთელ საბჭოთა სივრცეში ანალოგი არ ჰყავდა. სვირის საწარმო მაღალი ძაბვის გარდამსახებს უშვებდა და წელიწადში საშუალოდ ერთი მილიონი მანეთის პროდუქციას აწარმოებდა.*



**"მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ჩვენ ვიყავით მცირე სიმძლავრის მაღალი ძაბვის ტექნოლოგიის მწარმოებლები. ჩვენ ისეთ მოწყობილობებს ვუშვებდით, რომლითაც კონკურენციას ვუწევდით ისეთ გიგანტურ ფირმას, როგორიც "სიმენსია,"** - აცხადებს სს "იონის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიზო ზიბზიბაძე.

**"ეტყობა, არ მივიდა პრეზიდენტამდე და ხელისუფლებამდე ჩვენი სატკივარი, თორემ ასეთი უკანონობა არ იქნებოდა,"** - ამბობენ სს "იონის" თანამშრომლები. უკვე ერთი წელია საწარმოში მოკვლევას იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ფინანსური პოლიცია აწარმოებს. დაპირისპირება კი ქარხანაში უფრო ადრე დაიწყო. მაშინ საწარმოში არსებული დარღვევებით პროკურატურა დაინტერესდა, თუმცა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმისა და სასამართლო პროცესის მიუხედავად, პრობლემა ვერ გადაიჭრა. სს "იონს" ვადა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე აქვს - თუ ამ დრომდე ვერ მოხერხდა ქარხნის მიერ სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ვალის დიდი ნაწილის (სულ ქარხანას საგადასახადო ინსპექციის წინაშე 168000 ლარი მართებს) გადახდა, საწარმოს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამჟამად რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს, გაკოტრება ემუქრება.

**`საწარმოს გასაკოტრებლად ძალისხმევას არ იშურებენ ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, რადგან გაკოტრებული ქარხნის კაპიკებად ხელში ჩაგდება, ადვილია. თანაც, ჩვენი საამქრო ყოველთვის მოგებაზე მუშაობდა, მაშინაც კი, როცა ამ ადამიანებმა ქარხანა დაკეტეს და მუშა-მოსამსახურეები უხელფასო შვებულებაში გაუშვეს,"** - აცხადებს გიზო ზიბზიბაძე.

მაშინდელმა ხელმძღვანელებმა სს "იონი" 2003 წლის 1 ივლისს დახურეს, თუმცა მაშინ მუშებს აუხსნეს, რომ - დროებით.

**"იმ დროისთვის მუშების ხუთი თვის სახელფასო დავალიანება იყოდაგროვილი და გვითხრეს, რომ საწარმოს 114000 ლარი ერგებოდა "საქართველოს რკინიგზისგან". ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ თანხის ჩარიცხვისთანავე, ვალს გაგვისტუმრებდნენ. თანაც, ისიც გვითხრეს, რომ ქარხანას სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა მიზერული ვალი, მთლიანობაში დაახლოებით 15000 ლარი. ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ 114000 ლარი ოქტომბრის თვეში სრულად ჩაირიცხა "საქართველოს რკინიგზიდან", მაგრამ თანამშრომლებს მხოლოდ ორი თვის ხელფასი გაგვისტუმრეს. დანარჩენი თანხა რაში დაიხარჯა არ ვიცით. 90000 ლარი უკვალოდ გაქრა, მაგრამ არავისთვის პასუხი დღემდე არავის მოუთხოვია,"** - აცხადებს სს "იონის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რობერტ ლილუაშვილი.

ქარხნის მაშინდელი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი გირაოს სახით 24 ათასი ლარის გადახდით შემოიფარგლა, თუმცა ამით პრობლემა არ მოგვარებულა. საწარმო და მისი თანამშრომლები, რომლებიც, ძირითადად, სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ და საშუალოდ ხელფასი 100 ლარამდე აქვთ, ორ ბანაკად გახლეჩილ ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირებას ეწირება.

პირველი ბზარი საწარმოში 2001 წელს გაჩნდა, როცა ქარხნის მოგებამ 26000 ლარი შეადგინა, თუმცა, როგორც გაირკვა - მხოლოდ ფურცელზე. რეალურად, არც ეს თანხა ჩანს არსად.

**"მაშინ მოვთხოვეთ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს, წარმოედგინათ ანგარიში, თუ რაში იხარჯებოდა თანხა და სად მიდიოდა მოგება, რაც ქარხნიდან ჩვენი გაგდებით დასრულდა,"** - ამბობს გიზო ზიბზიბაძე.

საწარმოდან გაძევებულმა 10-მდე თანამშრომელმა, მათ შორის, დირექტორის მოადგილემ კომერციულ საკითხებში ივლან თუთარაშვილმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიზო ზიბზიბაძემ, საამქროს უფროსმა რობერტ ლილუაშვილმა და სხვებმა სასამართლოს მიმართეს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე სარჩელით. სარჩელი სასამართლომ 2005 წლის 22 თებერვალს დააკმაყოფილა, რის შემდეგაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ სამხარაძის ნაცვლად გიზო ზიბზიბაძე გახდა, მამუკა სამხარაძის ადგილი რობერტ ლილუაშვილმა დაიკავა, დირექტორად კი შარვაძის ნაცვლად ივლან თუთარაშვილი დაინიშნა.

**"ჩვენ ქარხანა ფინანსური პოლიციის მიერ დალუქული დაგვხვდა და მხოლოდ სამი თვის შემდეგ ახსნეს ლუქები. ამის მიუხედავად, დავასაქმეთ 20 ადამიანი და უკვე 2005 წლის ბოლოს 25000 ლარის პროდუქცია გავყიდეთ,"** - აცხადებს გიზო ზიბზიბაძე.

სს "იონი" 2001 წლიდან დღემდე "საქართველოს რკინიგზის" დაკვეთებს ასრულებს. საწარმო პროდუქციას (ტრანსფორმატორებს) "საქენერგოსთვისაც" ამზადებს. ამჟამად სს "იონი" 45 დასახელების პროდუქციას უშვებს. ბოლო ერთი წლის მანძილზე 14 დასახელების ახალი პროდუქტი შეიქმნა და გამოიცადა.

**"მოძველებული დანადგარები გვაქვს, მაგრამ ძალიან გამოცდილი მუშა-ხელი და სპეციალისტები გვყავს,"** - ამბობს ქარხნის დირექტორი ივლან თუთარაშვილი, რომელსაც ამჟამად უფლებამოსილება დროებით შეჩერებული აქვს. თუთარაშვილი ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა 2006 წლის 23 მარტს გასულ წლებში საწარმოდან 16000 ლარამდე მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა 70-დღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. სს "იონს" ამჟამად რეაბილიტაციის მმართველი ირაკლი ჩუბინიძე მართავს.

საწარმოში დღეს 45 ადამიანი მუშაობს. საწარმოს ხელმძღვანელობა, ამბობს, რომ თუ ხელისუფლებისგან მხარდაჭერა იქნება, წლის ბოლომდე დამატებით 30 სამუშაო ადგილი შეიქმნება. დახმარებას კი, ქარხნის ადმინისტრაცია, ვალების გადახდის რამდენიმე თვით გადასავადებლად ითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ სს "იონის" ადმინისტრაციამ რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულება, თუნდაც, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეასრულა და არც სახელმწიფო სტრუქტურები გამოიჩენენ გულისხმიერებას ვალის გადახდის გადავადების თაობაზე, საწარმო რეაბილიტაციიდან გაკოტრების რეჟიმში გადაინაცვლებს, რის შემდეგაც ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ქარხნის მუშა-მოსამსახურეები აღმოჩნდებიან. ამასთან, საქართველოში ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიების მწარმოებელ ერთადერთ საწარმოს საბოლოო ლიკვიდაცია ემუქრება.

# როდის აღიარებენ ევროპელები ქართულ მინერალურ წყალს

### 7000 სახეობის პროდუქტი შეღავათით სარგებლობს

თინა შავაძე

რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო, ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო ბალანსი იმ დონემდე უარყოფითია, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგებით, დეფიციტი 64 პროცენტით გაიზარდა. ანუ, იმპორტის და ექსპორტის სხვაობამ 350 მილიონი ლარი შეადგინა. არსებულ მდგომარეობაში, ქართული პროდუქციისათვის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ყოვედღიურად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. დიდი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის ბაზარზე ქართული ექსპორტის გაზრდას. სამი თვის წინ ბრიუსელში ამოქმედდა ევროკავშირი - საქართველოს ბიზნესსაბჭო, რომელიც ცდილობს ქართულ კომპანიებს ევროკავშირის ბაზრის ათვისებაში დაეხმაროს.

ამჟამად საბჭოში 12 ქართული კომპანიაა გაერთიანებული, თუმცა მოსალოდნელია 21 ივლისს დირექტორთა საბჭომ კიდევ 5 კომპანიის განაცხადი დააკმაყოფილოს და წევრების რაოდენობა 19-მდე გაიზარდოს. საბჭოში გაწევრიანებით დაინტერესება გამოხატეს ნავთობის, სოფლის მეურნეობისა და მინერალური წყლების სექტორში მოქმედმა გადამამუშავებელი მრეწველობის კომპანიებმა. "24 საათთან" საუბარში ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალური დირექტორი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი ამბობს, რომ "ევროკავშირის ქვეყნებში ვაჭრობისას მთავარი ბარიერი არასატარიფო საკითხების, მათ შორის პროდუქციის ხარისხის კონტროლი და ბაზარზე დაშვების პირობებია. საბჭო ადგილობრივ მეწარმეებს ეხმარება საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში და ახალი ბიზნესპარტნიორის მოძებნაში. მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ქართული მინერალური წყლის ცნობარის შედგენაზე. ვფიქრობ, წინააღმდეგობა, ორივე მხარის ექსპერტების ერთობლივი მუშაობით, მოკლე დროში იქნება დაძლეული."

ცნობილია, რომ არასატარიფო ბარიერების კუთხით, ევროკავშირი დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ბაზარია და ამ ფონზე იგი საქართველოს ცალმხრივად ანიჭებს ისეთ განსაკუთრებულ სავაჭრო შეღავათებს (GSP+), რომელიც ზოგადი სავაჭრო შეღავათების მქონე 180 ქვეყნიდან მხოლოდ 14-ზე ვრცელდება. ამ შეღავათით 7000 სახეობის პროდუქტი, რომელიც შედის ევროპის ბაზარზე, გათავისუფლებულია ევროკავშირის საბაჟო გადასახადისგან. თუ როგორ უნდა გამოიყენოს საქართველოს ბიზნესჯგუფებმა ეს შეღავათები და რა პირობები უნდა დაიცვან, ამ საკითხებზე გუშინ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობამ და ევროკავშირი -საქართველოს ბინეს საბჭომ სემინარი გამართა.

უცხოელი ექსპერტების მიერ წარდგენილმა თემებმა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ადგილობრივი მეწარმეების დაინტერესება და დისკუსია გამოიწვია. მათ შორის, აღსანიშნავია სოფია მუნიოზის მიერ "ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა და სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის" და პატრის პილეს "საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის კონტექსტში". ძირითადი არასატარიფო ბარიერების შესახებ კი მანუელ როდრიგეს კატალანიმ ისაუბრა თემაზე: "ევროკავშირის ტარიფები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და ვაჭრობა საქართველოსთან."

ადგილობრივი ბიზნესჯგუფების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოდან სამკერვალო ნაწარმის (ტექსტილის), ღვინის, მინერალური წყლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და თხილის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას წამოჭრილი პრობლემებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

### "ნაციონალური ავიახაზები" ახალი თვითმფრინავ CRJ-200-ით ფრენას თვის ბოლოს დაიწყებს

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ახალი თვითმფრინავის CRJ-200 ჩამოყვანას თბილისში 22 ივლისისთვის ვარაუდობს. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანიის მარკეტინგის მენეჯერმა მამუკა მჭედლიშვილმა განუცხადა, თვითმფრინავი უახლოეს მომავალში კომპანიის ძირითად რეისებს შეასრულებს. წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ ერთი თვითმფრინავის ჩამოყვანა. ამჟამად "ნაციონალური ავიახაზები" რეისებს მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ალმა-ათას, დნეპროპეტროვსკის, კიევის, ოდესის და პრაღის მიმართულებით ორი თვითმფრინავით - "ტუ-134"-ით და "ან-24"-ით ახორციელებს. კომპანიას ასევე სატვირთო თვითმფრინავი "ილ-76" გააჩნია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### "ენგურჰესი" საქართველოს ენერგოსისტემაში 20 ივლისს ჩაირთვება

"ენგურჰესის" ჩართვა საქართველოს ენერგოსისტემაში 20 ივლისისთვის იგეგმება. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან აცნობეს. ამ ეტაპზე, ენგურჰესი ტესტირების რეჟიმში მუშაობს. ორი დღის წინ ჰესი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოინახულა. მისი თქმით, ენგურზე სარემონტო სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს. სარემონტო სამუშაოების ნაწილი ავსტრიელმა და გერმანელმა სპეციალისტებმა განახორციელეს.

"ენგურჰესი" 27 მარტის შემდეგ დერივაციული გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გაჩერებული იყო. ოთხი თვის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემა ქვეყნის მთავარი ჰიდროელექტროსადგურის გარეშე მუშაობდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით განხორციელდა. კრედიტის საერთო ოდენობა 37,5 მლნ აშშ დოლარია, საიდანაც 17 მლნ დოლარი დერივაციული გვირაბის რეაბილიტაციას მოხმარდა.

### ბიზნესის განვითარების ცენტრი პილოტური პროგრამის პრეზენტაციას მოახდენს

საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი "კავკასია" ხვალ ბიზნესის განვითარების და დასაქმების პილოტური პროგრამის პრეზენტაციას გამართავს. პრეზენტაცია თბილისის მერიის შენობაში განთავსებულ ბიზნესის საინფორმაციო ცენტრის ოფისში დღეს, 14:00 საათზე გაიმართება. პილოტური პროგრამა ითვალისწინებს ტრეინინგების ჩატარებას ბაკალავრი სტუდენტების და უმუშევარი ახალგაზრდებისთვის, ასევე ბიზნესმენებისთვის და მაგისტრი სტუდენტებისთვის. პროგრამის ფარგლებში სტუდენტური საკონსულტაციო პროექტი განხორციელდება, რომლის მიხედვით ექსპერტებთან ერთად სტუდენტები არსებული კომპანიების სასარგებლოდ, ან ახალი ბიზნესის დასაწყებად ბიზნესგეგმებს, ან მარკეტინგულ კვლევებს მოამზადებენ. პროგრამის ბოლოს, 20-22 ოქტომბერს განათლების და დასაქმების ფორუმი 2006 გაიმართება. პროგრამის მიზანია ბიზნესის პოპულარიზაცია, სტუდენტური საკონსულტაციო მომსახურების განვითარება, ადგილობრივი ექსპერტების და პროფესორ-მასწავლებლების როლის გაზრდა ბიზნესის განვითარებაში, ახალგაზრდა უმუშევრების გადამზადება, ერთობლივი ბიზნეს ტრეინინგები საქართველოს კომპანიებისთვის და მაგისტრი სტუდენტებისთვის, ახალგაზრდების დასაქმების წახალისება და საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების გაცნობა სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. პროგრამა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ხორციელდება. პროგრამის გენერალური სპონსორია ბანკი "რესპუბლიკა".

პრეზენტაციას ბიზნესმენები, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

შედეგი ხუთიანია



C2

აბრამოვიჩი
ახალი რეკორდისთვის ემზადება



C3

შუმახერი
ჩემპიონობაზე ალაპარაკდა



C4

## სანიკიძის ბენეფისი ლისაბონში

### საქართველო - ჩეხეთი 98:88



*სანიკიძის შეჩერება შეუძლებელი იყო.*

გუშინ ლისაბონში საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩი გამართა. ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მოთამაშე ქართველ ახალგაზრდებს ამ ეტაპზე ჯგუფური ტურნირის სამი მატჩი ექნებათ გასამართი. ნახევარფინალში გასასვლელად აუცილებელია ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავება. ამისთვის პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. გუშინ უსტიაშვილის შეგირდები ჩეხ თანატოლებს ეთამაშებოდნენ. მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის უილბლოდ დაიწყო. ქართველ კალათბურთელებს ნერვიულობა ეტყობოდათ და თამაში არ გამოსდიოდათ. პირველი მეოთხედი ჩეხებმა 28:20 მოიგეს. ვითარება მაინცდამაინც არც მეორე მეოთხედში გამოსწორებულა, რომელიც ასევე ჩეხების გამარჯვებით - 25:22 დასრულდა. გუნდები შესვენებაზე ისე გავიდნენ, რომ ჩეხები 11 ქულას იგებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, სოლიდური ჰანდიკაპი იყო.

ქართველი კალათბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარუმატებლობამ არ გატეხა. მეორე ტაიმში ჩვენი ბიჭები ჩვეულ სტილში ათამაშდნენ, შეძლეს პოტენციალის სრულად გამოვლენა და თამაშის სადავეებიც ხელთ იგდეს - თერთმეტქულიანი დეფიციტი ათ წუთში აღმოფხვრეს. მესამე მეოთხედი უსტიაშვილის შეგირდებმა ასევე 11 ქულით მოიგეს - 30:19. დასკვნით, მეოთხე მეოთხედში, მოედანზე ჩვენი კალათბურთელები დომინირებდნენ. ჩეხებმა ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და მეოთხე მეოთხედი საქართველოს ნაკრების გამარჯვებით - 26:16 დასრულდა. ამრიგად, პირველ მატჩში ჩვენმა კალათბურთელებმა რთული გამარჯვება მოიპოვეს და ნახევარფინალის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საუკეთესო იყო ვიქტორ სანიკიძე. მან 35 ქულა დააგროვა და 8-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. კარგად ითამაშეს აგრეთვე დიდიამ, ცინცაძემ და გამყრელიძემ, რომლებმაც, შესაბამისად, 16, 18 და 11 ქულა შესძინეს გუნდს.

## ქარელიშვილმა მუშტები ოსტატურად იქნია

### თურქებმა რეფერი ცემეს

პლოვდივში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის მეხუთე დღეს რევაზ ქარელიშვილმა (75 კგ) მეორე შეხვედრა მოუგო სომეხ ანდრანიკ აკობიანს და ხვალ უკრაინელ ალექსანდრ უსიუკს შეერკინება, რომელმაც შვედი ჯეკ ბადოუ დაამარცხა. ამ ტურნირზე თურქი მოკრივე აიდინ სელჩუკი და მისი მწვრთნელი დავუტ კინარლარი ჩადენილი ხულიგნობისთვის გვარიანად დასაჯეს.

სამოყვარულო კრივის ევროპის ასოციაციის რიგგარეშე აღმასკომის სხდომის დადგენილებით, თურქ მოკრივეს ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ხოლო მისი მწვრთნელი სამუდამოდ ჩამოაშორეს კრივს.

ინციდენტი, რომელსაც ასეთი მკაცრი განაჩენი მოყვა, სელჩუკისა ინგლისელი ფრენკ გევინის შეხვედრისას (60 კგ) მოხდა. თურქი მოკრივე აგებდა. როდესაც მიხვდა, რომ სიტუაციას თავის სასარგებლოდ ვეღარ შემოაბრუნებდა, კრივის წესებიდან გადაუხვია. რეფერიმ რამდენჯერმე გააფრთხილა, ბოლოს კი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ისტორია ამით არ დამთავრებულა. "უსამართლო" გადაწყვეტილებით გულმოსული თურქი მსაჯებს მიადგა - ხელთათმანები გაიძრო და მათ დაუშინა, დაამსხვრია სარეკლამო დაფები. "უმოწყალოდ დაჩაგრულ" შეგირდს მწვრთნელი გამოესარჩლა, ოღონდ იმდენად, რომ შეხვედრის რეფერის სახეში დაარტყა. სამოყვარულო კრივის ევროპის ასოციაციის საგანგებო სხდომაზე თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ბოდიში მოიხადეს. თუმცა განაჩენი ძალაში დარჩა. სხდომის მსვლელობისას ასეთი წინადადებაც გაისმა: თურქეთის ნაკრები საერთოდ მოვკვეთოთ ევროპული რინგიდანო, თუმცა ინიციატივამ მხარდაჭერა ვერ პოვა.

# გამარჯვების ტოლფასი მარცხი

### "სიონმა" აზერბაიჯანული ბარიერი გადალახა



*"სიონი" თბილისში გამარჯვებამ შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ჩემპიონმა ბოლნისის "სიონმა" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში მარცხის მიუხედავად, წარმატებით დაძლია ეს ბარიერი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გააღწია. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა პირველი მატჩი, რომელშიც "სიონმა" აზერბაიჯანის ჩემპიონი "ბაკი" 2:0 დაამარცხა. გუშინ ამ გუნდების საპასუხო შეხვედრას ბაქომ უმასპინძლა. მართალია, "ბაკის" ფეხბურთელებმა "სიონი" 1:0 დაამარცხეს, მაგრამ ლიგაში მოხვედრისთვის ბრძოლას "სიონი" აგრძელებს.

თამაში დაძაბული გამოდგა. პირველივე წუთებიდან უპირატესობას დაეუფლნენ "ბაკის" ფეხბურთელები, რომლებიც "სწრაფი" გოლის გატანას ცდილობდნენ. "სიონის" მთავარ მწვრთნელთან ორი დღის წინ შემოთავაზებულ ექსკლუზიურ ინტერვიუში კახა ცხადაძემ მეტოქის მხრიდან სწორედ ასეთი სტრატეგია იწინასწარმეტყველა. ასე რომ, ბოლნისელები მზად იყვნენ მოვლენათა ასეთი გავითარებისთვის. სასტარტო შტურმის მოგერიების შემდეგ თამაში გათანაბრდა და "სიონისთვის" ხელსაყრელ კალაპოტში გადავიდა. მოედნის ცენტრის დასაკუთრება ვერც "ბაკიმ" და ვერც "სიონმა" ვერ მოახერხეს. იმის გათვალისწინებით, რომ მასპინძლებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ, სახიფათო მომენტებიც უფრო მათ კართან იქმნებოდა. დამაგვირგვინებელ ფაზაში "სიონის" თავდამსხმელებს ზუსტი დარტყმები არ გამოსდიოდათ. თუმცა, პირველ ტაიმში მთავარი ამოცანა შეასრულეს - საკუთარი კარი ხელშეუხებლად შეინარჩუნეს.

მეორე ნახევარში "ბაკის" იერიშები უფრო გამწვავდა. 65-ე წუთზე მათ გოლის გატანა შეძლეს: ჯარიმიდან ჩაწოდების შემდეგ ბურთი გაიტანა მასპინძელთა უკრაინელმა ლეგიონერმა ლებოდამ. ამის შემდეგ "ბაკი" კიდევ უფრო გააქტიურდა. ერთ მომენტში კუთხურიდან ჩაწოდებისა და თავური დარტყმის შემდეგ ბურთი "სიონის" კარის ხაზიდან რაქვიაშვილმა გამოიტანა, მომდევნო შეტევისას კი შეცდა ჭიჭვეიშვილი, თუმცა, თანაგუნდელებმა კარგად დააზღვიეს და ლებოდას ქვაჩახიასთან პირისპირ გასვლის საშუალება არ მისცეს. თუმცა, "ბაკის" ეს "აფეთქება" მხოლოდ ხუთ წუთს გაგრძელდა. დარჩენილ დროში თამაშმა ისევ "სიონისთვის" ხელსაყრელი ხასიათი მიიღო. საქართველოს ჩემპიონმა რამდენიმე ეპიზოდში ანგარიშის გაქვითვის შანსი გაუშვა ხელიდან. კარგი კომბინაცია გაითამაშეს "სიონის" ახალწვეულმა კამერუნელებმა ევაჩემ და ცასემმა, თუმცა, ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი პოზიციიდან კარში ზუსტად ვერ დაარტყა. ორჯერ სახიფათოდ დაარტყა უგრეხელიძემ, თუმცა მასპინძელთა სენეგალელმა მეკარემ სალიუ დიარამ უშეცდომოდ ითამაშა. მატჩი დასრულდა 1:0 "ბაკის" სასარგებლოდ, თუმცა, ორი მატჩის ჯამში "სიონმა" გაიმარჯვა 2:1 და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლნისის "სიონს" გაცილებით ძლიერი მეტოქე და დიდი გამოცდა ელის. საქართველოს ჩემპიონი ბულგარეთის საუკეთესო გუნდს, სოფიის "ლევსკის" დაუპირისპირდება. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ამ წყვილში "სიონი" გამოკვეთილი აუტსაიდერია. მაგრამ თუ მოხდა სასწაული და "სიონმა" "ლევსკის" ბარიერიც დაძლია, ეს მეორე ეტაპის უმთავრესი სენსაცია იქნება.

## ლამი "ბაიერნის" ერთგული რჩება

ფილიპ ლამი განვლილი მუნდიალის ერთ-ერთ აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. გუშინ ცნობილმა გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" მცველის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

**- ჰერ ლამ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუ განვლილი მუნდიალის საუკეთესო მარცხენა მცველს გიწოდებთ?**

- არც კი ვიცი. მე ჩემი სამუშაო კარგად შევასრულე და კმაყოფილი ვარ. დანარჩენზე მწვრთნელებმა, გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა იმსჯელონ.

**- არ გეშინიათ, ასეთი მინიატიურული ფეხბურთელი ორმეტრიან გიგანტებს რომ ეტაკებით ხოლმე?**

- ასე მასწავლეს ფეხბურთის თამაში და რა ვქნა. მგონი ურიგოდ არ უნდა გამომდიოდეს. თანაც, ჩემნაირ პატარა ფეხბურთელებს რაღაც უპირატესობები აქვთ.

**- მაინც რა?**

- პატარები უფრო სწრაფები და მოქნილები ვართ.

**- თამაშისას თვალშისაცემია, რომ თქვენ ხშირად ბურთი მარცხენიდან მარჯვენა ფეხზე გადაგაქვთ, რათა საჯარიმოში ჩააწოდოთ...**

- ასე ვთამაშობ. როცა ბურთი გადამაქვს, მეტოქე იბნევა და ზუსტად ჩაწოდება უფრო ადვილია.

**- თუ მარცხენა ფეხით გიჭირთ თამაში და ამას თავის გასამართლებლად ამბობთ?**

- არა. უბრალოდ, თუ მარცხენა ფეხით ჩავაწვდი, მეტოქე გადაცემის ბლოკირებას შეძლებს.

**- მინდორზე გატარებული 110 წუთის შემდეგაც ისე გამოიყურებით, თიქოს ფეხბურთი ყველაზე იოლი სამუშაოა მსოფლიოში.**

- სწორედაც რომ ასეა. თუ თამაშით სიამოვნებას არ იღებ, რა აზრი აქვს მინდორზე გასვლას.

**- იტალიელებთან მატჩში ერთხელ გულიანად გადაიხარხარეთ. რა მოხდა?**

- მახსოვს. კარში დავარტყი და ისე ცუდად გამომივიდა, რომ თავადაც გამეცინა.

**- მიუხედავად ამისა, მუნდიალზე იმდენად კარგად ითამაშეთ, რომ თქვენი შეძენა "ჩელსის" და მადრიდის "რეალს" უნდათ.**

- ამ ეტაპზე ეს აქტუალური არ არის.

**- დედათქვენმა თქვა, რომ ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა ითამაშოთ უცხოეთში...**

- უცხოეთში წასვლაზე მიფიქრია და წავიდოდი კიდეც, მაგრამ "ბაიერნში" თავს მშვენივრად ვგრძნობ. თანაც, გერმანიაში ჩემი ოჯახი და ახლობლები ცხოვრობენ. კლუბთან რაიმე პრობლემები რომ მქონდეს, შეიძლებოდა ტრანსფერზე მეფიქრა, მაგრამ ახლა "ბაიერნიდან" ჩემი წასვლა გამორიცხულია.

**- სად ითამაშებთ მომავალ სეზონში?**

- ამდენი ტყუილად ვილაპარაკე? რა თქმა უნდა, "ბაიერნში".

**- ასი პროცენტით ხართ დარწმუნებული?**

- დიახ.

**- "რეალის" ახალ მწვრთნელს ლამის ყიდვა რომ მოუნდეს?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

**- გამოდის, არ გამორიცხავთ, რომ კარგი შემოთავაზების შემთხვევაში "რეალში" გადახვალთ.**

- ხომ გითხარით, მე "ბაიერნის" ფეხბურთელი ვარ და გუნდის დატოვებას არ ვაპირებ.

**- ბოლო დღეები საოცარი იყო - სასტუმროს წინ ათასობით ლამაზმანი იდგა და თქვენს სახელს გაჰყვიროდა. თინეიჯერების ახალი კერპი ხართ...**

- არ ვიცი, როგორ გრძნობს თავს პოპ-ვარსკვლავი, მაგრამ მართალი არ ვიქნები, თუ გეტყვით, რომ ეს ყურადღება არ მსიამოვნებს.

**- რა იფიქრეთ, როდესაც იტალიელებმა გოლი გაიტანეს?**

- ძნელია სიტყვებით ამის გადმოცემა. ეს შოკი იყო. მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, კიდევ ორი წუთი გვაქვს და ყველაფერი უნდა გამოვასწოროთ-მეთქი.

**- გაიფიქრეთ და ანგარიში უკვე 2:0 გახდა...**

- და მივხვდი, რომ ყველაფერი დასრულდა.

## "იუვე" ტრეზეგეს შენარჩუნებას ლამობს

ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. კლუბს თითქმის ყველა ძლიერი ფეხბურთელი ტოვებს. ამ ეტაპზე ტურინელები დავიდ ტრეზეგეს შენარჩუნებას ცდილობენ, რომელსაც ფრანგულ "ლიონში" უნდა გადსვლა. საფრანგეთის ბოლო ხუთი ჩემპიონატის გამარჯვებული ფეხბურთელში 11 მილიონ ევროს იხდის. თუ ტრეზეგემ ტურინულ კლუბს არ უღალატა, მას იტალიური გრანდი ხელფასის სახით 4,5 მილიონ ევროს გადაუხდის.

## კუიტს "ლივერპული" ყიდულობს

ორშაბათს ჰოლანდიურმა "ფეიენოორდმა" წინასასეზონო მზადება დაიწყო, მაგრამ გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს დირკ კუიტი, რომელიც ამ ზაფხულს კლუბის შეცვლას გეგმავს. "ფეიენოორდის" ხელმძღვანელებმა ფეხბურთელს ერთკვირიანი ვადა მისცეს, რათა საბოლოოდ გაერკვეს თავის მომავალში. კუიტს "ლივერუპლში" გადასვლის შანსი აქვს. მერსისაიდელებს უნდოდათ ჰოლანდიელი ფორვარდის ყიდვა, მაგრამ როტერდამელებმა კუიტში 20 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც "ლივერპულს" ეძვირა. ახლა კი გაირკვა, რომ კონტრაქტში, რომელიც კუიტს "ფეიენოორდთან" აკავშირებს, არსებობს პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ფეხბურთელის პოტენციური მყიდველი 15 მილიონ ევროს გადაიხდის, "ფეიენოორდს" კუიტის დაკავების უფლება აღარ აქვს. ახლა ჯერი "ლივერპულზეა". საინტერესოა, იძვრიებს თუ არა მერსისაიდული გუნდი 15 მილიონ ევროს დირკ კუიტში.

## დადო პრშო ნაკრებიდან წავიდა

"გლაზგო რეინჯერსის" ხორვატმა ფორვარდმა დადო პრშომ სანაკრებო კარიერა დაასრულა. 31 წლის ფეხბურთელმა თავისი გადაწყვეტილება მუხლის ქრონიკული ტრავმით ახსნა. ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა გუშინ განუცხადა როიტერის ჟურნალისტს, რომ მას პრშომ დაურკა და უთხრა, რომ ნაკრებში ვეღარ ითამაშებს.

## მატერაცის მსგავსები არ უნდა არსებობდნენ

საფრანგეთის ნაკრების ვეტერანმა მცველმა ლილიან ტურამმა მკაცრად გააკრიტიკა იტალიის ნაკრების ფეხბურთელი მარკო მატერაცი.

"სასჯელს მხოლოდ ის იმსახურებს, ვინც დანაშაულის პროვოცირებას ახდენს. ისეთი ფეხბურთელები, როგორიც მატერაცია, საერთოდ არ უნდა არსებობდნენ. სამწუხაროდ, ზიზუ მის მახეში გაება. მე ზიდანის მესმის და არ ვამტყუნებ. საქმე ხომ მის ახლობლებს ეხებოდა", - ამობს ტურამი.

# შედეგი ხუთიანია

### საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მოსკოვს იხსენებს

ბიბა ბურასაშვილი

*საქართველოში შვიდკაცა რაგბის ნაკრები იკვეთება. არა, ნაკრები აქამდეც გვყავდა, მაგრამ 15-კაცას ბაზაზე შექმნილი და ისიც დროებით, ამა თუ ტურნირისთვის საგანგებოდ ჩამოყალიბებული. მეორე დღეა, რაც საქართველოს ნაკრები მოსკოვის შვიდკაცა ევროპის თასის ფინალიდან დაბრუნდა. დაბრუნდა მეხუთე ადგილით. გუშინ ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი კახა ალანია და შეჯიბრების საუკეთესო ქართველი მელელოე რეზო გიგაური "24 საათს" სტუმრობდნენ.*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*გიგაური და ალანია ევროპის თასით კმაყოფილები არიან.*

მოსკოვის შვიდკაცაზე ევროპის რჩეულ გუნდებს შორის საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა. მართალია, რუსულ მინდვრებზე ბრიტანულ გუნდებს არ უთამაშიათ, მაგრამ მთლიანობაში სანახაობრიობა მაინც სანაქებო გამომდგარა. კახა ალანიასა და მამუკა ტყეშელაშვილის ახალგაზრდა მორაგბეებით (ირაკლი გუნდიშვილი, კახი ახვლედიანი, რეზო გიგაური, ზვიად კობერიძე, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი, ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა; გუნდის მენეჯერი ვასილ აბაშიძე, ექიმი აბესალომ აბრამიშვილი) დაკომპლექტებულმა გუნდმა დებიუტის კვალობაზე წარმატებით იასპარეზა. დებიუტი შემთხვევით არ გვიხსენებია. გარდა იმისა, რომ მოთამაშეთა უმრავლესობამ პირველად ითამაშა შვიდკაცა, მათ მწვრთნელთა ახალი შემადგენლობაც ედგა სათავეში.

ქართველთა შვიდეულმა ევროპის თასზე თამაში A ჯგუფში საფრანგეთის, ლიტვის, იტალიის, მოლდოვისა და უკრაინის წინააღმდეგ თამაშებით დაიწყო. A ჯგუფის პარალელურად პირველი ორი ადგილისთვის ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას B ჯგუფის ბინადარი რუმინეთი, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, ანდორა და ხორვატია.

ჯგუფური ეტაპის დასაწყისში საქართველოს ნაკრებს საფრანგეთთან მოუხდა თამაში. კახა ალანიას თქმით, ფრანგებს ჩვენი შეხვედრა წინასწარ ფინალად ჩაუთვლიათ. ვადამდელი ფინალი კი იმით იყო ცუდი, რომ დავმარცხდით: "ფრანგებთან წაგებაზე იმდენად არ მწყდება გული, რამდენადაც ჯგუფის მეორე მატჩზე იტალიელებთან. იტალიელთა შვიდკაცა არ არის იმ დონის გუნდი, რომ ვერ დავამარცხოთ. ჩვენს მერე ყველა შეხვედრაში გაუჭირდათ. ჩვენი წაგების მიზეზი უფრო ეიფორიის ბრალია. ბიჭებმა ასეთი შემადგენლობით პირველად ითამაშეს, ნერვიულობდნენ. მერე კი გავიხსენით და ზედიზედ ხუთი მატჩი მოვიგეთ".

იტალიელთა ჩათვლის მოედანზე ერთი ლელოს დამიწებაც საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, მაგრამ, როგორც ნაკრების მწვრთნელისგან შევიტყვეთ, იტალიელები დროის გაყვანაზე და თამაშის ჩაშლაზე გადასულან. ერთი სიტყვით, ჯგუფის მეორე შეხვედრა 7:12 წავაგეთ.

"თავიდან იმდენად გაგვიჭირდა, რომ ვიფიქრე, შვიდკაცა არაა ჩემი საქმე-მეთქი, - მოსკოვურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ევროპის თასის საუკეთესო მელელოე რეზო გიგაური, - ალღო ვერ ავუღე. შვიდკაცაში პირველად ვთამაშობდი და მიზეზიც ეს იყო. დანარჩენ მატჩებში კი დიდი სიამოვნება მივიღე".

ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში იოლად მოუგო უკრაინას - 24:7, მოლდოვას - 29:14, ლიტვას - 43:0.

"ორი წაგების მერე ბიჭები ძალიან გაბრაზდნენ. ლიტვასთან მატჩის წინ ამბობდნენ, ამათ შევჭამთო. არადა, მანამდე ლიტველებთან სამჯერ დავმარცხდით. მათი მწვრთნელიც ცხვირაწეული დადიოდა, საქართველოს გადავუვლითო. მაგრამ პირიქით მოხდა - ლიტვა ჩვენს ჩასათვლელ ხაზს არ გავაკარეთ", - იხსენებს კახა ალანია.

მომდევნო თამაშები B ჯგუფელებთან - ესპანეთთან და რუმინეთთან გვქონდა. პირველს სინის ნახევარფინალური დატვირთვა ჰქონდა, მეორეს - სინის ფინალისა. ორივე მატჩი მოვიგეთ.

ერთი სიტყვით, ევროპის თასის ფინალში მეხუთე ადგილი დავიკავეთ. პირველზე პორტუგალიელები გავიდნენ, მეორეზე - რუსები, მესამეზე - იტალიელები, მეოთხეზე - ფრანგები.

დაბოლოს, შთაბეჭდილებებიდან: კახა ალანია და რეზო გიგაური კმაყოფილი იყვნენ რუსების მასპინძლობითა და ყურადღებით. "გვეუბნებოდნენ კიდეც, პოლიტიკოსები გვიფუჭებენ ურთიერთობას, თორემ ისევ ძველებურად გცემთ პატივსო".

შეჯიბრების შემდეგ, ტრადიციულ მესამე ტაიმზე, რუსები მონაწილე გუნდებს ფრანგული ღვინოებით გამასპინძლებიან. ეს ისე, ცნობისთვის.

# ტრიუმფის შემდეგ ტრიუმფატორის გარეშე

მარი ჭავახიშვილი



*კლინსმანი წავიდა, ლიოვი დარჩა.*

ოთხი კვირის განმავლობაში მილიონობით გერმანელი საფეხბურთო დღესასწაულით ცხოვრობდა. იყო საყოველთაო ზეიმი, სიმღერა, ერთსულოვნება, ჯიგრიანი ქომაგობა, გამარჯვების სიხარულით გამოწვეული ცრემლები...

სამწუხაროდ, კარგსაც და ცუდსაც დასასრული აქვს. გერმანელთა ზღაპრული საკარნავალო თვე მიიწურა. ახლა კი რა? გერმანია ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდა. ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია - ამიერიდან ალემანთა ყოველდღიურობა კიდევ უფრო ფერადი გახდება და ეს იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს გერმანია გარდაიქმნა.

ნათქვამია: რაც უფრო მაღლა ახვალ, დაშვება მით უფრო გაგიჭირდებაო. ერთთვიანი ეიფორიის შემდეგ ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება იოლი არ არის. იმის საშიშროებაც არსებობს, რომ მასობრივი ეიფორია მასობრივმა დეპრესიამ შეცვალოს.

ისტორიას ამის რამდენიმე მაგალითი ახსოვს. ყველაზე უახლოესი კი 2000 წელს მოხდა, როცა ავსტრალია სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდა. ტურნირის დასრულების შემდეგ ფსიქოლოგებმა ავსტრალიელთა მდგომარეობას "კოლექტიური მელანქოლია" უწოდეს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, გერმანიას ავსტრალიის ბედი არ ემუქრება. თუმცა, "მხურვალე თაფლობის თვის" შემდეგ ოპტიმისტ ალემანებს ერთი უსიამო ინციდენტი მაინც შეემთხვათ. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე თვითმკვლელობა სცადა მუნდიალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ფიფას ოფიციალურმა წარმომადგენელმა 65 წლის იურგენ კისლინგმა. რამ აიძულა გერმანელი ჩინოვნიკი "ვალტერის" სასხლეტისთვის ხელი გამოეკრა, ჯერჯერობით საიდუმლოებითაა მოცული. ბერლინელი ექიმები ოთხი დღის განმავლობაში იბრძოდნენ კისლინგის სიცოცხლის გადასარჩენად, თუმცა ამაოდ...

ცხადია, ამ ამბავმა მეხივით გადაურბინა მთელ გერმანიას, მაგრამ კლინსმანის მიერ გაღვივებული ოპტიმიზმი და გამარჯვებისკენ სწრაფვა ალემანებს პესიმიზმის უფლებას არ აძლევთ. ყველაფრის მიუხედავად, მათ სწამთ, რომ ბუნდესნაკრები მომავალშიც არაერთხელ გაახარებს თავის გულშემატკივარს. ოღონდ, ამჯერად ამ დიადი გამარჯვების სულისჩამდგმელის გარეშე.

დაუჯერებელია, მაგრამ 9 ივლისის მერე სრულიად მსოფლიოსთვის აქტუალური შეკითხვა: "რატომ დაარტყა ზიდანმა მატერაცის", გერმანიაში, პლანეტის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ნაკლებად აღელვებთ. იმიტომ კი არა, რომ არ აინტერესებთ. უბრალოდ, მუნდიალის მასპინძელ ქვეყანაში ეს თემა სხვა, უფრო მნიშვნელოვანმა საკითხმა დაჩრდილა: დარჩება თუ წავა იურგენ კლინსმანი?

ახლა უკვე მიჭირს გავიხსენო, კონკრეტულად როდის გარდაისახა ყბადაღებული იურგენ კლინსმანი ეროვნულ გმირად. პრინციპში, ამას დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს. მთავარი ის არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მასზე უფრო პოპულარული და ხალხისთვის უფრო საყვარელი ფიგურა გერმანიაში არ მოიძებნებოდა. კლინსის მარტო რიგითი ქომაგები კი არა, ქვეყნის პირველი პირებიც უტყდებოდნენ სიყვარულში.

პირველი კი, ვინც ეს საჯაროდ გააკეთა, გერმანიის კანცლერი, ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი ანხელა მერკელი გამოდგა.

- მიზანდასახულობა და პრინციპულობა ფეხბურთშიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პოლიტიკაში, - განაცხადა მერკელმა ბუნდესნაკრების პოლონეთთან შეხვედრის შემდეგ, - იურგენ კლინსმანის ბუნდესნაკრებში გაწეული შრომა გერმანელ ხალხს მომავლის მშვიდად ყურების საშუალებას აძლევს.

კიდევ უფრო სიტყვაუხვი იყო პრემიერ-მინისტრი კრისტიან ვულფი, რომლის თქმითაც, ქვეყანას რაც შეიძლება ბევრი კლინსმანი უნდა ჰყავდეს, რათა ალემანთა წარმატებული სვლა მარტო ფეხბურთით არ შემოიფარგლოს.

პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, კლინსმანის მისამართით სხვაგვარ განცხადებებს აკეთებდნენ გულშემატკივრები, რომლებიც მუხლმოდრეკილი ლოცულობდნენ მისთვის და დაჩოქილი ევედრებოდნენ:

- დარჩი, კლინსი, არ წახვიდე...

მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს. ბუნებრივია, წერილის თემა კლინსმანის დარჩენა იყო. არაოფიციალური მონაცემებით, ამ თხოვნას 12 მილიონმა ადამიანმა (მათ შორის არაგერმანელებმაც) მოაწერა ხელი. მაგრამ ხალხის ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისად - კლინსი წავიდა.

ახალგაზრდა მწვრთნელის წასვლა მანამდეც გადაწყვეტილი ამბავი იყო. ჩემი აზრით, საუბარი იმაზე, რომ კლინსმანს მოსაფიქრებელი დრო სჭირდება, რომ ოჯახს უნდა შეუთანხმდეს, მხოლოდ ფუჭი სიტყვები იყო და მეტი არაფერი.

მაინც რატომ წავიდა კლინსმანი? იმიტომ, რომ დაიღალა? - ალბათ, დაიღალა კიდეც - მის ადგილზე ნებისმიერი ადამიანი დაიღლებოდა, ვისაც მსგავსი პრესის ქვეშ მოუწევდა მუშაობა. იქნებ იმიტომ წავიდა, რომ ოჯახი მოენატრა? - აბა წარმოიდგინეთ, როგორი ამბავია ორი წლის განმავლობაში კალიფორნიასა და გერმანიას შორის წინ და უკან სიარული? კლინსმანს, ალბათ, ისიც არ დავიწყებია, როგორ აკრიტიკებდნენ ისინი, ვინც მერე მქუხარე ტაშს უკრავდა. იქნებ იმიტომ წავიდა, რომ ლამაზად უნდოდა წასულიყო? - დარწმუნებული ვარ, არც უმაგისობაა. ჩემი აზრით, საქმე უფრო მარტივადაა - კლინსმანი დარჩენას არ აპირებდა, ამიტომაც ადგა და წავიდა. და ეს ამბავი, მგონია, ორი წლის წინ გადაწყდა.

ამერიკაში დაბრუნებულმა გერმანიას თავისი თანამოაზრეები იოაჰიმ ლიოვი და ოლივერ ბირჰოფი დაუტოვა.

- ლიოვი ჩემთვის მარტო ასისტენტი კი არა, სრულფასოვანი თანაშემწეა. მე უფრო კოორდინატორის როლში ვარ, მწვრთნელის ფუნქციებს კი, ფაქტობრივად, იოაჰიმი ასრულებს, - ასე დაახასიათა ბუნდესნაკრების მწვრთნელის რანგში გამართულ ბოლო პრესკონფერენციაზე იურგენ კლინსმანმა თავისი მარჯვენა ხელი.

ჩანს, გერმანული ფეხბურთის საბჭომ ტრიუმფატორი ბუნდესთავკაცის რჩევა ყურად იღო. მიუხედავად იმისა, რომ კლინსმანის შემცვლელებად სახელდებოდნენ ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც არიან მათიას ზამერი, კრისტოფ დაუმი და ოტმარ ჰიტცფელდი, ბუნდესნაკრების გაწვრთნა მაინც კლინსმანის ნაქებ იოაჰიმ ლიოვს მიანდეს.

- ამ პოსტზე ლიოვის დანიშვნა გონივრული და ლოგიკური გადაწყვეტილებაა. ნაკრების ძირითადი ბირთვი საბოლოოდ ჩამოყალიბებულია, ფეხბურთელები ბრწყინვალედ გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე და მომდევნო წარმატებისთვის კარგად მომწიფებულნი არიან. ბუნდესნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს. ასი კი არა, ორასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ლიოვი ამ პოტენციალის რეალიზებას შეძლებს.

ასე რომ, გერმანელ ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: მათ საყვარელ ბუნდესგუნდს ნგრევის საშიშროება არ ემუქრება. ერთადერთი სხვაობა ის იქნება, რომ ევრო 2008-ისკენ ნაკრებს ემოციური კლინსმანის ნაცვლად უკომპრომისო ლიოვი გაუძღვება.

რამდენად დიდი იქნება ეს სხვაობა, ამას უახლოეს ორ წელიწადში გავიგებთ. ერთი კია: ბუნდესნაკრების უბრალო გუნდიდან ტრიუმფატორად გარდასახვამ გერმანელებს პროგნოზებისგან თავის შეკავება ასწავლა.

GFF

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: ..............................

გვარი: ..............................

დაბადების თარიღი: ..............................

ტელეფონი: ..............................

ელ-ფოსტა: ..............................

სარბიელი

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სპორტი

11x11

24 საათი

# აბრამოვიჩი ახალი რეკორდისთვის ემზადება

მარი ჯავახიშვილი

ბრიტანული პრესა, კერძოდ, გამოცემა "სანი" მორიგ სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს - "ჩელსის" მფლობელი რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი მზად არის ბრაზილიის ნაკრებისა და "მილანის" ნახევარმცველის კაკას სანაცვლოდ 70 მილიონი ევრო(!) (დაახლოებით 128 მილიონი დოლარი) გადაიხადოს.

თავის მხრივ, "მილანი" ფეხბურთელის გაყიდვის წინააღმდეგია და ამბობს, რომ გუნდიდან შევჩენკოს წასვლის შემდეგ აღარავის შეელევა.

იტალიაში ატეხილი საფეხბურთო სკანდალის შემდეგ სერია ა-ს წამყვან კლუბებს რომ კარგი დღე არ დაადგათ, ეს უკვე ცნობილი ამბავია. "იუვენტუსს", "ლაციოსა" და "ფიორენტინას" სერია ბ-ში დაქვეითება მიესაჯათ. "მილანი" კი დარჩა სერია ა-ში, მაგრამ ვაი ამ დარჩენას - პროკურორის გადაწყვეტილებით, 15 ქულა ავტომატურად ჩამოეჭრა. ესეც არ აკმარეს "როსონერის" და ჩემპიონთა ლიგაში თამაში აუკრძალეს.

მომხდარმა თავდაყირა დააყენა არა მარტო იტალიური, არამედ საერთაშორისო ფეხბურთიც. დასჯილი გუნდებიდან წამყვანი მოთამაშეები სხვა ევროპულ კლუბებში გარბიან. მათ კი, ვინც ჯერ არსად წასულა, ისეთი "ფულიანი ბიძიები" ეპატიჟებიან, როგორიც გახლავთ რომან აბრამოვიჩი. ეს უკანასკნელი კაკას ოსტატობით მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილია-ავსტრალიის მატჩზე ყოფნისას მოიხიბლა.

როგორც უკვე გითხარით, ბრიტანული "სანის" ცნობით, რუსი ოლიგარქი კაკას სანაცვლოდ იტალიურ გრანდს, არც მეტი, არც ნაკლები, 70 მილიონ ევროს სთავაზობს. მართალია, არც "მილანს" ჰყავს ნაკლებად ოლიგარქი მფლობელი, მაგრამ თავად ფაქტი, რომ აბრამოვიჩი სილვიო ბერლუსკონის იმაზე ორჯერ მეტს სთავაზობს, ვიდრე მადრიდის "რეალი", ნამდვილად დასაფიქრებელია. თუ "ჩელსის" მეპატრონემ შეძლო და იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაიყოლია, მაშინ ეს ტრანსფერი ფეხბურთის ისტორიაში რეკორდული გახდება.



აბრამოვიჩი კაკაზე ფიქრობს.

რაც შეეხება "სამეფო გუნდს", კაპელოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" მისვლის შემდეგ მადრიდელებმა "ჩელსის" კიდევ ერთი სამიზნე - "იუვენტუსისა" და მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მცველი ფაბიო კანავარო ფაქტობრივად უკვე გადაიბირეს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ აბრამოვიჩი კაკას დათმობას აღარ აპირებს და თანახმაა, მასში რეკორდული თანხაც კი გადაიხადოს, ოღონდ "რეალს" ბრაზილიელი არ დაუთმოს.

"არც ერთი ფეხბურთელი არ დატოვებს "სან სიროს". გუნდი ანდრეი შევჩენკომ დატოვა, მაგრამ მის გზას სხვა მოთამაშეები არ გაჰყვებიან. კლუბის ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "მილანის" თითოეული ფეხბურთელის კონტრაქტი ბოლომდე იქნება დაცული", - კატეგორიულია "როსონერი".

"შავ-წითელთა" დატოვებას, ერთი შეხედვით, არც კაკა აპირებს. "იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ და სიამოვნებით დავრჩები "მილანში" კონტრაქტის ბოლომდე - 2011 წლამდე", - ეს განცხადება კაკამ მადრიდულ "ას"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მანამდე გააკეთა, სანამ აბრამოვიჩის ფიქრები გაცხადდებოდა.

# ბექჰემის "ოქროს ფეხი"

28 აგვისტოს გაირკვევა "Golden Foot"-ის ანუ "ოქროს ფეხის" მფლობელის ვინაობა. დაჯილდოების რიგით მეოთხე ცერემონია მონტე-კარლოში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ "Golden Foot"-ის ჩატარების იდეა კომპანია "*World Champions Club*"-ს *(WCC)* ეკუთვნის, რომლის არსიც მონტე-კარლოში საფეხბურთო ვარსკვლავების თავმოყრა იყო. ჟიური, რომელიც *WCC*-ის მედია-პარტნიორებითაა დაკომპლექტებული, ყოველწლიურად 29 წელს გადაცილებულ ათ ისეთ ფეხბურთელს ირჩევს, რომელთაც კარიერაში მიღწეული წარმატებით მონაკოს სანაპიროზე ნაკვალევის დატოვება დაიმსახურეს.

წლევანდელ ათეულში მოხვდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ბრაზილიელები რონალდო და კაფუ, გერმანელი მიხაელ ბალაკი, ფრანგი ზინედინ ზიდანი, იტალიელები ალესანდრო დელ პიერო და პაოლო მალდინი, პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ, ესპანელი რაული, არგენტინელი ერნან კრესპო და ინგლისელი დევიდ ბექჰემი. დღევანდელ წერილში სწორედ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით.

ბექჰემთან დაკავშირებით მსოფლიოს განვლილი ჩემპიონატიდან ორი ეპიზოდია გასახსენებელი. პირველი - ინგლისი-პორტუგალიის მეოთხედფინალური მატჩის 62-ე წუთზე ბექჰემის გამომეტყველება, როცა არგენტინელმა ჰორაციო ელისონდომ მოედნიდან უეინ რუნი გააძევა. ინგლისელთა კაპიტნის სახეზე მწუხარება აღბეჭდილიყო. იმ წუთებში რუნის გაგება ბექჰემზე უკეთ არავის შეეძლო. 1998 წლის ჩემპიონატზე არგენტინელებთან შეხვედრისას რუნის ბედი ხომ თავადაც გაიზიარა.

მეორე ეპიზოდი პირველამდე ექვსი დღით ადრე, შტუტგარტში მოხდა: ეკვადორთან მატჩის 87-ე წუთზე მოედნიდან გაყვანილი დევიდ ბექჰემი ცუდად გახდა. თუმცა, მანამდე ეკვადორელთა კარში იმ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. თამაშის შემდეგ კრიტიკის მოყვარულნი ხუმრობდნენ კიდეც, ინგლისელთა უსახური გამოსვლის შემხედვარე ბექჰემსაც კი გული ერევაო...

ერთი სიტყვით, სვენ-გორან ერიქსონის გუნდის გერმანული ეპოპეა ნაცნობი სცენარით წარიმართა - ბოლო 16 წლის განმავლობაში მეხუთედ ინგლისელები პენალტების სერიის შედეგად გამოეთიშნენ გათამაშებას და ფინალამდე კარგა ხნით ადრე დაბრუნდნენ სამშობლოში. მაგრამ ბოლო ათი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ აწ უკვე ექს-კაპიტანი სამშობლოში ყველაზე ნაკლებად გააკრიტიკეს. ინგლისელთა შინ ნაადრევად დაბრუნებაში ბექჰემს მართლაც ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი.

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველის მხარესაა სტატისტიკაც: 2006 წლის მუნდიალზე, ისე როგორც უკანასკნელ ევროპულ და მსოფლიო ტურნირებზე, ინგლისის ნაკრების მიერ გამართულ ხუთივე მატჩში "სამ ლომს" ყველაზე მეტი სარგებელი სწორედ დევიდ ბექჰემმა მოუტანა.

პარადოქსია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდეც და მიმდინარეობისასაც, ერთადერთი, ვისგანაც ბექჰემს ყველაზე მეტი "მოხვდა", ნაკრების ყოფილი თავკაცი სვენ-გორან ერიქსონი გახლდათ. შვედი სპეციალისტი ბექზს სათადარიგოთა სკამზე დატოვებითაც დაემუქრა, თუ ის "ბოლოს და ბოლოს, ისე არ ითამაშებდა, როგორც საჭირო იყო". ერიქსონის მუქარამ ბექჰემზე აშკარად გაჭრა.



თუმცა, არც სათადარიგოთა სკამი ასცდა - პორტუგალიელებთან პრინციპული მატჩის 50-ე წუთზე ინგლისელთა კაპიტანმა იძულებით დატოვა მოედანი. მეორე დღეს ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად კი ექიმების ვერდიქტი ასეთი იყო: ფეხბურთელს ნახევარწლიანი მკურნალობა ესაჭიროება.

იმავე დღეს მოულოდნელი განცხადება გააკეთა თავად ბექჰემმაც:

- კაპიტნის სამკლაურზე უარს ვაცხადებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ნაკრების ღირსებას აღარ დავიცავ. თუ გუნდის ახალ თავკაცს სტივენ მაკლარენს დავჭირდები, მზად ვარ ვითამაშო.

იმავე პრესკონფერენციაზე ტრავმირებული ნახევარმცველი გამოტყდა, რომ ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით პიტერ შილტონის რეკორდის დამხობას აპირებს. ამ უკანასკნელს ქვეყნის პირველ გუნდში 125 შეხვედრა აქვს გამართული. ბექჰემის ანგარიშზე 94 თამაშია. თუ ბექჰემი მართლაც აპირებს შილტონისთვის გადასწრებას, მაშინ ნაკრებში, სულ მცირე, 2010 წლის მსოფლიო პირველობამდე უნდა დარჩეს.

# "მანჩესტერი" ფულს ეძებს

ბრიტანეთის უმდიდრესი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" "ოლდ ტრაფორდზე" გაყიდული ბილეთებით მიღებული შემოსავლის გირაოდ ჩადებით გიგანტური კრედიტის აღებას გეგმავს. ამერიკელი ბიზნესმენი მალკოლმ გლეიზერი, რომელიც კლუბის აქციების 75%-ის მფლობელია, მოლაპარაკებას მართავს შოტლანდიის სამეფო ბანკთან (RBS) 500 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტის ასაღებად, რომლითაც ამერიკელი მილიარდერი იმ დავალიანების დაფარვას აპირებს, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვის შემდეგ გაუჩნდა.

ამბობენ, რომ შოტლანდიური ბანკი RBS ამუშავებს გეგმას უახლოესი 25 წლის განმავლობაში "მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩებიდან შემოსული ყველა შემოსავლის სეკიურიტიზაციაზე. სულ ცოტა ხნის წინ ამავე ბანკმა ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმა ლონდონის "არსენალთან".

RBS-დან აღებული ფულით გლეიზერი დაფარავს 540-მილიონიან ვალს, რომლის მომსახურებაც უფრო ძვირი ჯვირი ჯდება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე "მანჩესტერ იუნაიტედის" შესაძენად გლეიზერმა 800 000-მილიონიანი ვალი აიღო.

ექსპერტების აზრით, "ოლდ ტრაფორდის" ტევადობის გაზრდის ხარჯზე "მანჩესტერი" ამ სეზონში თითოეულ მატჩზე 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს იშოვის. ცხადია, სეკიურიტიზაცია გაითვალისწინებს არა მხოლოდ ბილეთების გაყიდვით შემოსულ შემოსავლებს, არამედ სტადიონზე სასმელებისა და საკვების ვაჭრობით მიღებულ ფულსაც.

გლეიზერთან დაახლოებულმა ფინანსისტმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: "სეკიურიტიზაციის პროექტს გლეიზერი დაწვრილებით განიხილავს, თუმცა, კლუბს სრულიად აკმაყოფილებს არსებული ფინანსური სტრუქტურა, რომლის წყალობითაც "მანჩესტერი" მსოფლიოს უმდიდრეს გუნდად იქცა, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი დეტალი: არსებული ვალების გამო სოლიდური პროცენტების გადახდაა საჭირო და სეკიურიტიზაციის გეგმამ ამ მხრივ, შესაძლოა, გუნდს საგრძნობლად შეუმსუბუქოს ფინანსური ვითარება".

ცნობილია, რომ RBS-სთან ერთად კლუბის ვალების რესტრუქტურიზაციაზე ამერიკის საინვესტიციო ბანკი JP Morgan-იც მუშაობს.

კლუბის პრესსამსახური აცხადებს, რომ გლეიზერის ახალ ფინანსურ პროექტში საშიში არაფერია: "ის, რომ კლუბის ახალი მფლობელი აპირებს ვალის რესტრუქტურიზაციას, აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა".

ამჟამად მალკოლმ გლეიზერს ამერიკული ჰეჯ-ფონდების ვალი აქვს (275 მილიონი გირვანქა სტერლინგი). საპროცენტო განაკვეთი კი 20%-ზე მეტია. თუ გლეიზერმა ეს ვალი უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში არ გაისტუმრა, მისი აქციები ჰეჯ-ფონდებს გადაეცემა. ამავე დროს "მანჩესტერს" ბანკ JP Morgan-ის 265 მილიონი გირვანქა სტერლინგი მართებს. ეს თანხა გლეიზერმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელების გირაოში ჩადებით აიღო. მაგალითად, დაგირავებულია უეინ რუნი, ასე რომ, რუნის ტრანსფერი JP Morgan-ს ეკუთვნის.



დაგირავებული ვარსკვლავები

თითქმის ცხადია, რომ "მანჩესტერი" სეკიურიტიზაციის გარიგებაზე დათანხმდება და თავისი მოსისხლე მტრის "არსენალის" მაგალითს მიბაძავს. ლონდონურმა კლუბმა ბანკ RBS-სგან 260 მილიონი გივრანქა სტერლინგი მიიღო სულ რაღაც 5,28% პროცენტით.

რაც შეეხება "მანჩესტერს", ანალიტიკოსების აზრით, მანკუნიანური კლუბი ასეთი დაბალი პროცენტით გარიგებას ვერ გააფორმებს, თუ წინასწარ არ გაისტუმრა ძველი კრედიტები.

არსებობს იმის რისკი, რომ "მანჩესტერი" "ლიდსის" ბედს გაიზიარებს. ეს კლუბი ბევრ ვალს იღებდა მომავალი შემოსავლებისა და ფეხბურთელების გირაოში ჩადებით, მაგრამ გუნდმა ვალები ვერ გაისტუმრა, რის გამოც წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა დასჭირდა და გუნდის ყველა წარმატება ისტორიას ჩაბარდა.

მალკოლმ გლეიზერს კი მიაჩნია, რომ ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი კლუბი შეძლებს ერთდროულად ვალების გასტუმრებას და ფულის ჩადებას ახალი ფეხბურთელების შესაძენად, რათა კლუბმა სპორტული წარმატებები შეინარჩუნოს, რაც, ფაქტობრივად, გარანტირებულ ფინანსურ მოგებასაც ნიშნავს.

## რივალდოს ბოლო სეზონი

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რივალდომ, რომელიც ახლა ბერძნულ "პანათინაიკოსში" თამაშობს, განაცხადა, რომ მომავალი სეზონი უკანასკნელი იქნება მის საფეხბურთო კარიერაში.

"იმედია, მომავალი სეზონი წარმატებული მექნება. მინდა ეს ერთი წელი საბერძნეთში გავატარო, შემდეგ კი ბრაზილიაში დავბრუნდები და ფეხბურთისგან დავისვენებ", - თქვა რივალდომ.

## გრემ პოლი დაბრუნდა

მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სამსაჯო სკანდალი უკავშირდება ბრიტანელ არბიტრს გრემ პოლს, რომელმაც ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი იოსიპ შიმუნიჩი მხოლოდ მას შემდეგ გააძევა მინდვრიდან, რაც სამჯერ აჩვენა ყვითელი ბარათი. მაშინ პოლი მკაცრად გააკრიტიკეს. ბრიტანელმა არბიტრმა განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერას ამთავრებს.

თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ასეთი არაფერი მომხდარა, პოლი ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩს იმასჯებს სერბეთისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

## გატუზო უარყოფს

ამ რამდენიმე დღის წინ იტალიურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მარჩელო ლიპის წასვლის შემდეგ "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის დანიშვნაში გადამწყვეტი სიტყვა

თქვეს ნაკრების გამოცდილმა ფეხბურთელებმა. შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრების თავკაცად დაინიშნა რობერტო დონადონი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ "მილანის" შემადგენლობაში ბრწყინავდა.

"მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს იტალიის ნაკრების ერთ-ერთ გამოცდილ ფეხბურთელად და ლიდერად, ზემოხსენებულ ინფორმაციას სისულელე უწოდა.

"ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ. მერწმუნეთ, წარმოდგენა არ მქონდა, ვის დანიშნავდნენ მწვრთნელად. როდესაც ეს ამბავი გავიგე, ჩემს თანაგუნდელებს დავურეკე. ისინიც გაკვირვებულნი იყვნენ. სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს დონადონი ჩვენ დავნიშნეთ ნაკრების მწვრთნელად", - განუცხადა იტალიელ ჟურნალიტსებს ჯენარო გატუზომ.

თავად დონადონი კი ცდილობს დაიყოლიოს ფრანჩესკო ტოტი, რათა მან სანაკრებო კარიერა არ დაასრულოს. შეგახსენებთ: ტოტიმ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თქვა, რომ მუნდიალი მისი უკანასკნელი სანაკრებო ტურნირი იქნებოდა.

"ტოტი ისეთი ფეხბურთელია, რომ ჩვენ მასზე უარს ვერ ვიტყვით. მე უკვე ვესაუბრე ფრანჩესკოს. იმედია, ის ნაკრებში თამაშს გააგრძელებს", - აცხადებს დონადონი.

## დელ ორნო ესპანეთში ბრუნდება

"ვალენსიამ" ფაქტობრივად დაასრულა მოლაპარაკება ლონდონის "ჩელსისთან" ასიერ დელ ორნოს ტრანსფერის თაობაზე. ახალგაზრდა ესპანელი მცველი ბრიტანეთში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხას გადაიხდის "ვალენსია" ფეხბურთელში.

## რიბერი არ იყიდება

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველის ფრანკ რიბერის შეძენა არაერთმა კლუბმა მოისურვა. გუშინ "მარსელის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ რიბერი არ გაიყიდება.

"რიბერის კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს "მარსელთან". კლუბი ამ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს. მომავალ სეზონში "მარსელს" სერიოზული ამბიციები ექნება, რიბერი კი გუნდის ლიდერად მოიაზრება", - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა პაპე დიოპმა.

## რთული დასაწყისი

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო აცხადებს, რომ მის გუნდს სეზონის დასაწყისში ძალიან გაუჭირდება. ამის მიზეზად პორტუგალიელი მწვრთნელი ფეხბურთელების გადაღლილობას ასახელებს. "ჩელსის" ფეხბურთელების უმეტესობა ხომ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობდა.

"მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედმა" სამხრეთ აფრიკაში ამხანაგური მატჩი გამართა და ძირითადის 11 ფეხბურთელი ათამაშა. ჩვენ კი ამის საშუალება არ გვაქვს. ძირითადის ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ახლა ისვენებს. ვფიქრობ, სეზონის პირველ ნაწილში საკმაოდ გაგვიჭირდება. თუნდაც "ლივერპულთან" გასამართი სუპერთასის მატჩი ავიღოთ. ჩვენთვის ეს სეზონის პირველი შეხვედრა იქნება, "ლივერპულს" კი ამ დროისთვის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის შეხვედრები ექნება გამართული, - ამბობს მოურინიო, - სუპერთასის მატჩისთვის ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა მზად არ იქნება. არადა, ამ ჯილდოს მოგება ძალიან გვინდა".

## ლანდზაატი "უიგანში" ითამაშებს

ჰოლანდიის ნაკრებისა და "ალკმაარის" ნახევარმცველი დანი ლანდზაატი ინგლისურ "უიგანში" გააგრძელებს კარიერას. ორი კლუბი ფეხბურთელის ტრანსფერზე უკვე შეთანხმდა. ახლა საჭიროა, რომ ლანდზაატმა პოლ ჯუელის გუნდთან პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმოს.

## "ატლეტიკო" ტორესს ვერ ელევა

მადრიდის "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს ფერნანდო ტორესი.

"ჯერჯერობით ფერნანდო ტორესის ტრანსფერზე საუბარი ნაადრევია. თუნდაც იმიტომ, რომ მისი შეძენის მსურველებს ჩვენთვის ოფიციალურად არ მოუმართავთ, - ამბობს მადრიდული კლუბის პრეზიდენტი ენრიკე სერეზო, - შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ფერნანდოს გაყიდვას არ ვაპირებთ. შესაძლოა ტორესში დიდი თანხაც შემოგვთავაზონ, მაგრამ მისი გაყიდვა გამორიცხულია. არსებობს ერთადერთი შანსი იმისა, რომ ფერნანდომ გუნდი დატოვოს. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად ფეხბურთელმა ისურვა გუნდიდან წასვლა. ტორესთან კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს. თუ მან ჩათვალა, რომ მის კარიერისთვის კლუბის შეცვლა უკეთესი იქნება, ხელს არ შევუშლით. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ მისი გაყიდვა არ გვსურს."

## საქართველოს თასი 2006

რაგბიში საქართველოს თასის გათამაშება 25 ივლისს დასრულდება. ფინალისტები გაირკვევა "ლელო"-"რუსთავისა" და "ლოკომოტივი"-"აიას" ნახევარფინალური თამაშების შედეგად. "ლელო"-"რუსთავის" მატჩი გაიმართება "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე 19 ივლისს, 18:30 სთ-ზე, ხოლო "ლოკომოტივი"-"აია" ჩატარდება იმავე მოედანზე, 20 ივლისს, 18:30 სთ-ზე. ფინალის ჩატარების ადგილი ჯერჯერობით დადგენილი არ არის; სავარაუდოდ, ეს მატჩი გაიმართება 25 ივლისს, 18:00 საათზე, "ლოკომოტივის" ან "შევარდენის" სტადიონზე. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის საქართველოს თასის გათამაშება რიგით მერვეა. თასს ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) ფლობდა "ლოკომოტივი", ორჯერ - ბათუმის "დათვები", ერთხელ - "ვესტა".

ფინალის წინა დღეს, სავარაუდოდ, გაიმართება პრეს-კონფერენცია ფინალში მონაწილე გუნდების მწვრთნელებისა და მორაგბეების მონაწილეობით.

## "რომადან" "ლევანტეში"

იტალიური "რომას" ნახევარმცველი დამიანო ტომაზი მომავალ სეზონს ესპანურ "ლევანტეში" გაატარებს. გუშინ 32 წლის ფეხბურთელმა ესპანურ კლუბთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, ამ დღეებში კი ტომაზი ესპანეთში ჩავა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ესპანური გუნდის მაისურას მოირგებს.

## აბიატი "ტორინოში" გადავიდა

"მილანის" მეკარე კრისტიან აბიატი მომავალ სეზონს "ტორინოში" გაატარებს. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში აბიატი ტურინის "იუვენტუსში" იყო განათხოვრებული. ამჯერად კი მილანმა კიპერი "ტორინოში" გაუშვა იჯარით.

## პესოტოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

ჯანლუკა პესოტოს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. იტალიური მედიის ინფორმაციით, ტურინის "იუვენტუსის" დირექტორატის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით სამი კვირის წინ პესოტო ტურინული კლუბის ოფისის მესამე სართულიდან გადმოვარდა.

## კოკაის მორიგი გამარჯვება

ივლისის ბაშოზე მორიგი გამარჯვება იზეიმა ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ. გუშინ კოკაის მეტოქე გამოცდილი მებრძოლი ივაკიამა იყო. ლევანმა ოშიდაშის ილეთით მოიგო ორთაბრძოლა. ახლა მას 10-დან შვიდი შეხვედრა აქვს მოგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დადებითი ბალანსისთვის ერთი გამარჯვებაღა სჭირდება.

დღეს კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთ დივიზიონის მე-11 მაიგეშირა კასუგაო, რომელსაც მხოლოდ ოთხი მოგება აქვს. წესით, ლევანს არც მისი დამარცხება უნდა გაუჭირდეს. კასუგაოსთან კოკაის წელს ორი ბრძოლა აქვს გამართული. ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია: მარტის ბაშოზე ცაგურია დამარცხდა, მაისში კი რევანშის აღება მოახერხა.

## ფლორენციული პროტესტი

"ფიორენტინას" ფანებმა საყვარელი გუნდის სერია B-ში დაქვეითების გამო პროტესტი მეტად ორიგინალურად გამოხატეს. 1000 ფლორენციელმა გულშემატკივარმა რამდენიმე საათით გადაკეტა იტალიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სარკინიგზო მაგისტრალი. სამართალდამცავებმა მალე მოახერხეს მომიტინგეების დაწყნარება და მაგისტრალზე მატარებლების მოძრაობა აღდგა.

## ვან ნისტელროი მაინც გაიყიდა

მიუხედავად იმისა, რომ რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერი მადრიდის "რეალში" თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, გუშინ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ არ აპირებს ჰოლანდიელი ფეხბურთელის გაყიდვას. უფრო სწორად, მანკუნიანელთა მწვრთნელს ფეხბურთელზე მაზანდის აწევა სურს.

"შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ ვან ნისტელროოი არ გაიყიდება, ყოველ შემთხვევაში, იმ თანხად, რომელზეც ახლა საუბრობენ. "ჩელსიმ" შევჩენკოში 54,5 მილიონი დოლარი გადაიხადა, ჩვენ კი ვან ნისტელროის გაყიდვას სულ რაღაც 12 მილიონ გირვანქა სტერლინგად გვთავაზობენ. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ რუუდი გავყიდოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელში შესაბამის თანხას გადაიხდიან", - აცხადებს ალექს ფერგიუსონი.

სატნტერესოა, რომ ფერგიუსონის განცხადებიდან რამდენიმე საათში ესპანურმა გაზეთმა "მარკამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ვან ნისტელროოიმ სამეფო კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. "რეალმა" ჰოლანდიელ მეგოლეში 14 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

## ლარსონი ნაკრებში აღარ ითამაშებს

შვედეთის ნაკრების ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა განაცხადა, რომ საერთაშორისო დონეზე აღარ ითამაშებს.

"დრო მოვიდა. მე მივდივარ. ნაკრებისთვის გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო", - აცხადებს 34 წლის ფორვარდი, რომელმაც გასული სეზონი ესპანურ "ბარსელონაში" გაატარა, ახლა კი შვედურ "ჰელსინბორგში" თამაშობს.

## ძამბროტას არჩევანი

ტურინის "იუვენტუსის" მცველ ჯანლუკა ძამბროტაზე არაერთი გრანდი ნადირობს. "ჩელსი" და "რეალი" ფულს არ იშურებენ ამ ფეხბურთელის გადასაბირებლად, თუმცა, თავად ძამბროტას იტალიაში სურს დარჩენა და კარიერის გაგრძელებას "მილანში" აპირებს. ტურინულმა კლუბმა ძამბროტა 20 მილიონ ევროდ შეაფასა. ჯერჯერობით "მილანს" ფეხბურთელის შეძენის სურვილი არ გამოუთქვამს.

## ვიეირა და იბრაჰიმოვიჩი "ინტერში"

დღეს უნდა შედგეს გარიგება "იუვენტუსსა" და "ინტერს" შორის, რომლის თანახმადაც "ბებერი ქალბატონის" ორი ფეხბურთელი მილანურ კლუბში გადავა. საუბარია ფრანგ ნახევარმცველ პატრიკ ვიეირასა და შვედ ფორვარდ ზლატან იბრაჰიმოვიჩზე. "ინტერი" იბრაჰიმოვიჩს პირადი კონტრაქტის დეტალებზე უკვე შეუთანხმდა. შვედი მილანურ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გაფორმებს და ამ ხნის განმავლობაში 4,5 მილიონ ევროს მიიღებს. თუმცა არსებობს ერთი პრობლემა: "ინტერი" შვედ ფეხბურთელში 16 მილიონ ევროს იხდის, მაშინ როდესაც ტურინული კლუბი 24 მილიონ ევროს ითხოვს. რაც შეეხება ვიეირას ტრანსფერს, აქ ყველაფერი რიგზეა: 15 მილიონ ევროდ შეფასებულ ფრანგში მილანური კლუბი სწორედ 15 მილიონს იხდის.

# სათასოდ მოიცალეს



*"ლოკომოტივი" "აიას" საქართველოს თასის ნახევარფინალში 20 ივლისს შეერკინება.*

ქართული რაგბის სეზონში დადგა ის იშვიათი მომენტი, როცა წინა პლანზე საშინაო შეჯიბრება გამოდის. წლის დამდეგიდან სულ სხვადასხვა ნაკრებებში გაბნეულმა მოთამაშეებმა, ბოლოს და ბოლოს, სათასოდ მოიცალეს. ჯილდო მომავალ სამშაბათს დანიშნულ ფინალში გათამაშდება, მანამდე კი, დღედღეზე, თითორკენიანი ნახევარფინალებია გასამართი.

იანვარი ვარჯიშის თვე იყო. თებერვალ-მარტში კაცთა ნაკრებმა ერთა თასზე სამი მატჩი (ორი შინ, ერთი რუმინეთში) გამართა. აპრილში 19 წლამდელთა ნაკრები არაბეთში იყო, 18 წლამდელთა - იტალიაში, 17 წლამდელთა - ინგლისში, კაცთა კი - უკრაინაში. მაისში კაცები იაპონიას ეწვივნენ, შვიდკაცამ საფრანგეთში ითამაშა და 13-კაცამაც ორი მატჩი (ერთი სერბეთში) გამართა.

ივნისი 21 წლამდელთა გუნდმა საფრანგეთში გაატარა, კაცები ბარბაროსებს დაუხვდნენ და ჩეხეთში წავიდნენ, შვიდკაცამ კი ვაკეში ითამაშა. შვიდკაცა ივლისში რუსეთშიც იყო, კაცებს ოქტომბერში (და იქნებ ნოემბერშიც) მსოფლიო თასის შესარჩევები ელით. ოქტომბერშივე 13-კაცაც ორჯერ თამაშობს, 20 წლამდელთა ნაკრები კი სექტემბერში პოლონეთს მიდის. ჰოდა, ამის მერე რა გასაკვირია, თუ საკლუბო რაგბისთვის დრო თითქმის აღარ რჩება.

ჩვენს სასტიკ, ანგარიშიან დროში ბიჭებს ვერ გაამტყუნებ. მსოფლიო რეიტინგით მე-17 ქვეყანაში შინაური რაგბი 100 პროცენტით სამოყვარულოა. ჯამაგირი მოთამაშეთაგან არავისა აქვს. ყველანი, უპირველეს ყოვლისა, თამაშის სიყვარულით რაგბობენ. გარდა ამისა, მათი ერთი ნაწილი იმის იმედადაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, უცხოეთში გადავა და იქ ბურთაობით სარჩო-საბადებელს გაიჩენს, მეორეს კი, უცხოელ თანატოლებთან გაჯიბრების ბუნებრივი სურვილის გარდა, საზღვარგარეთის მუქთად მოხილვაც ანდამატივით იზიდავს.

ბებერი მოთამაშე შინ თითქმის აღარ დაგვრჩა. ჩვენს პირველობაზე (თასიც პირველობაა, ოღონდ წლის პირველი ნახევრისა) თამაშობენ ის ჯეელები, ვინც უცხოეთში (საფრანგეთი, რუსეთი) ჯერ არ წასულა, იქიდან დროებით ჩამოსულა, მუშაობა არ დაუწყია და ამის გამო რაგბისთვის ჯერ თავი არ მიუნებებია, ან მატერიალურად უზრუნველყოფილია და რაგბით ერთობა. მათი გვარიანი ნაწილი ხუთი ასაკობრივი ნაკრების წევრია, სხვებს კი, ოდნავ უფროსებს, 13-კაცა რაგბი აურჩევია ასპარეზად.

### ანი რომ რაგბობდა, ბანი უქმობდა

და მაინც, თასი მთავრდება, ჭაბუკთა ორივე ლიგაში კი პირველი ნახევარი დასრულდა. ამდენი საერთაშორისო ღონისძიების გადამკიდე, თასი შეფერხებებით მიმდინარეობდა. შეჯიბრება ნააღდგომევს გაჩაღდა. მაისში ერთხელ წვიმებმა ჩაშალეს რაუნდი, მაგრამ პირველი წრე კი მოესწრო და საქმეს არა უშავდა რა. მერე, ივნისში, ორი გუნდი (შარშანდელი პირველობის პრიზიორები "აკადემია" და "ხულიგანა"), უსახსრობითა და უკადრისობით, შეჯიბრებას შეეშვა და სხვაფრივაც კურიოზი მოხდა: ერთი პული რაგბობდა, მეორე კი უქმობდა.

"ა" პულმა მეორე წრე ივნისში მოაყომარა, "ბ" პულმა კი ივლისშიღა განაახლა თამაში და ჩამორჩენა მარტივად ალმოფხვრა: ნახევარფინალური წყვილები რომ უკვე გამოვლინდნენ, ბოლო რაუნდს აზრი აღარა აქვს და არც შეჯიბრების გაჯანჯლება შეიძლება, რადგან 20 წლამდელები შეკრებაზე არიან წასასვლელიო. ჰოდა, ეგ რაუნდი საერთოდ გაუქმდა, 40 პულური მატჩიდან კი გაიმართა მხოლოდ 29 (ანში 15 და ბანში 14).

პულებში შარშანდელ ფინალისტებს, თასის მფლობელ "ლოკომოტივსა" და "ლელოს" იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, რომ ყველა სხვა გუნდს გატანილ-გაშვებულის სხვაობა უარყოფითი გამოუვიდა. წყვილთა გარკვევისას რუსთავმა პირად რკენებში 32:30 აჯობა "უნივერსიტეტს", "ლელომ" 48:34 მოისტუმრა ქუთაისი, ამან კი "არმაზი" 35:21 ჩამოიტოვა.

პულური თამაშებიდან ვაკის მომცრო მოედანზე ერთადერთი გაიმართა. აღდგენილი რუსთავი, თბილისის გუნდების დარად, მეურნეობაში თამაშობდა, ქუთაისს კი, პირველი წრე ლიხს აქეთ რომ ჩაატარა, მამაქალაქში ფეხმოკიდებული საჩოთირო გაგების გამო, მეორეში იმერეთის სოფლებში მოუხდა ხეტიალი. რუსთავმა თავისი გაზრდილები რომ დაიბრუნა, "აკადემია" დაიქცა. თელავი ისევ დაიშალა, ბათუმს კი, "ხულიგანას" დარად, იმედი აქვს, რომ საჭირო სახსარს თავს მოუყრის პირველობისთვის, რომელიც სექტემბერში იწყება.

*მასალა მომზადებული საიტ http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*

# შუმახერი ჩემპიონობაზე ალაპარაკდა

კვირას საფრანგეთში, მანი-კურის ტრასაზე გამართული რბოლა მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დასრულდა. "ფერარის" ლიდერმა რბოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ საფრანგეთის გრან-პრი გარდამტეხი იქნება ამ სეზონში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თქვენთვის რბოლა იდეალურად წარიმართა?**

- დიახ, სტარტი საკმაოდ კარგად ავიღე და რბოლის მსვლელობას თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდი. თუმცა, ბოლიდის შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რადგან წინა დღით ტესტებზე გარკვეული პრობლემები გვქონდა. თუმცა ჩემი შიში ამაო გამოდგა, რბოლისას ბოლიდი ბრწყინავალედ გამოიყურებოდა. სამწუხაროა, რომ ფელიპემ მეორე ადგილი ვერ შეინარჩუნა, თუმცა პოდიუმზე მაინც ორივე ვიყავით.

**- მეორე პიტ სტოპის შემდეგ ძალიან სწრაფი იყავით. ალბათ სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ რბოლაში...**

- ტაქტიკა კარგად შევარჩიეთ. მეორე პიტის შემდეგ ახალი საბურავები დამიყენეს და ამან სისწრაფის მომატების საშუალება მომცა.

**- რბოლის დასაწყისში ალბათ გესიამოვნათ, როდესაც სარკეში თქვენს უკან ფელიპე მასას ხედავდით.**

- სტარტი ორივემ მშვენივრად ავიღეთ. რბოლის დასაწყისში პირველ-მეორე ადგილებზე ყოფნა ჩვენთვის იდეალური იყო.

**- ჩემპიონტის დასრულებამდე შვიდი რბოლა დარჩა. როგორც ჩანს, "ფერარი" იდეალურ მდგომარეობაშია.**



*შუმახერს ჩემპიონობის მადა გაეხსნა.*

- დიახ, ასეა. იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებთ და მომავალ რბოლასაც მოვიგებთ.

**- მანი-კურზე უკვე მერვე რბოლა მოიგეთ. როგორ ახერხებთ ასე ხშირად აქ გამარჯვებას?**

- ჩემს უკან მშვენიერი გუნდი დგას. თუ გავითვალისწინებთ, რა პრობლემების წინაშე აღმოვჩნდი შაბათს, უნდა ვაღიარო: ჩვენი გუნდის ინჟინრების გარჯა რომ არა, ვერ გავიმარჯვებდი.

**- არ გაგიკვირდათ, რომ "რენომ" ორი პიტ სტოპი გააკეთა, თანაც, პირველი თითქმის თქვენთან ერთად?**

- ცოტა გამიკვირდა, თუმცა ეს ჩემი განსასჯელი არ არის. არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია, რომ მეტოქე გუნდის ქმედება შევაფასო.

**- ბოლო ორი რბოლის ხარჯზე ჩემპიონობის შანსი გაგიჩნდათ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ წლეულს ტიტულის მოგებას?**

- თუ ასე გავაგრძელეთ, შესაძლებელი იქნება. იცით, ინდიანაპოლისი საკმაოდ იოლად მოვიგეთ. ამიტომ იმ რობლას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. აი, მანი-კური კი გარკვეულწილად გარდატეხის წერტილად მიმაჩნია. პოზიციები გავიმყარეთ და ახლა ტიტულისთვის ბრძოლაც რეალურია.

**- მომდევნო რბოლა ჰოკენჰაიმის ტრასაზე გაიმართება, რომელიც თქვენთვის, ფაქტობრივად, საშინაო ტრასაა...**

- არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა გრან-პრი საშინაო. მთავარია რამდენად კარგად არის მომზადებული მანქანა. რა თქმა უნდა, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვართ, მაგრამ ეს საქმეშიც უნდა დავამტკიცოთ.

## ინფოთეკა

### არენმა "რედ ბულსი" ჩაიბარა

აშშ-ს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრიუს არენა ამერიკის საფეხბურთო ლიგის კლუბ ნიუ-იორკ "რედ ბულსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. არენა აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მუნდიალის შემდეგ დაითხოვეს, რადგან ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალეს.

### სარსანია "ზენიტის" სპორტული დირექტორია

რუსეთში კარგად ცნობილი საფეხბურთო აგენტი კონსტანტინ სარსანია სანქტ-პეტერბურგის "ზენიტის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ სარსანიამ დაახლოებით ერთი წლის წინ თქვა უარი აგენტის საქმიანობაზე და საფეხბურთო კლუბის შეძენა სურდა, თუმცა, როგორ ხედავთ, კლუბის ყიდვას "ზენიტში" მუშაობა ამჯობინა.

### აპელაციას 22 ივლისს განიხილავენ

იტალიის ოთხი წამყვანი კლუბი დაისაჯა. იტალიურმა საფეხბურთო ტრიბუნალმა გრანდებს მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ოთხივემ შეიტანა აპელაცია საარბიტრაჟო სასამართლოში. გუშინ ცნობილი გახდა, რომ აპელაციის განხილვა 22 ივლისისთვის დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ არც ერთი გუნდი არ მოითხოვს სასჯელის მთლიანად გაუქმებას, ისინი სასჯელის შემსუბუქებას სთხოვენ სასამართლოს. კლუბების მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ გაუქმდეს ქულების ის დანაკლისი, რომლითაც მათ მომავალი სეზონის დაწყება მოუწევთ. როგორც იტალიური მედია იუწყება, აპელაციის განხილვა 22 ივლისსვე უნდა დასრულდეს. იტალიაში ვარაუდობენ, რომ მორიგი პროცესი შედეგს არ მოიტანს და სასჯელი არ შეიცვლება.

### კორადი "ქალაქელი" გახდება

ინგლისური პრემიერლიგის კლუბმა "მანჩესტერ სიტიმ" ფაქტობრივად გააფორმა კონტრაქტი "პარმას" ფორვარდ ბერნარდო კორადისთან. ამჟამად ფეხბურთელი ინგლისშია და "ქალაქელებთან" პირადი კონტრაქტის დეტალებს აზუსტებს.

### ჟარდელი პორტუგალიაში დაბრუნდა

ბრაზილიელმა ფორვარდმა მარიო ჟარდელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა პორტუგალიურ კლუბ "ბეირა მართან". 32 წლის თავდამსხმელმა სწორედ პორტუგალიურ კლუბებში თამაშის წყალობით გაითქვა სახელი და, როგორც ჩანს, კარიერის დასრულებასაც ამ ქვეყანაში აპირებს. გასულ სეზონში ჟარდელი ბრაზილიურ "გოიასში" თამაშობდა, თუმცა სამშობლოში ფეხი ვერ მოიკიდა.

### ბორხეტი "ბოლტონს" დატოვებს

მექსიკელი ფორვარდი ხარედ ბორხეტი ალბათ დატოვებს ინგლისურ "ბოლტონს". 32 წლის თავდამსხმელმა ვერაფრით ვერ შეძლო "ბოლტონში" ფეხის მოკიდება - მთელი გასული სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. "თუ წასვლა უნდა, ჩვენ არ შევაჩერებთ. ვფიქრობ, ხარედისთვის უკეთესიც იქნება, თუ სხვა კლუბს მოძებნის", - ამბობს "ბოლტონის" მწვრთნელი სემ ელერდაისი.

### რობერტო კარლოსის თხოვნა

მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალში" ახალი ხელმძღვანელობა მივიდა, დაიწყო საუბარი გუნდიდან რობერტო კარლოსის გაშვებაზე. ხოლო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ "რეალი" ძამბროტას ყიდვას აპირებს, ცხადი გახდა, რომ ბრაზილიელის ადგილი გუნდში აღარ იქნება.

რობერტო კარლოსის შეძენა ლონდონის "ჩელსისაც" სურს, მაგრამ თავად ფეხბურთელს "რეალის" დატოვება არ უნდა. ბრაზილიელმა სთხოვა კლუბის ახალ სპორტულ დირექტორს პრედრაგ მიატოვიჩს, რომ მას შეხვდეს და ყველაფერი გაირკვეს. ბრაზილიელ მცველს მიაჩნია, რომ ძამბროტასთან ერთადაც შეუძლია თამაში და მხოლოდ იმიტომ, რომ კლუბში იტალიელი მცველი მოდის, მან "რეალი" არ უნდა დატოვოს.

### ტევესი ფიქრობს

არგენტინელმა ფორვარდმა კარლოს ტევესმა შესაძლოა დატოვოს ბრაზილიური "კორინთიანსი" და ევროპაში წავიდეს სათამაშოდ. ამჟამად "კორინთიანსის" საქმეები მთლად კარგად არ არის. გუნდი ვერც ბრაზილიის ჩემპიონატში ბრწყინავს და, თანაც, სასამართლომ ტევესის ტრანსფერის გამოძიება დაიწყო. არგენტინელს მიაჩნია, რომ ამ ვითარებაში მისი კარიერისთვის უკეთესი იქნება, თუ გუნდს დატოვებს და ევროპაში გააგრძელებს კარიერას, მით უმეტეს, რომ ევროპული გრანდები დიდი სიამოვნებით შეიძენენ მას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" უმაღლესი ხარისხის ფაიფურის ჭურჭლის ერთ ლოტად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:
2. ლოტი: უმაღლესი ხასრისხის ფაიფურის ჭურჭელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფურშეტის თეფში , 26X19 სმ | თითის გასაყოფი ადგილით და ღვინის ჭიქის სადგამით | თეთრი ფაიფური | 500 | ც |
| ყავის ფინჯანი 0.22ლ. | ერთმანეთზე ასაწყობი | თეთრი ფაიფური | 500 | ც |
| ყავის ფინჯანი ლამბაქი | ლამბაქი 13სმ | თეთრი ფაიფური | 300 | ც |
| კვერცხის ჩასადები ჭიქა | | თეთრი ფაიფური | 60 | ც |
| წვნიანის თასი | 0.25ლ. | თეთრი ფაიფური | 156 | ც |
| წვნიანის ლამბაქი 17,5სმ | | თეთრი ფაიფური | 156 | ც |
| ბრტყელი თეფში, 27 სმ | | თეთრი ფაიფური | 700 | ც |
| ბრტყელი თეფში, 21 სმ | | თეთრი ფაიფური | 400 | ც |
| ბრტყელი თეფში, 16 სმ | | თეთრი ფაიფური | 200 | ც |
| ოვალური თეფში 21 სმ | არა ღრმა | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| საფერფლე | მრგვალი 3 სიგარეტიანი | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| სამარილე | ოვალური ერთხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 100 | ც |
| საპილპილე | ოვალური 5 ხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 100 | ც |
| ვაზა | ოვალური ერთხვრელიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საფერფლე | ბორცვისებური ფორმის 3 სიგარეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| პატარა ბრტყელი ინდ. თეფში, 7სმ | ბორცვისებრი ფორმის | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| ღრმა თეფში 8,5X8,5 სმ | კვადრატი, მომრგვალებული ნაპირებით | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| სასანთლე | ტალღისებური ფორმის | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| ბრტყელი ოთკუთხა თეფში 32X32სმ | | რძისფერი მინა | 120 | ც |
| ბრტყელი ოთკუთხა თეფში 20X20სმ | | რძისფერი მინა | 120 | ც |
| მართკუთხა საშაქრე თასი 10,6სმ | | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| სარძევე 0.25ლ | გადმოსასხმელი დაბოლოებით | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| ბუფეტის თეფში 33 სმ | | მინა, ფერადი დაბოლოებებით | 50 | ც |
| მრგვალი თასი 38 სმ | | მინა, ფერადი დაბოლოებებით | 50 | ც |
| ჩაის კოვზი 17,5 სმ | ტალღისებური ფორმა with cup edge | | 120 | ც |
| საპირპილე | ტალღისებური ფორმა, 5 ნახვრეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| სამარილე | ტალღისებური ფორმა, 1 ნახვრეტიანი | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| სარძევე | ტალღისებური ფორმა | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საშაქრე თასი | ტალღისებური ფორმა | თეთრი ფაიფური | 40 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 35 სმ | ფოთლისებრი ფორმა | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 28 სმ | ფოთლისებრი ფორმა | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| თასი 5, 12ცმ | ფოთლისებრი ფორმა, მწვანე ფოთლის დეკორაციით | თეთრი ფაიფური | 240 | ც |
| წვნიანის თასი ლამბაქის გარეშე | ფოთლისებრი ფორმა 2 ყურით | თეთრი ფაიფური | 120 | ც |
| დიდი ბრტყელი თეფში 34ხ34სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| საპრეზენტაციო თეფში 33X24სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| მაკარონის თეფში 28 სმ | ტალღისებური ფორმა, ღრმა | ფაიფური | 120 | ც |
| პურისა და კარაქის თეფში 15X13 სმ | კვადრატული | ფაიფური | 120 | ც |
| ბრტყელი თეფში სამკუთხა 22X22 ხმ | სამკუთხა მრგვალი ნაპირებით | ფაიფური | 120 | ც |
| ესპრესოს ფინჯანი ლამბაქის გარეშე, 0,08ლ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| ყავის ფინჯანი ლამბაქის გარეშე, 0,18ლ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 120 | ც |
| ლამბაქების ჩასაწყობი, 15X13 სმ | ტალღისებური ფორმა | ფაიფური | 240 | ც |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი თელავის ქ. 20.
4. ვადები: 2006 წელი. ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე.
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები წარმოადგინონ 2006 წლის 9 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0103 ქ. თბილისი, თელავის ქ. 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი", ტელ: 77 20 20, საკონტაქტო პირი: ბ-ნი Mმანუჩარ გრიგოლაშვილი.
6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- იურიდიულმა პირებმა:
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
- რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა საწესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან); უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი ცნობა).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (უცხოური კომპანიებისათვის შესატყვისი ცნობა).
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (უცხოური კომპანიებისთვის ცნობა, რომ კომპანიაში არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია).
- სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

- ფიზიკურმა პირებმა:
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 050609031.
8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 19 ივლისიდან 8 აგვისტოს 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, 0103, თელავის 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი".
9. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.
10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბატონ მანუჩარ გრიგოლაშვილს. ტელეფონი 77 20 20, ფაქსი 77 45 16.

**ელფოსტა: Manuchar.grigolashvili@sheraton.com**

# განცხადება

## (ტენდერის ჩატარების შესახებ)

1). ს.ს "ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინკური საავადმყოფო "რესპუბლიკა", "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ხუთ ლოტად, საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2) შესასყიდი საქონლის შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტებით:
**ა) 1 ლოტი** სამკურნალო საშუალება.
**ბ) 3 ლოტი** ფსიქტროპიული და ნარკოტიკული საშუალება.
**გ) 4 ლოტი** რეაქტივები
**დ) 5 ლოტი** დამხმარე სამედიცინო საშუალებები.

3) ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ს.ს "ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინკური საავადმყოფო "რესპუბლიკის"" განაცხადის საფუძველზე.

4) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 აგვისტოდან 10 აგვისტოს 13 საათამდე შემდეგ მისამართზე:
**ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას N 206;** ს.ს "რესპუბლიკა"" "ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინკური საავადმყოფოში.
სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 10 **აგვისტოს 13.00 საათზე** (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

5) ყველა ლოტში მიწოდება უნდა განხორციელდეს თვეში ორჯერ ყოველ თუთხმეტ დღეში.

**6).** დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან პრეტენდენტებს.

**7) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
**7.1) იურიდიული პირისათვის:**
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია.
7.2) **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად, ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.
ბ) ცნობას, რომ მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ დან სამსახურეობრივ საქმიანობასტან დაკავსირებული დანასაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმე;
ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;
გ) სატენდერო წინადადების ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

8.) ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორისათვის.

9.) საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს **სამ ეგზემპლარად** (ერთი ეგზემპლარი დედანის, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის სახით).

10.) იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ **200 (ორასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ;
''რესპუბლიკა'' ზუგდიდის ფლიალი, ა/ა 300003408000335 ბანკის კოდი 220101775. სად. კოდი 219998705.

12) ტენდერში შესაძლებელია **მხოლოდ ერთი** გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება;

13) პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ **რამდენიმე** სატენდერო წინადადება;

14) სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი იმფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:
**გამსახურდიას N 206; ტელ: 899 340 411**. ადამ ქარჩავა

# ბრძანება

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) მედიახელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ", "ი", "ღ", "შ" ქვეპუნქტისა და მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის წარდგინების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მედიახელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის თანდართული წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესასა და თსსა ვებგვერდზე, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას თსსა ტერიტორიაზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსსა რეფორმების, სტრატეგიული დაგეგმისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს (დავით კიზირია).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გია ბულაძე**

*დანართი 1*

მედიახელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადასაყვანად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

1. ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის 20 აკადემიურ თანამდებობაზე, შემდეგი მიმართულებით:
კომპიუტერული მოდელირება; მულტიმედია (ციფრული ანიმაცია/ვებ-დიზაინი..); გრაფიკული დიზაინი/ვიზუალური კომუნიკაციები; ფოტოგრაფია.
კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეულის გაყოფა.
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:
**- სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:
ა) აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილება და მოპოვებული აქვს აღიარება და ავტორიტეტი შემოქმედებით ან სამეცნიერო და აკადემიურ სფეროებში;
ბ) ამჟღავნებს დარგის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც კონკრეტულად და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კონკურსის მონაწილეთა წინაშე თსსა სვამს, აკადემიური პროცესის თანამედროვე სტანდარტებისა და დარგის განვითარების გათვალისწინებით;
გ) სრული პროფესორი არჩეული იქნება სამი წლის ვადით.
**- ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:
ა) აკადემიური, შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება
ბ) ამჟღავნებს დისციპლინის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია სწავლების სახელობო-პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეების შესაბამისად, თსსა და ფაკულტეტის სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.
გ) ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება ორი წლის ვადით.
**- ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:
ა) შემოქმედებითი ან კვლევითი მიმართულებით გარკვეული წარმატებები და არის ნიჭიერი ხელოვანი ან დოქტორი/დოქტორანტი.
ბ) არჩეული იქნება ერთი წლის ვადით.
4. თსსა აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატი წერილობით ადასტურებს, რომ თსსა სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება განხილული, როგორც თსსა პროფესორი და სხვა უმაღლესს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ათანხმებს თსსა შესაბამისს ფაკულტეტთან და თსსა ადმინისტრაციასთან.
მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოშლა ავტომატურად იწვევს შრომითი ურთიერთობათა შეწყვეტას.
5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
თსსა CV(იხ. შესაბამისი კითხვარი) ;პირადობის მოწმობის ასლი; ოთხი (3/4) ფოტოსურათი; შესაბამისი სამეცნიერო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; პორტფოლიო - მხატვრულ ნმუშევართა ალბომი, ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს; პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ პროგრამის (დარგის/დისციპლინის) განვითარების საკუთარი ხედვა. სრული-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით/კვლევით პროექტი (იხ. შესაბამისი კითხვარი); საკონკურსო განაცხადის სარეგისტრაციო თანხის გადახდის ქვითარი (10 ლარი), შემდეგ ანარიშზე - "საქართველოს ბანკი" 113 647 304
6. საკონკურსო შერჩევის პარამეტრებია:
- პროგრამული განვითარების ხედვა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტი, მათი შესაბამისობა თსსა/ფაკულტეტის სპეციფიკასთან, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და პრეტენდენტის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან;
- წარმოდგენილ განაცხადთან (მ.შ. პროგრამული განვითარების ხედვა/შემოქმედებით-კვლევითი პროექტი) პრეტენდენტის პიროვნული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა;
გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:
სხვადასხვა დონის გამოფენებში მონაწილეობა; შემოქმედებითი და პედაგოგიური მიღწევები (მ.შ. თვალსაჩინო წვლილი სწავლების მეთოდის სრულყოფაში); მის მიერ აღზრდილთა შორის პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა; მიღებული ჯილდოები; სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა; დისერტანტთა სამეცნიერო/შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გამოცდილება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა; წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა; პუბლლიკაციები; სხვა სახის შემოქმედებით-აკადემიური მიღწევები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტურად, მაგრამ არაა ასახული ჩამონათვალში.
პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი პროგრამისა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტის ინტერდისციპლინარულ და გუნდურ ხასიათსა და თავსებადობას თსსა სპეციფიკასთან, რაც გულისხმობს თსსა მთელი აკადემიური (შემოქმედებითი/კვლევითი) რესურსის კონსოლიდირებას ერთი შემოქმედებით/კვლევითი თემატიკის გარშემო და მიზნად ისახავს პროექტული, შემოქმედება/კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერას.
2006-09 წ.წ. თემატიკაა: "ხელოვნებათა სინთეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათაშორის კონტექსტში".
7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თსსა აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

საკონკურსო კომისია მუშაობის შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს თსსა რექტორის მ.შ., რომელიც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს თსსა აკადემიურ პერსონალს.
8. კონკურსში მონაწილე პირებმა შესაბამისი განაცხადი/დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 18 აგვისტოსი.
საბუთები მიიღება თსსა კანცელარიაში ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 13 00 - 15 00 სთ.
კონკურსისათვის წარმოსადგენი პროგრამა/კონცეფცია, შემოქმედებით/კვლევითი პროექტი და CV აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ელექტონულ ფორამტშიც.

E-mail: info-reform@yahoo.com ; დამატებითი ინფორმაცია www.academya.ge ან www.art.edu.ge
Tel. 8 99 561453

# ბრძანება

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) დიზაინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ", "ი", "ღ", "შ" ქვეპუნქტისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის წარდგინების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს დიზაინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის თანდართული წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესასა და თსსა ვებ-გვერდზე, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას თსსა ტერიტორიაზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსსა რეფორმების, სტრატეგიული დაგეგმისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს (დავით კიზირია).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გია ბუღაძე**

**დანართი 1**

დიზაინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადასაყვანად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

1. ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის 20 აკადემიურ თანამდებობაზე, შემდეგი მიმართულებით:

სამრეწველო დიზაინი; ტანსაცმლის დიზაინი; მხატვრული მინა/კერამის; ტექსტილის დიზაინი; ავეჯის დიზაინი; ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობათა დიზაინი.

კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეულის გაყოფა.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

**- სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილება და მოპოვებული აქვს აღიარება და ავტორიტეტი შემოქმედებით ან სამეცნიერო და აკადემიურ სფეროებში;

ბ) ამჟღავნებს დარგის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც კონკრეტულად და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კონკურსის მონაწილეთა წინაშე თსსა სვამს, აკადემიური პროცესის თანამედროვე სტანდარტებისა და დარგის განვითარების გათვალისწინებით;

გ) სრული პროფესორი არჩეული იქნება სამი წლის ვადით.

**- ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება

ბ) ამჟღავნებს დისციპლინის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია სწავლების სახელობო-პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეების შესაბამისად, თსსა და ფაკულტეტის სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გ) ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება ორი წლის ვადით.

**- ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) შემოქმედებითი ან კვლევითი მიმართულებით გარკვეული წარმატებები და არის ნიჭიერი ხელოვანი ან დოქტორი/დოქტორანტი.

ბ) არჩეული იქნება ერთი წლის ვადით.

4. თსსა აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატი წერილობით ადასტურებს, რომ თსსა სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება განხილული, როგორც თსსა პროფესორი და სხვა უმაღლესს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ათანხმებს თსსა შესაბამისს ფაკულტეტთან და თსსა ადმინისტრაციასთან.

მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოშლა ავტომატურად იწვევს შრომითი ურთიერთობათა შეწყვეტას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

თსსა CV(იხ. შესაბამისი კითხვარი) ;პირადობის მოწმობის ასლი; ოთხი (3/4) ფოტოსურათი; შესაბამისი სამეცნიერო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; პორტფოლიო - მხატვრულ ნმუშევართა ალბომი, ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს; პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ პროგრამის (დარგის/დისციპლინის) განვითარების საკუთარი ხედვა. სრული-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით/კვლევით პროექტი (იხ. შესაბამისი კითხვარი); საკონკურსო განაცხადის სარეგისტრაციო თანხის გადახდის ქვითარი (10 ლარი), შემდეგ ანარიშზე - "საქართველოს ბანკი" 113 647 304

6. საკონკურსო შერჩევის პარამეტრებია:

- პროგრამული განვითარების ხედვა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტი, მათი შესაბამისობა თსსა/ფაკულტეტის სპეციფიკასთან, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და პრეტენდენტის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან;
- წარმოდგენილ განაცხადთან (მ.შ. პროგრამული განვითარების ხედვა/შემოქმედებით-კვლევითი პროექტი) პრეტენდენტის პიროვნული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა;

გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:

სხვადასხვა დონის გამოფენებში მონაწილეობა; შემოქმედებითი და პედაგოგიური მიღწევები (მ.შ. თვალსაჩინო წვლილი სწავლების მეთოდის სრულყოფაში); მის მიერ აღზრდილთა შორის პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა; მიღებული ჯილდოები; სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა; დისერტანტთა სამეცნიერო/შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გამოცდილება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა; წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა; პუბლიკაციები; სხვა სახის შემოქმედებით-აკადემიური მიღწევები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტურად, მაგრამ არაა ასახული ჩამონათვალში.

პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი პროგრამისა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტის ინტერდისციპლინარულ და გუნდურ ხასიათსა და თავსებადობას თსსა სპეციფიკასთან, რაც გულისხმობს თსსა მთელი აკადემიური (შემოქმედებითი/კვლევითი) რესურსის კონსოლიდირებას ერთი შემოქმედებით/კვლევითი თემატიკის გარშემო და მიზნად ისახავს პროექტული, შემოქმედება/კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერას.

2006-09 წ.წ. თემატიკაა: "ხელოვნებათა სინთეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათაშორის კონტექსტში".

7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თსსა აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

საკონკურსო კომისია მუშაობის შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს თსსა რექტორის მ.შ., რომელიც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს თსსა აკადემიურ პერსონალს.

8. კონკურსში მონაწილე პირებმა შესაბამისი განაცხადი/დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 18 აგვისტოსი.

საბუთები მიიღება თსსა კანცელარიაში ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 13 00 -15 00 სთ.

კონკურსისათვის წარმოსადგენი პროგრამა/კონცეფცია, შემოქმედებით/კვლევითი პროექტი და CV აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ელექტონულ ფორამტშიც.

E-mail: info-reform@yahoo.com ; დამატებითი ინფორმაცია www.academya.ge ან www.art.edu.ge, Tel. 8 99 561453

# ბრძანება

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ", "ი", "ღ", "შ" ქვეპუნქტისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის წარდგინების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის თანდართული წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესასა და თსსა ვებ-გვერდზე, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას თსსა ტერიტორიაზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსსა რეფორმების, სტრატეგიული დაგეგმისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს (დავით კიზირია).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გია ბუღაძე**

***დანართი 1***

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადასაყვანად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

1. ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის 20 აკადემიურ თანამდებობაზე, შემდეგი მიმართულებით:

ფერწერა; გრაფიკა; ქანდაკება; თეატრალურ-დეკორატიული ფერწერა; კინოტელე მხატვრობა; მულტფილმების მხატვრული გადაწყვეტა.

კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეულის გაყოფა.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

**- სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილება და მოპოვებული აქვს აღიარება და ავტორიტეტი შემოქმედებით ან სამეცნიერო და აკადემიურ სფეროებში;

ბ) ამჟღავნებს დარგის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც კონკრეტულად და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კონკურსის მონაწილეთა წინაშე თსსა სვამს, აკადემიური პროცესის თანამედროვე სტანდარტებისა და დარგის განვითარების გათვალისწინებით;

გ) სრული პროფესორი არჩეული იქნება სამი წლის ვადით.

**- ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება

ბ) ამჟღავნებს დისციპლინის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია სწავლების სახელობო-პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეების შესაბამისად, თსსა და ფაკულტეტის სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გ) ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება ორი წლის ვადით.

**- ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) შემოქმედებითი ან კვლევითი მიმართულებით გარკვეული წარმატებები და არის ნიჭიერი ხელოვანი ან დოქტორი/დოქტორანტი.

ბ) არჩეული იქნება ერთი წლის ვადით.

4. თსსა აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატი წერილობით ადასტურებს, რომ თსსა სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება განხილული, როგორც თსსა პროფესორი და სხვა უმაღლესს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ათანხმებს თსსა შესაბამისს ფაკულტეტთან და თსსა ადმინისტრაციასთან.

მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოშლა ავტომატურად იწვევს შრომითი ურთიერთობათა შეწყვეტას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

თსსა CV(იხ. შესაბამისი კითხვარი) ;პირადობის მოწმობის ასლი; ოთხი (3/4) ფოტოსურათი; შესაბამისი სამეცნიერო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; პორტფოლიო - მხატვრულ ნმუშევართა ალბომი, ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს; პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ პროგრამის (დარგის/დისციპლინის) განვითარების საკუთარი ხედვა. სრული-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით/კვლევით პროექტი (იხ. შესაბამისი კითხვარი); საკონკურსო განაცხადის სარეგისტრაციო თანხის გადახდის ქვითარი (10 ლარი), შემდეგ ანარიშზე - "საქართველოს ბანკი" 113 647 304

6. საკონკურსო შერჩევის პარამეტრებია:

- პროგრამული განვითარების ხედვა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტი, მათი შესაბამისობა თსსა/ფაკულტეტის სპეციფიკასთან, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და პრეტენდენტის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან;
- წარმოდგენილ განაცხადთან (მ.შ. პროგრამული განვითარების ხედვა/შემოქმედებით-კვლევითი პროექტი) პრეტენდენტის პიროვნული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა;

გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:

სხვადასხვა დონის გამოფენებში მონაწილეობა; შემოქმედებითი და პედაგოგიური მიღწევები (მ.შ. თვალსაჩინო წვლილი სწავლების მეთოდის სრულყოფაში); მის მიერ აღზრდილთა შორის პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა; მიღებული ჯილდოები; სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა; დისერტანტთა სამეცნიერო/შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გამოცდილება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა; წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა; პუბლიკაციები; სხვა სახის შემოქმედებით-აკადემიური მიღწევები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტურად, მაგრამ არაა ასახული ჩამონათვალში.

პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი პროგრამისა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტის ინტერდისციპლინარულ და გუნდურ ხასიათსა და თავსებადობას თსსა სპეციფიკასთან, რაც გულისხმობს თსსა მთელი აკადემიური (შემოქმედებითი/კვლევითი) რესურსის კონსოლიდირებას ერთი შემოქმედებით/კვლევითი თემატიკის გარშემო და მიზნად ისახავს პროექტული, შემოქმედება/კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერას.

2006-09 წ.წ. თემატიკაა: "ხელოვნებათა სინთეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათაშორის კონტექსტში".

7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თსსა აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

საკონკურსო კომისია მუშაობის შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს თსსა რექტორის მ.შ., რომელიც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს თსსა აკადემიურ პერსონალს.

8. კონკურსში მონაწილე პირებმა შესაბამისი განაცხადი/დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 18 აგვისტოსი.

საბუთები მიიღება თსსა კანცელარიაში ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 13 00 -15 00 სთ.

კონკურსისათვის წარმოსადგენი პროგრამა/კონცეფცია, შემოქმედებით/კვლევითი პროექტი და CV აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ელექტონულ ფორამტშიც.

E-mail: info-reform@yahoo.com ; დამატებითი ინფორმაცია www.academya.ge ან www.art.edu.ge, Tel. 8 99 561453

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე: თემა - " **კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია - გამოცემები"**

**ლოტი 1.** - "უბისას ეკლესიის ხატები და კედლის მხატვრობა -XIVს"

**ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა 2006 წლის 30 ოქტომბერი.**

ტექნიკური დავალების პირობებისა და წარმოდგენილი ვადების ფარგლებში შემსრულებელმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს:

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნები **- 500 ეგზემპლარი**.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

***როგორც იურიდიული,***
***ისე ფიზიკური პირებისათვის:***

- უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);
- შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ბოლო 5 წლის მანძილზე;
- ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
- ხარჯთაღრიცხვა მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით;
- სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);
- ადრე შესრულებული ბეჭდური პროდუქციის ხარისხი (ნიმუშების წარმოდგენით);

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N 200122900.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის **10 აგვისტოდან 14 აგვისტოს 17 საათამდე** სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ,

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადები, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის ?25 სექტემბრამდე**.**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ვერა შანიძეს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

ტელეფონები: 990 285, 995 006. 999 196, 932 188

# ბრძანება

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) არქიტექტურის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ", "ი", "ღ", "შ" ქვეპუნქტისა და არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის წარდგინების საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს არქიტექტურის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის თანდართული წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესასა და თსსა ვებ-გვერდზე, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას თსსა ტერიტორიაზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსსა რეფორმების, სტრატეგიული დაგეგმისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს (დავით კიზირია).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გია ბუღაძე**

**დანართი 1**

არქიტექტურის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ

თანამდებობებზე გადასაყვანად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

1. ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის 20 აკადემიურ თანამდებობაზე, შემდეგი მიმართულებით:

არქიტექტურა; ინტერიერის დიზაინი; სივრცის დიზაინი (მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვა/არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკა/გარემოს დიზაინი)

კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეულის გაყოფა.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

**- სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილება და მოპოვებული აქვს აღიარება და ავტორიტეტი შემოქმედებით ან სამეცნიერო და აკადემიურ სფეროებში;

ბ) ამჟღავნებს დარგის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც კონკრეტულად და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კონკურსის მონაწილეთა წინაშე თსსა სვამს, აკადემიური პროცესის თანამედროვე სტანდარტებისა და დარგის განვითარების გათვალისწინებით;

გ) სრული პროფესორი არჩეული იქნება სამი წლის ვადით.

**- ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური, შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება

ბ) ამჟღავნებს დისციპლინის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია სწავლების სახელობო-პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეების შესაბამისად, თსსა და ფაკულტეტის სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გ) ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება ორი წლის ვადით.

**- ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) შემოქმედებითი ან კვლევითი მიმართულებით გარკვეული წარმატებები და არის ნიჭიერი ხელოვანი ან დოქტორი/დოქტორანტი.

ბ) არჩეული იქნება ერთი წლის ვადით.

4. თსსა აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატი წერილობით ადასტურებს, რომ თსსა სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება განხილული, როგორც თსსა პროფესორი და სხვა უმაღლესს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ათანხმებს თსსა შესაბამისს ფაკულტეტთან და თსსა ადმინისტრაციასთან.

მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოშლა ავტომატურად იწვევს შრომითი ურთიერთობათა შეწყვეტას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

თსსა CV(იხ. შესაბამისი კითხვარი) ;პირადობის მოწმობის ასლი; ოთხი (3/4) ფოტოსურათი; შესაბამისი სამეცნიერო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; პორტფოლიო - მხატვრულ ნმუშევართა ალბომი, ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს; პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ პროგრამის (დარგის/დისციპლინის) განვითარების საკუთარი ხედვა. სრული-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით/კვლევით პროექტი (იხ. შესაბამისი კითხვარი); საკონკურსო განაცხადის სარეგისტრაციო თანხის გადახდის ქვითარი (10 ლარი), შემდეგ ანარიშზე - "საქართველოს ბანკი" 113 647 304

6. საკონკურსო შერჩევის პარამეტრებია:

- პროგრამული განვითარების ხედვა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტი, მათი შესაბამისობა თსსა/ფაკულტეტის სპეციფიკასთან, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და პრეტენდენტის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან;

- წარმოდგენილ განაცხადთან (მ.შ. პროგრამული განვითარების ხედვა/შემოქმედებით-კვლევითი პროექტი) პრეტენდენტის პიროვნული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა;

გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:

სხვადასხვა დონის გამოფენებში მონაწილეობა; შემოქმედებითი და პედაგოგიური მიღწევები (მ.შ. თვალსაჩინო წვლილი სწავლების მეთოდის სრულყოფაში); მის მიერ აღზრდილთა შორის პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა; მიღებული ჯილდოები; სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა; დისერტანტთა სამეცნიერო/შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გამოცდილება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა; წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა; პუბლიკაციები; სხვა სახის შემოქმედებით-აკადემიური მიღწევები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტურად, მაგრამ არაა ასახული ჩამონათვალში.

პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი პროგრამისა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტის ინტერდისციპლინარულ და გუნდურ ხასიათსა და თავსებადობას თსსა სპეციფიკასთან, რაც გულისხმობს თსსა მთელი აკადემიური (შემოქმედებითი/კვლევითი) რესურსის კონსოლიდირებას ერთი შემოქმედებით/კვლევითი თემატიკის გარშემო და მიზნად ისახავს პროექტული, შემოქმედება/კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერას.

2006-09 წ.წ. თემატიკაა: "ხელოვნებათა სინთეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათაშორის კონტექსტში".

7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თსსა აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

საკონკურსო კომისია მუშაობის შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს თსსა რექტორის მ.შ., რომელიც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს თსსა აკადემიურ პერსონალს.

8. კონკურსში მონაწილე პირებმა შესაბამისი განაცხადი/დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 18 აგვისტოსი.

საბუთები მიიღება თსსა კანცელარიაში ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 13 00 -15 00 სთ.

კონკურსისათვის წარმოსადგენი პროგრამა/კონცეფცია, შემოქმედებით/კვლევითი პროექტი და CV აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ელექტრონულ ფორამტშიც.

E-mail: info-reform@yahoo.com ; დამატებითი ინფორმაცია www.academya.ge ან www.art.edu.ge, Tel. 8 99 561453

# ბრძანება

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორია/თეორიის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ", "ი", "ღ", "შ" ქვეპუნქტისა და რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორია/თეორიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის წარდგინების საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორია/თეორიის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის თანდართული წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსი.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესასა და თსსა ვებ-გვერდზე, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას თსსა ტერიტორიაზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსსა რეფორმების, სტრატეგიული დაგეგმისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს (დავით კიზირია).

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გია ბუღაძე**

რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორია/თეორიის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ

თანამდებობებზე გადასაყვანად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი

1. ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის 20 აკადემიურ თანამდებობაზე, შემდეგი მიმართულებით:

ხელოვნების ისტორია/თეორია; რესტავრაცია/კონსერვაცია; კულტუროლოგია.

კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეულის გაყოფა.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

**- სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილება და მოპოვებული აქვს აღიარება და ავტორიტეტი სამეცნიერო და აკადემიურ სფეროებში;

ბ) ამჟღავნებს დარგის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც კონკრეტულად და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კონკურსის მონაწილეთა წინაშე თსსა სვამს, აკადემიური პროცესის თანამედროვე სტანდარტებისა და დარგის განვითარების გათვალისწინებით;

გ) სრული პროფესორი არჩეული იქნება სამი წლის ვადით.

**- ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) აკადემიური და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება

ბ) ამჟღავნებს დისციპლინის განვითარების საკუთარ ხედვას და შეუძლია წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია სწავლების სახელობო-პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეების შესაბამისად, თსსა და ფაკულტეტის სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გ) ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება ორი წლის ვადით.

**- ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს, რომელსაც გააჩნია:

ა) კვლევითი მიმართულებით გარკვეული წარმატებები და არის დოქტორი/დოქტორანტი.

ბ) არჩეული იქნება ერთი წლის ვადით.

4. თსსა აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატი წერილობით ადასტურებს, რომ თსსა სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება განხილული, როგორც თსსა პროფესორი და სხვა უმაღლესს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ათანხმებს თსსა შესაბამისს ფაკულტეტთან და თსსა ადმინისტრაციასთან.

მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოშლა ავტომატურად იწვევს შრომითი ურთიერთობათა შეწყვეტას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

თსსა CV(იხ. შესაბამისი კითხვარი) ;პირადობის მოწმობის ასლი; ოთხი (3/4) ფოტოსურათი; შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი; ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს; პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ პროგრამის (დარგის/დისციპლინის) განვითარების საკუთარი ხედვა. სრული-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით/კვლევით პროექტი (იხ. შესაბამისი კითხვარი); საკონკურსო განაცხადის სარეგისტრაციო თანხის გადახდის ქვითარი (10 ლარი), შემდეგ ანარიშზე - "საქართველოს ბანკი" 113 647 304

6. საკონკურსო შერჩევის პარამეტრებია:

- პროგრამული განვითარების ხედვა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტი, მათი შესაბამისობა თსსა/ფაკულტეტის სპეციფიკასთან, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და პრეტენდენტის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან;

- წარმოდგენილ განაცხადთან (მ.შ. პროგრამული განვითარების ხედვა/შემოქმედებით-კვლევითი პროექტი) პრეტენდენტის პიროვნული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა;

გარდა ამისა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს:

სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევები (მ.შ. თვალსაჩინო წვლილი სწავლების მეთოდის სრულყოფაში); მის მიერ აღზრდილთა შორის პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა; მიღებული ჯილდოები; სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა; დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობის გამოცდილება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა; წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა; პუბლიკაციები; სხვა სახის შემოქმედებით-აკადემიური მიღწევები, რომლებიც დასტურდება დოკუმენტურად, მაგრამ არაა ასახული ჩამონათვალში.

პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი პროგრამისა და შემოქმედებით/კვლევითი პროექტის ინტერდისციპლინარულ და გუნდურ ხასიათსა და თავსებადობას თსსა სპეციფიკასთან, რაც გულისხმობს თსსა მთელი აკადემიური (შემოქმედებითი/კვლევითი) რესურსის კონსოლიდირებას ერთი შემოქმედებით/კვლევითი თემატიკის გარშემო და მიზნად ისახავს პროექტული, შემოქმედება/კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერას.

2006-09 წ.წ. თემატიკაა: "ხელოვნებათა სინთეზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათაშორის კონტექსტში".

7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თსსა აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

საკონკურსო კომისია მუშაობის შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს თსსა რექტორის მ.შ., რომელიც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს თსსა აკადემიურ პერსონალს.

8. კონკურსში მონაწილე პირებმა შესაბამისი განაცხადი/დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 18 აგვისტოსი.

საბუთები მიიღება თსსა კანცელარიაში ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 13 00 -15 00 სთ.

კონკურსისათვის წარმოსადგენი პროგრამა/კონცეფცია, შემოქმედებით/კვლევითი პროექტი და CV აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ელექტრონულ ფორამტშიც.

E-mail: info-reform@yahoo.com ; დამატებითი ინფორმაცია www.academya.ge ან www.art.edu.ge, Tel. 8 99 561453

# მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE

**საკონსულტაციო მომსახურება ინტერესის გამოხატვა**
**ქალაქ ქობულეთის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების მუშა პროექტის შემუშავება**

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA), და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს ქალაქ ქობულეთის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების მუშა პროექტის შემუშავების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

მომსახურების მიზანია მოსახლეობისა და დამსვენებლების წყალმომარაგების და სანიტაციის გაუმჯობესების მიზნით ქობულეთის წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია. პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

- ჭაბურღილების რეაბილიტაცია, ახალი რეზერვუარის მშენებლობა და სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია;
- ქალაქის ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და ქალაქის ჩრდილოეთით ახალი მილსადენის დამატება;
- წყლის მომხმარებლების 100%-იანი გამრიცხველიანება (კერძო სახლებს ინდივიდუალური მრიცხველები დაუყენდებათ, კორპუსებს და სატუმროებს კი - კომუნალური);
- საკანალიზაციო სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია;
- კანალიზაციის ქსელის ნაწილობრივი შეკეთება და ახალი ქსელის დამატება;

სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3.5 თვე.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს იძულებითი დაწნევიანი წყალმომარაგების სისტემების და შიდა საქალაქო ქსელების პროექტირების გამოცდილებას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტი შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებული 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოეწოდოს ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 1 აგვისტოსი.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ**
**ტელ: 943240, 942947, 923470, 923469**
**ფაქსი: 940439**
**ელ-ფოსტა: PROCUREMENT@MDF.ORG.GE**

# განცხადება

სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი" აცხადებს სამეურნეო კონკურსს ფართის იჯარით გაცემის თაობაზე შემდეგი საკონკურსო პირობით:

1. საზოგადოებრივი კვების ობიექტის მოწყობა-ფუნქციონირება;
2. აფთიაქის მოწყობა-ფუნქციონირება;
3. კაფეტერიის ფუნქციონირება;
4. სტამბის ფუნქციონირება;
5. ჟურნალ-გაზეთებისა და საკანცელარიო ნივთების რეალიზაცია;
6. თვალის პროთეზის დამამზადებელი ლაბორატორიის ფუნქციონირება;
7. სტომატოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირება;
8. ოპტიკის კაბინეტის ფუნქციონირება;
9. მობილური კავშირის ანძის აპარატურის ფუნქციონირება;
10. მაღალი დიოპტრიის ოპტიკის კაბინეტის ფუნქციონირება.

დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 75-28-82.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების დარბაზების მოწყობაზე:**

**გორის რაიონული სასამართლო, მდებარე სერგო ჯორბენაძის ქ. N30**

ოთხი დარბაზი:
1. 70.47 მ/კვ;
2. 57.00 მ/კვ;
3. 70.47 მ/კვ;
4. 57.00 მ/კვ;

**რუსთავის საქალაქო სასამართლო, მდებარე ბოსტანქალაქის ქ. N2.**

შვიდი დარბაზი:
1. 70.20 მ/კვ;
2. 70.20 მ/კვ;
3. 48.20 მ/კვ;
4. 49.90 მ/კვ;
5. 70.20 მ/კვ;
6. 70.20 მ/კვ;
7. 48.20 მ/კვ;

**სიღნაღის რაიონული სასამართლო, მდებარე ცოტნე დადიანის ქ. N15.**

სამი დარბაზი:
1. 58.50 მ/კვ;
2. 48.50 მ/კვ;
3. 42.50 მ/კვ;

**ზესტაფონის რაიონული სასამართლო, მდებარე წერეთლის ქ. N7.**

ხუთი დარბაზი:
1. 38.20 მ/კვ;
2. 38.20 მ/კვ;
3. 52.60 მ/კვ;
4. 62.20 მ/კვ;
5. 62.20 მ/კვ;

**თელავის რაიონული სასამართლო, მდებარე ვარდოშვილის ქ. N9.**

ხუთი დრბაზი:
1. 49.60 მ/კვ;
2. 50.40 მ/კვ;
3. 49.80 მ/კვ;
4. 49.60 მ/კვ;
5. 50.40 მ/კვ;

**ოზურგეთის რაიონული სასამართლო, მდებარე ი. სიორიძის ქ. N14.**

სამი დარბაზი:
1. 66.60 მ/კვ;
2. 52.20 მ/კვ;
3. 46.20 მ/კვ;

**ფოთის საქალაქო სასამართლო, მდებარე დ. აღმაშენებლის ქ. N3.**

ხუთი დარბაზი:
1. 63.00 მ/კვ;
2. 67.00 მ/კვ;
3. 67.00 მ/კვ;
4. 65.00 მ/კვ;
5. 65.00 მ/კვ;

**სამტრედიის რაიონული სასამართლო, მდებარე სასამართლოს ქუჩა N1.**

სამი დარბაზი:
1. 44.90 მ/კვ;
2. 42.00 მ/კვ;
3. 41.60 მ/კვ;

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 8 - 9 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებათ.*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.)*

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900, N300033133

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, ლია მინდიაშვილი, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32, (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი) ტ. 921189

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე. თემა - ***"კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა".***

*შესყიდვის ობიექტია კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების პროექტები:*

***ლოტი 1.***

*სუფსა-ნატანების ორმდინარეთს შორის არსებულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა;*

***ლოტი 2.***

*ნაცარგორას (ბაზალეთის) არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა;*

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების და პროდუქციის ჩაბარების საბოლოო ვადააა: **2006 წლის 15 დეკემბერი**

სამუშაო შესრულებული უნდა იყოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პროექტი უნდა მომზადდეს უახლეს გეორეფერენსირებულ ან ციფრულ ტოპო გეგმაზე** (UTM WGS 84 **საკოორდინატო ბადის მითითებით**) **და** უნდა შედგებოდეს გრაფიკული და ტექსტური მასალისგან.

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება ოთხ ეგზემპლარად: ელექტრონული ვერსია - კომპაქტური დისკების (CD) სახით (1), მყარი ასლების სახით (3), ტექსტური და გრაფიკული მასალის დოკუმენტირებით. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ტენდერის შედეგად ყოველ ცალკეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

**დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია**

- სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);
- შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა ბოლო 5 წლის მანძილზე;
- ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;.

საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე, რომელშიც აღნიშნული იქნება:

- მომსახურების ზოგადი აღწერილობა;
- შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);
- ხარისხის კონტროლის მექანიზმი;
- მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა;
- მეთოდიკა სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად (მოთხოვნილი პროდუქციის მიხედვით)

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

ტენდერში მონაწილემ უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებლი - 200 ლარი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N 200122900. სახაზინო კოდი 30 200 3000

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) **2006 წლის 9 აგვისტოდან 11 აგვისტოს 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადები, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა დასრულდება **2006 წლის 16 აგვისტოს**.

საკვალიფიკაციო პერიოდში მოხდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო დაზუსტება.

დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შერჩეულ პრეტენდენტებს 2006 წლის 21 აგვისტოდან 23 აგვისტოს 18 საათამდე.

სატენდერო წინადადების წარდგენა უნდა მოხდეს **2006 წლის 29 აგვისტოდან 31 აგვისტოს 17 საათამდე** ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლიარად (ერთი დედანის და ორი ქსეროქსლის სახით). პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ორივე ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 15 ოქტომბრამდე.

სატენდერო განაცხადის წარმოდგენისთანავე, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ პირველად სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ლელა დაღელაშვილს, რუსუდან მირზიკაშვილს, სოფიო სახანბერიძეს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**ტელეფონები: 932 188, 995 006.**

**ბრძანება N 2-14**
**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი**
**11 ივლისი 2006 წ. ქ. გორი**

# აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
2. შეიქმნას საკონკურსო კომისია;
3. კონკურსის პირობები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოცხადდეს პრესაში.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი კლარა ელჩიბეგაშვილი**

**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესი:**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პირობებს.

2. კონკურსი ცხადდება საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დისციპლინების წაკითხვაზე.

3. ა) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია: მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. სრული პროფესორი ვალდებულია კითხულობდეს 6 საათს (სააუდიტ. დატვირთვა) კვირაში არანაკლებ 4 დღის განმავლობაში;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია: მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ან დოქტორის აკადემიური ხარისხი; 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო დონეზე. ასოცირებული პროფესორი ვალდებულია კითხულობდეს 8 საათს (სააუდიტ. დატვირთვა) კვირრაში არანაკლებ 4 დღის განმავლობაში;

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია: მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. აგრეთვე, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს (ასპირანტებსა და მაძიებლებს). ასისტენტ-პროფესორი ვალდებულია კითხულობდეს 12 საათს (სააუდიტ. დატვირთვა) კვირაში არანაკლებ 5 დღის განმავლობაში.

4. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემდეგ ეკრძალება აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასეთ პირს უფლება აქვს მუშაობდეს სხვა სასწავლებელში, როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიწვეული პირი.

5. კონკურსი ტარდება აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად პირადი მონაცემებისა და პროგრამული კურსის საფუძველზე შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკის მიმართულებით არაუმეტეს 6 საშტ. ერთ.; აქედან:

ა) ეკონომიკის თეორიული საფუძვლების მოდული - 2 პროფესორი;

ბ) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და მაკროეკონომიკის მოდული - 2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი.

- ბიზნესის და მართვის მიმართულებით არაუმეტეს 34 საშტ. ერთ.; აქედან:

ა) ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის მოდული - 5 პროფესორი; 4 ასოცირებული;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტის და საგადასახადო საქმის მოდული - 5 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი;

გ) მარკეტინგის მოდული - 2 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი;

დ) მენეჯმენტის მოდული - 1 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

ე) ეკონ. სტატისტიკის მოდული - 2 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი;

ვ) ეკონომიკური ანალიზის მოდული - 3 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი.

- სამართალმცოდნეობის მიმართულებით - არაუმეტეს 3 საშტ. ერთ.;

1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი.

- ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით არაუმეტეს 4 საშტ. ერთ.;

2 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი.

- უცხო ენების მიმართულებით - არაუმეტეს 6,5 საშტ. ერთ. აქედან:

ა) ინგლისური ენისა და ლიტერატურის მოდული - 2,5 პროფესორი;

ბ) გერმანული ენისა და ლიტერატურის მოდული - 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

გ) რუსული ენისა და ლიტერატურის მოდული - 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი.

- ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით არაუმეტეს 5 საშტ. ერთ. აქედან:

ა) ქართული ენის მოდული - 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

ბ) ქართული ლიტერატურის მოდული - 3 პროფესორი.

- ისტორიის მიმართულებით - არაუმეტეს 6 საშტ. ერთ. აქედან 3 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი.

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით - არაუმეტეს 8 საშტ. ერთ. აქედან:

ა) ბიოლოგია-ქიმიის მოდული - 1 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი;

ბ) გეოგრაფიის მოდული - 2 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი.

- განათლების მიმართულებით - არაუმეტეს 5 საშტ. ერთ. აქედან:

ა) დაწყებითი განათლების მოდული - 2 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

ბ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მოდული - 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი.

- მათემატიკის მიმართულებით - არაუმეტეს 5 საშტ. ერთ. აქედან:

3 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი.

- ინფორმატიკის მიმართულებით - არაუმეტეს 3 საშტ. ერთ. აქედან:

1 პროფესორი; 2 ასოცირებული პროფესორი.

6. საკონკურსო კომისია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს დასკვნას აკადემიურ თანამდებობასთან კონკურსანტის შესაბამისობის თაობაზე, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბრძანებით.

დასკვნის შემუშავებისას საკონკურსო კომისია ითვალისწინებს:

- აკადემიურ ხარისხს (არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების პროფილით);
- სილაბუსს (სილაბუსში უნდა იქნეს მითითებული: საგნის სახელწოდება; სწავლების მიზანი; კურსის მოცულობა; მეთოდი; კრედიტების მინიჭების პირობა; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით);
- ერთ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევის უნარს;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს;
- სალექციო კურსის წაყვანის გამოცდილებას;
- სამეცნიერო საბჭოს წევრობას;
- სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობას;
- წიგნის (კრებულის) რედაქტორობას;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (შემუშავებული ფორმის მიხედვით);
- საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
- სილაბუსი (შედგენილი ბოლონიის პროცესის შემადგენელი კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვის გათვალისწინებით);
- დისციპლინის სწავლების კონცეფცია (2-3 გვერდზე);
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები;
- კონკურსანტის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაცია;
- უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 2 ფოტოსურათი (3x4);
- პირადობის მოწმობის ასლი.

8. პროფესორის ანაზღაურებაა 150 ლარი, ასოცირებული პროფესორის - 130 ლარი, ასისტენტ-პროფესორის - 116 ლარი.

9. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი - 2 წლის ვადით.

10. აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება დაფიქსირებული, როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

11. კონკურსი ცხადდება 19 ივლისს. დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 19 აგვისტო.

12. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 30 აგვისტოს.

შენიშვნა: 1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ყველა აუცილებელი დოკუმენტი, არ დაუშვას კონკურსზე. ხოლო თუ დოკუმენტაცია ან ინფორმაცია აღმოჩნდა ყალბი, კომისიას შეუძლია ეს პიროვნება მოხსნას კონკურსიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის სისწორეზე კონკურსანტი აგებს პასუხს მასზე ხელის მოწერით. საჭიროების შემთხვევაში კომისიამ შეიძლება მიმართოს ექსპერტიზას.

2. უნივერსიტეტს არ მიუღია აბიტურიენტები 2005-06 სასწავლო წელს, ასევე არაა გამოყოფილი კონტიგენტი 2006-07 სასწავლო წლისათვის; 2006-07 სასწავლო წელს უნივერსიტეტს ეყოლება მხოლოდ III და IV კურსები, 2007-08 სასწავლო წელს - I და IV კურსები, 2008-09 სასწავლო წელს კი I და II კურსები. ყოველივე ამის გამო, რექტორატი უფლებას იტოვებს, ზემოთ აღნიშნულ სასწავლო წლებში აკადემიური პერსონალი გადაიყვანოს არასრულ საშტატო განაკვეთზე მოდულის სასწავლო დატვირთვის შესაბამისად.

საბუთების მიღება იწარმოებს ს.ს.ი.პ. - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზირი № 53. ტელეფონი: (8 270) 7-24-13. ფაქსი: (8 270) 7-35-54.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ავტობუსების სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია "პაზის" და "კავზის" მარკის ავტობუსების 63 დასახელების 1094 ერთეული სათადარიგო ნაწილი.

. 2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. ტენდერში გამარჯვებულმა სათადარიგო ნაწილების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: ჟორესის ქ. N7.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006Qწლის 19 ივლისის 10 საათიდან 7 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 8 აგვისტოს 10 საათიდან, 9 აგვისტოს 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 3 Aასლი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრს: ზ.შენგელია, ტელეფონი 34-10-29 მობ: 899 909-303.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) სამეურნეო საქონლის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესასყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად:

I ლოტი:
ა) გოგირდმჟავა 150 ლიტრი;
ბ) სინთეტიკური საღებავები 600 კგ.
გ) გამხსნელი 200 ლიტრი;
დ) კატალიზატორი 50 ლიტრი
ე) თუნუქის შპაკლი 100 კგ.
ვ) თეთრი ქაღალდი 150 ცალი;
ზ) სკოჩი 100 ცალი;
თ) ზუმფარა 80 მ2.
ი) კაუსტიკური სოდა 200კგ;
კ) მოქლონი 100 კგ.
ლ) ძაფი 15 გორგალი;
მ) სკამების გადასაკრავი მასალა 100 მ²
ნ) წებო 10 კგ.

II ლოტი:
ბ)

III ლოტი:
ა) ნეონის ნათურები 20 დიდი, 10 პატარა;
ბ) ვოლფრამის ნათურები 50 ცალი;
გ) დიოდები 30 ცალი;
დ) ელ.სადენი მაღალი ძაბვის 500 მ.
ე) ელ.სადენი დაბალი ძაბვის 300 მ.
ვ) მცველები 50 ცალი;
ზ) საიზოლაციო მასალები 50 ცალი;

IV ლოტი:
ა) თუნუქი 30 მ²
ბ) ელექტროდი 40 შეკვრა;
გ) კარბიდი 400 კგ.
დ) 20 ცალი ჟანგბადის ბალონის დატენვა.
ე) კალის მავთული 40 კგ.
მინა 100 მ²;

2. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად ქ.თბილისში შემდეგ მისამართებზე: სარაჯიშვილის ქ. N23, ხევძმარის ქ.N1, ჟორესის ქ.N7.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006Qწლის 19 ივლისის 10 საათიდან 7 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 8 აგვისტოს 10 საათიდან, 9 აგვისტოს 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაც-ხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 3 Aასლი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრს: ზ.შენგელია, ტელეფონი 34-10-29 მობ: 899 909-303.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ატენის თემის გამგეობა (მის. სოფ. ატენი, ატენის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს ატენის საკრებულოს ტერიტორიაზე გორი-ატენის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

**ა) გორი-ატენის საავტომობილო გზის კმ 1+850-დან კმ 3+299-მდე, კმ 4+830-დან კმ 5+483-მდე და კმ 6+050-დან კმ 6+180-მდე მონაკვეთების რეაბილიტაცია;**

ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფელი ატენი.

გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 სექტემბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 8 აგვისტო 1600 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ატენი, ატენის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ატენის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ატენი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ატენის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი ნანი ცერცვაძე, ეთერ ლოთიშვილი.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ატენის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, ატენის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ტენდერს საარჩევნო კონვერტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენეობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

| საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| **ლოტი N1** კონვერტი A3 | 80000 ცალი |
| **ლოტი N2** კონვერტი A4 | 25600 ცალი |
| **ლოტი N3** კონვერტი A5 | 3700000 ცალი |

3. **ლოტი N1 და ლოტი N2:** კონვერტები A3, A4 ფორმატის, მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:

3.1 A3 და A4 ფორმატის კონვერტებზე გამოსახული უნდა იყოს საქრთველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ლოგო (შავთეთრი).

4. **ლოტი N3**: A5 ფორმატის კონვერტზე დატანილი უნდა იყოს წარწერა: **გადაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი და თუ მასზე არ არის კომისიის წევრის ხელმოწერა და ბეჭედი, მიმართეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.**

5. პრეტენდენტებმა თავიანთ საკვალიფიკაციო მონაცემებთან და სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ კონვერტების ნიმუში.

6. მიწოდება იწარმოებს ერთდროულად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ მისამართზე ქ. თბილისში.

7. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთდროულად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 ივლისიდან 9 აგვისტოს 14:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.N32, (შესასვლელი არსენას ოძელაშვილი ქ. N21). ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

9. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-9 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005,

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ღია ტენდერს მარკირების სითხეზე, დეტექროტებისა და კვების ელემენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენეობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

| **ლოტი N1** საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| მარკირების სითხე | 9900 ცალი |
| **ლოტი N2** საქონლის დასახელება | რაოდენობა |
| დეტექტორი | 4800 ცალი |
| **კვების ელემენტები** | დეტექტორების შესაბამისი და პლუს 100% |

3. **ლოტი N1** მარკირების სითხე, მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:

3.1 მარკირების სითხე უნდა იყოს თვალით უხილავი, მისი დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ულტრაიისფერი სხივის საშუალებით.

3.2 მარკირების სითხე უნდა ესხას 200 გრამიან ბოთლებში (გარდა მინისა), რომლებსაც ექნებათ აეროზოლით დასხურების საშუალება.

3.3 პრეტენდენტებმა უნდა წამოადგინონ მარკირების სითხის წარმოშობის სერთიფიკატი, და ცნობა შესაბამისი ორგანიზაციიდან, რომ მარკირების სითხე არ არის ჯანმრთელობისათვის მავნე.

3.4 მარკირების სითხის წაშლა არ უნდა ხდებოდეს რაიმე სითხით 24 საათის განმავლობაში

4. **ლოტი N 2** დეტექტორი და კვების ელემენტები, მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:

4.1 ულტრაიისფერი დეტექტორი,

4.2 დეტექტორის შესაბამისი კვების ელემენტები და პლუს 100%

5. პრეტენდენტებმა თავიანთ საკვალიფიკაციო მონაცემებთან და სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ მარკირების სითხის, დეტექრორის და კვების ელემნტების ნიმუში.

6. მიწოდება იწარმოებს ერთდროულად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ მისამართზე ქ. თბილისში.

7. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთდროულად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 ივლისიდან 9 აგვისტოს 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.N32, (შესასვლელი არსენას ოძელაშვილი ქ. N21). ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

9. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-9 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 18 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების ***შესყიდვაზე "კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1*** - გორის რაიონი, სოფელი ატენი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - ***ი.მ. "ნინო ნოზაძე",***

***ლოტი 2*** - ონის რაიონი, სოფელი მთისკალთა, მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - ***ი.მ. "მიხეილ გელაშვილი",***

***ლოტი 3*** - ახალციხის რაიონი, ურავლის აგარას კომპლექსის სატრაპეზო და მთავარი ტაძარი - ***ი.მ. "გურამ ქალებაშვილი",***

***ლოტი 4*** - მცხეთის რაიონი, სოფელი დიღომი, მაჩხანის დარბაზული ეკლესია - ***ასოციაცია „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა",***

***ლოტი 5*** - ლაგოდეხის რაიონი, ქოჩალოს ბაზილიკური ტაძარი - ***კავშირი "კონსერვაციის, ფიქსაციისა და არქეოლოგიის ცენტრი",***

***ლოტი 6*** - ასპინძის რაიონი, სოფელი ოშორას დარბაზული ეკლესია - ***გამარჯვებული არ გამოვლინდა,***

***ლოტი 7*** - წალკის რაიონი, ქალაქ წალკის წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია - ***ი.მ. "ნინო ნოზაძე",***

***ლოტი 8*** - ქ. თბილისი, ჭონქაძის ქუჩა N11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი - ***გამარჯვებული არ გამოვლინდა.***

2006 წლის 20 ივნისს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 18 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1*** - ქ. თელავის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა - ***შპს "სტუდია გეოსკოპი'',***

***ლოტი 2*** - ქ. სიღნაღის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა - ***შპს "სტუდია გეოსკოპი''***,

***ლოტი 3*** - ქ. ქუთაისის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა - ***კავშირი "კონსერვაციის, ფიქსაციისა და არქეოლოგიის ცენტრი",***

***ლოტი 4*** - ვარძია -ხერთვისი-ოლოდას და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული უძრავი ძეგლებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა - ***კავშირი "კონსერვაციის, ფიქსაციისა და არქეოლოგიის ცენტრი"***

***ლოტი 5*** - ქ. თბილისის და მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა - ***ფ/პ "მიხეილ აბრამიშვილი''***

***ლოტი 6*** - სუფსა-ნატანების ორმდინარეთს შორის არსებულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა - ***გამარჯვებული არ გამოვლინდა.***

***ლოტი 7*** - ნაცარგორას (ბაზალეთის) არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა -***Gგამარჯვებული არ გამოვლინდა.***

***ლოტი 8*** - ალაზნის ველის ყორღანებისა და ნამოსახლარების არქეოლოგიური დამცავი ზონების დადგენა - ***ფ/პ "კიაზო ფიცხელაური.''***

2006 წლის 20 ივნისს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

